ანგარიში

2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

იურიდიული
დახმარების
სამსახური

წარედგინება საქართველოს პარლამენტს, „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

იურიდიული დახმარების სამსახური

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა

2015 წელი იქცა მნიშვნელოვან ეტაპად – საქართველოში სოციალურ მოთხოვნილებაზე ორიენტირებული, მდგრადი და საიმედო იურიდიული დახმარების სისტემის ჩამოყალიბების გზაზე. „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის მიღებიდან 8 წლის შემდეგ, სახელმწიფომ პირველად დაიწყო უფასო საადვოკატო მომსახურების უზრუნველყოფა არა მხოლოდ სისხლის სამართლის, არამედ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზეც. გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები იურიდიული დახმარების სამსახურისათვის მზარდი საბიუჯეტო დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

იურიდიული დახმარების საბჭო, როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის მართვის, დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კოლეგიური ორგანო, აქტიურად ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს. 2015 წელს საბჭომ იურიდიული დახმარების სისტემის ადმინისტრირების სფეროში 18 სხვადასხვა გადაწყვეტილება მიიღო.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საბჭოს როლი იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასების სისტემის დანერგვაში. საბჭომ მხარი დაუჭირა სამსახურის მიერ შემუშავებულ შეფასების სისტემის კონცეფციას და ხელი შეუწყო დიალოგს იურიდიული დახმარების ბიუროებში მომუშავე ადვოკატებთან, შეფასების სისტემის საბოლოო სრულყოფისა და 2016 წელს მისი ამოქმედების მიზნით.

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სამსახურის მანდატის გაფართოებისა და ხარისხის შეფასების სისტემის მიმართულებით მიღწეული პროგრესის პარალელურად, გამოწვევად რჩება იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების პროფესიული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების განმტკიცება და იურიდიული დახმარების საბჭოს ეფექტიანობის გაუმჯობესება.

იურიდიული დახმარების საბჭო კვლავაც აქტიურად განაგრძობს მუშაობას იურიდიული დახმარების სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერების, სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის ზრდისა და მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

პატივისცემით,

ელზა ლეშკაშელი,
საბჭოს თავმჯდომარე
(2014–2015 წლებში)

დირექტორის მიმართვა

უკვე მესამე წელია, იურიდიული დახმარების სამსახური ვითარდება როგორც აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც აგრძელებს მნიშვნელოვანი როლის შესრულებას მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების პროცესში.

2015 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა შეძლო თავისი მანდატის გაფართოება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე და დაიწყო სასამართლო წარმომადგენლობის განხორციელება საოჯახო და სამემკვიდრეო დავებზე, ასევე სოციალური დაცვის საქმეებზე. სამსახურს დაეკისრა ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა დაცვა, რომელთა მიმართაც სასამართლო განიხილავს მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხს. უფასო საადვოკატო მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს მიეცათ. 2015 წლის ივლისში კი, ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ცვლილებები შევიდა „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონში, რითაც უცხოელებს მიეცათ უფლება, ისარგებლონ იურიდიული დახმარებით საქართველოში თავშესაფრისა და ლტოლვილის სტატუსის მინიჭება–შეჩერების საკითხებზე.

მნიშვნელოვანია, რომ გაზრდილი ვალდებულებების შესასრულებლად, სახელმწიფომ იზრუნა იურიდიული დახმარების სამსახურის სათანადო ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაზე. წინა წელთან შედარებით, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 51.7%–ით გაიზარდა 4.5 მილიონი ლარი შეადგინა. 2015 წლის ბოლოს კი, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისას, იურიდიული დახმარების სამსახურის დაფინანსება კიდევ 28.8%–ით გაიზარდა და 5.8 მილიონ ლარს მიაღწია.

გაიზარდა გაწეული იურიდიული დახმარების მაჩვენებლებიც. კერძოდ, იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ წარმოებაში მიღებული საქმეები გაიზარდა 6.2%–ით, გაწეული კონსულტაციები კი – 11.3%–ით. იურიდიული დახმარების სამსახური კვლავაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში. სასამართლოების მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა 45% წარმოებული იყო სწორედ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მიერ. ამასთან, სულ, ქვეყნის მასშტაბით გამამართლებელი განაჩენებით დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების 29% იურიდიული დახმარების სამსახურზე მოდის.

2015 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა. სამსახურის ყველაზე მსხვილი სტრუქტურული ერთეული – თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო, იქ დასაქმეული 40 თანამშრომლით, ახალ, კეთილმოწყობილ ოფისში გადავიდა. ახალი ოფისი იძლევა როგორც სრულყოფილი სერვისის მიწოდების, ისე ტრენინგების და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების ორგანიზების შესაძლებლობას. გარდა ამისა, 2015 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა განახორციელა მოსამზადებელი სამუშაოები 2016 წელს, ქალაქ სიღნაღში იურიდიული დახმარების ბიუროს გასახსნელად.

კვლავინდებურად დიდი ყურადღება დაეთმო იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების პროფესიულ გადამზადებას. განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, საზოგადოებრივი ადვოკატები ათობით პროფესიულ ტრენინგს დაესწრნენ. ამასთან, იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონულ ბიუროებში რეგულარულად ტარდებოდა ვიდეო–ტრენინგები, რომლებსაც, საზოგადოებრივ ადვოკატებთან ერთად, კერძო სექტორში მომუშავე იურისტებიც ესწრებოდნენ.

წარმატებით განხორციელდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ადვოკატთა სპეციალიზაციის პროცესი. წლის ბოლოს, იურიდიული დახმარების სამსახურში შეიქმნა სპეციალიზებულ ადვოკატთა მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც სათანადოდ გადამზადებული თანამშრომლებით დაკომპლექტდა.

იურიდიული დახმარების სამსახური ინარჩუნებს გამჭირვალობის მაღალ სტანდარტებს. 2015 წელს, სამსახურს უკვე მესამედ გადაეცა „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ ჯილდო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის. ამასთან, სამსახური აგრძელებს ძალისხმევას საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. 2015 წელს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციას, რისთვისაც საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის 100–ზე მეტი სემინარი ჩატარდა. გარდა ამისა, რეგულარულად იმართებოდა შეხვედრები იურიდიული დახმარების ბიუროებისგან გეოგრაფიულად დაშორებულ დასახლებულ პუნქტებში, აგრეთვე დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში.

2015 წელი იყო საიუბილეო წელი. ზუსტად 10 წლის წინ საფუძველი ჩაეყარა იურიდიული დახმარების ახალ სისტემას, რომელიც ეტაპობრივად და სირთულეების გადალახვით ვითარდება და შეაქვს თავისი წვლილი საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების დასამკვიდრებლად. ვფიქრობ, იურიდიული დახმარების საბჭოსთან, საქართველოს პარლამენტთან და მთავრობასთან, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო პარტნიორობით ჩვენ მომავალშიც შევძლებთ პროგრესის მიღწევას ხარისხიანი და ხელმისაწვდომი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის კუთხით.

პატივისცემით,

მელიტონ ბენიძე,
სამსახურის დირექტორი

შინაარსი

იურიდიული დახმარების სისტემა 8

იურიდიული დახმარების საბჭო 8

იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურა 9

სამსახურის მანდატი 11

იურიდიული დახმარების სამსახურმა 10 წლის იუბილე აღნიშნა 14

2015 წლის ძირითადი სტატისტიკური მონაცემები 15

სისხლის სამართლის საქმეების სტატისტიკა 16

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების სტატისტიკა 20

გაწეული კონსულტაციების და შედგენილი დოკუმენტების სტატისტიკა 21

სისხლის სამართლის საქმეები 24

გამამართლებელი განაჩენით დასრულებული საქმეები 24

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა 40

აღკვეთის ღონისძიების და სასჯელის შემსუბუქება 43

არასრულწლოვანთა, პრობაციონერთა და ყოფილ მსჯავრდებულთა დაცვა 50

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები 58

ალიმენტსა და არასრულწლოვნებზე ზრუნვასთან დაკავშირებული დავები 58

მემკვიდრეობასა და მეუღლეთა ქონებასთან დაკავშირებული დავები 63

დავები სოციალური დაცვის თაობაზე 65

დევნილთა უფლებები 68

შრომითი დავები 72

ქონებასთან, სესხებსა და დავალიანებასთან დაკავშირებული დავები 74

ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა უფლებები 76

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა 78

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები 81

სამსახურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა 83

იურიდიული დახმარების საბჭოს საქმიანობა 83

ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე 84

ფინანსური გარანტიები 84

თანამშრომლობა მართლმსაჯულების სისტემის მონაწილეებთან 85

იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა 86

იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაზრდა 86

ტერიტორიული დაფარვა 89

რეფერალური სისტემის განვითარება 91

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა 91

მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა 92

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა 92

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზაცია 93

მენეჯმენტის სისტემის გამართვა, იურიდიული კლინიკებისა და სტაჟირების სისტემების გამართვა 94

თანამშრომელთა მუდმივი პროფესიული გადამზადება 95

მაღალი საზოგადოებრივი ცნობადობა იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ 100

ფინანსური ანგარიში 102

პარტნიორები 103

იურიდიული დახმარების სისტემა

იურიდიული დახმარების საბჭო

2014 წლის 27 იანვრიდან, იურიდიული დახმარების სამსახურის მართვის, მისი ფუნქციების ეფექტიანი შესრულების, სამსახურის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით ფუნქციონირება დაიწყო კოლეგიურმა ორგანომ – იურიდიული დახმარების საბჭომ.

საბჭო შედგება 9 წევრისგან და დაკომპლექტებულია ადვოკატთა ასოციაციის 3 წევრით, ასევე - იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახალხო დამცველის, საია-ს, სამეცნირო სფეროსა და იურიდიული დახმარების სამსახურის თითო წარმომადგენლით. მათი უფლებამოსილების ვადა, გარდა იურდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლისა, 4 წელია. საბჭო აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებებით, რომელთა შორისაა: სამსახურის დირექტორის არჩევა, სამსახურის სტრატეგიის დამტკიცება და კონტროლი მის შესრულებაზე, სამსახურის დებულებისა და საქმიანობის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების დამტკიცება, გადაწყვეტილების მიღება იურიდიული დახმარების ოფისების გახსნისა და გაუქმების თაობაზე და სხვა.

საბჭოს შემადგენლობა

ეკატერინე ფოფხაძე
საბჭოს თავმჯდომარე (2016), საია

ელზა ლეშკაშელი
საბჭოს თავმჯდომარე (2014–2015), ადვოკატთა ასოციაცია

ხათუნა ფურელიანი
თავმჯდომარის მოადგილე, ადვოკატთა ასოციაცია

ბონდო ალასანია
ადვოკატთა ასოციაცია

ილია ჭანტურაია
სახალო დამცველის აპარატი

მარინე კვაჭაძე
სამეცნიერო სფერო

ნათია ჩირიკაშვილი
იუსტიციის სამინისტრო

კახაბერ სოფრომაძე
იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ვალერი კვანტალიანი
იურიდიული დახმარების ბიუროები

იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურა



სამსახურის ოფისები და თანამშრომლები:

- <u>იურიდიული დახმარების ბიურო:</u> ოფისი, სადაც მუშაობენ ადვოკატები და კონსულტანტები. ოფისს ხელმძღვანელობს ბიუროს უფროსი. დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით 11 ბიურო ფუნქციონირებს: თბილისში, მცხეთაში, თელავში, რუსთავში, გორში, ახალციხეში, ზესტაფონში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთსა და ბათუმში.
- <u>საკონსულტაციო ცენტრი:</u> ოფისი, სადაც დასაქმებულია მხოლოდ კონსულტანტი. დღეისათვის, 7 საკონსულტაციო ცენტრი მოქმედებს: ოზურგეთში, ამბროლაურში, ახალქალაქში, წალკაში, მარნეულში, მესტიასა და საჩხერეში.
- <u>ცენტრალური აპარატი:</u> ოფისი, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის ორგანიზაციულ–ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს.
- <u>თანამშრომელთა რიცხოვნობა:</u> 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო რიცხვონობა განისაზღვრება 213 საშტატო ერთეულით. აქედან, 53% ადვოკატია, 13% კონსულტანტი, 5% სპეციალისტი, 11% ცენტრალური აპარატის თანამშრომელი, ხოლო ტექნიკური პერსონალი 18%-ს შეადგენს. გენდერულ ჭრილში სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა ნაწილდება შემდეგნაირად: ქალები 50.8% და კაცები 49.2%.



მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი:

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი უფასო იურიდიული დახმარების მიწოდების ერთ-ერთი საშუალებაა. იგი 2009 წლის მაისში შეიქმნა უფასო სამართლებრივი დახმარების შეუფერხებელი მიწოდების მიზნით და ფუნქციონირებს შემდეგი სისტემით: იურიდიული დახმარების ფარგლებში მოქმედებს იმ კერძო ადვოკატთა მონაცემთა ბაზა, რომლებიც, საბიუჯეტო ანაზღაურების საფუძველზე, მოქალაქეებს უფასოდ ემსახურებიან. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატები სისხლის სამართლის საქმეებში ერთვებიან ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, როდესაც ბიუროს დახმარებისთვის ერთი და იმავე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ორი ან რამდენიმე, საპირისპირო ინტერესების მქონე პირი მიმართავს. ასეთ დროს იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მხოლოდ ერთ პირს დაიცავს, ხოლო სხვა პირს (პირებს) დამცველად რეესტრის ადვოკატი (ადვოკატები) დაენიშნება. იმ რეგიონებში, სადაც იურიდიული დახმარების ბიურო არ ფუნქციონირებს, სისხლის სამართლის საქმეებზე რეესტრიდან ადვოკატის დანიშვნას უზრუნველყოფენ იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრები.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეესტრში 69 კერძო ადვოკატი ირიცხებოდა. მათ შორის: 44 ადვოკატი – სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, 21 ადვოკატი – საერთო სპეციალიზაციით და 4 ადვოკატი – სამოქალაქო სპეციალიზაციით. 2015 წელს რეესტრის ადვოკატებმა მონაწილეობა მიიღეს 583 საქმეში.

რეესტრის ადვოკატის ანაზღაურების სისტემა ასეთია: იურიდიული დახმარების სამსახური მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატს, სისხლის სამართლის საქმეში ჩართვისათვის, ერთჯერადად ფიქსირებულ თანხას უხდის (დღე-ღამის დროის გათვალისწინებით). გარდა ამისა, ანაზღაურდება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ განხორციელებული თითოეული მოქმედება და მიღწეული შედეგი (საქმეთა კატეგორიების - ნაკლებად მძიმე, მძიმე, განსაკუთრებით მძიმე - გათვალისწინებით).

სამსახურის მანდატი

2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით, იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი მოიცავს:

- უფასო იურიდიული კონსულტაციას ნებისმიერი პირისათვის;
- სამართლებრივი დოკუმენტების (განცხადება, შუამდგომლობა და სხვ.) შედგენას გადახდისუუნარო პირებისათვის;
- საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება სისხლის სამართლის პროცესში სავალდებულო დაცვის შემთხვევებში; ასევე - გადახისუუნარო ბრალდებულის, მსჯავრდებულის და გამართლებულის მომართვის შემთხვევაში.
- დამცველის მომსახურებას არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების საქმეებზე;
- დამცველის მომსახურებას იმ გადახდისუუნარო მსჯავრდებულთათვის, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში;
- დამცველის მომსახურებას ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, რომელიც ითვალისწინების ადმინისტრაციულ პატიმრობას.

- სასამართლოში წარმომადგენლობას სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის გარკვეულ საქმეებზე (საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობის სამართალი, სოციალური დაცვის კანონმდებლობა), თუ პირი გადახდისუუნაროა, ხოლო საქმე – რთული და მნიშვნელოვანი;
- სავალდებულო დაცვას ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა საქმეებზე, როდესაც სასამართლო განიხილავს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხს;
- სასამართლოში წარმომადგენლობას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საქმეებზე, თუ მსხვერპლი გადახდისუუნაროა.

<u>პირის გადახდისუუნარობის საკითხი</u>

საქართველოს მთავრობის 2014 წელის 30 ივნისის №424 დაგენილებით განსაზღვრულია პირის გადახდისუუნარობის დადასტურების წესი. ამ წესის მიხედვით:

- პირი გადახდისუუნაროდ ითვლება და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ენიჭება, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე.
- ზემოაღნიშნულის გარდა, გადახდისუუნაროდ ითვლება და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ენიჭება აგრეთვე პირს, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე და მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:

  ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი;
  ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;
  გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;
  დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონესრულწლოვანი პირი;
  ე) მკვეთრად, მნიშვნელოვანად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან;
  ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;
  ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

<u>იურიდიული დახმარება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არარეგისტრირებულ პირებისათვის</u>

იურიდიული დახმარების საბჭოს 2014 წლის №10 და 2015 წლის №27 და №31გადაწყვეტილებებით, დადგინდა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არარეგისტრირებულ პირთა წრე, რომლებსაც უფლება აქვთ, მიმართონ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს, მათთვის, გამონაკლისის სახით, იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ.

აღნიშნულ ჩამონათვალში შევიდნენ შემდეგი კატეგორიის პირები:

- გადახდისუუნარო პირები, რომელთა მონაცემებიც მოიპოვება სოციალურად დაუცველთა ბაზის არქივში;
- პირები, რომელთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დადასტურებულია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემული ცნობებით;
- მძიმე და განუკურნებული სენით დაავადებული პირები;
- მარტოხელა დედა, რომელსაც ჰყავს არასრულწლოვანი შვილები;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირი;
- ასაკით პენსიონერი;
- იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ადვოკატი / ადვოკატის ოჯახის წევრი / ახლო ნათესავი;
- მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი;
- სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარი;
- საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირის ,,კათარზისის'' (სათნოების სახლი) ბენეფიციარი;
- არასრულწლოვანი პირი, რომელიც შესაძლოა იყოს მხარე სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეებზე.

იურიდიული დახმარების სამსახურმა 10 წლის იუბილე აღნიშნა

2015 წელს, სახელმწიფოს მიერ შექმნილ იურიდიული დახმარების სამსახურს 10 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, 2015 წლის 20 ნოემბერს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა საზეიმო ღონისძიება, რომელსაც საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი პირები, იურიდიული დახმარების საბჭოს წევრები, ადვოკატები, მოსამართლეები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმო–მადგენლები დაესწრნენ.

საქართველოში იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა 2005 წელს დაიწყო. რეფორმის შედეგად, მომდევნო წლებში იურიდიული დახმარების სამსახურის ოფისების რაოდენობა 18–მდე გაიზარდა, უფასო საადვოკატო მომსახურება 75 ათასზე მეტმა პირმა მიიღო, უფასო იურიდიული კონსულტაციით კი 100–ზე მეტმა პირმა ისარგებლა.

2015 წლის ძირითადი სტატისტიკური მონაცემები







სისხლის სამართლის საქმეების სტატისტიკა





პირველი ინსტანციის სასამართლოში
გამამართლებელი განაჩენით დასრულებული საქმეები წლების მიხედვით





სხვა სტატისტიკური ინფორმაცია 2015 წელს წარმოებული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ:

- არასრულწლოვანთა დაცვა: 482
- საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეები: 4209
- გამამართლებელი განაჩენით დასრულებული საქმეები: 48, მათ შორის პირველი ინსტანციის სასამართლოში 43
- ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენით დასრულებული საქმეები: 18
- სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტით დასრულებული საქმეები: 184
- პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდებით დასრულებული საქმეები: 115
- რეესტრის ადვოკატების მიერ წარმოებაში მიღებული საქმეები: 583




2015: საადვოკატო სერვისის მიმღებთა სქესი
9%
91%
მამრობითი
მდედრობითი


2015: საადვოკატო სერვისით მოსარგებლეთა სოციალური სტატუსი
0%
2%
0%
1%
0%
0%
0%
0%
2%
6%
3%
7%
15%
8%
56%
არასრულწლოვანი
დევნილი, იძულებით გადაადგილებული
ეკო-მიგრანტი
ეროვნული უმცირესობა
ლტოლვილი
მარტოხელა მშობელი
მოქალაქეობის არ მქონე
მრავალშვილიანი
პენსიონერი
სახელმწიფო ენის არ მცოდნე
გადახდისუუნარო
უმუშევარი
უცხო ქვეყნის მოქალაქე

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების სტატისტიკა





გაწეული კონსულტაციების და შედგენილი დოკუმენტების სტატისტიკა






2015: კონსულტაციის სახეობა
6%
0%
12%
82%
პირადი
სატელეფონო
ონლაინ
წერილობითი


2015: კონსულტაციების თემატიკა
სამოქალაქო
ადმინისტრაციული
სისხლი
სოციალური
სხვა
21%
5%
5%
14%
55%


2015: კონსულტაციის მიმღებთა სქესი
40%
60%
ქალი
კაცი


2015: კონსულტაციის მიმღებთა ასაკი
0%
9%
54%
37%
18-მდე
18-30
30-50
50-ზე უფროსი


2015: კონსულტაციის მიმღებთა სოციალური სტატუსი
24%
22%
21%
26%
2%
5%
უმუშევარი
პენსიონერი
შშმ პირი
დევნილი
გადახდისუუნარო
სხვა

სისხლის სამართლის საქმეები

გამამართლებელი განაჩენით დასრულებული საქმეები

ადამიანის სიცოცლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები

- იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს ადვოკატის, მერაბ წულაიას, ძალისხმევით, განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ომარ ბ., სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

  საქმის მასალების მიხედვით, ომარ ბ.-მ, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოშობილი კამათისა და ფიზიკური დაპირისპირებისას, შურისძიების მოტივით, საოჯახო ტიპის დანით თავისი შვილი - პოლიკარპე ბ. მოკლა. ომარ ბ.-ს დამცველად საზოგადოებრივი ადვოკატი დაენიშნა.

  ბრალდებულთან კონსულტაციის შემდეგ დადგინდა, რომ ომარ ბ. იყო სოციალურად დაუცველი, შვილთან ერთად მარტო ცხოვრობდა, ოჯახის ძირითად შემოსავალს წარმოადგენდა სოციალური დახმარება. შვილი პოლიკარპე ბ. ხშირად სძალავდა მამას ფულს, მაღაზიაში ჰქონდა ვალები, ბავშვობაში მიღებული თავის ტრამვის გამო - იყო ფსიქიკურად გაუწონასწორებელი, ხშირად უმიზეზოდ ეჩხუბებოდა და შეურაცხყოფას აყენებდა ოჯახის წევრებსა და მეზობლებს.

  საქმეზე არ არსებობდა თვითმხილველი მოწმე. დაცვისქვეშმყოფთან კონსულტაციის, საქმის მასალების შესწავლის, მოწმეთა გამოკითხვისა და მტკიცებულებების გამოკვლევის საფუძველზე, საზოგადოებრივი ადვოკატი, მერაბ წულაია მივიდა დასკვნამდე, რომ განზრახ მკვლელობას ადგილი არ ჰქონდა. მერაბ წულაიამ სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც არა განზრახი დანაშაულის, არამედ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაზე მიუთითებდა და ამის საფუძველზე ბრალდებულის გამართლება მოითხოვა.

  საბოლოოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ადვოკატ მერაბ წულაიას პოზიცია და ომარ ბ.-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის სამეგრელოს–ფოთის ბიუროს ადვოკატის, როზეტა ზარქუას, ძალისხმევით, განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ალექსანდრე გ., სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

  ალექსანდრე გ. 1993 წელს ჩადენილი მეზობლის მკვლელობისათვის იძებნებოდა. მას, როგორც პირს, რომელიც თავს არიდებდა სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას, სავალდებულო დაცვის ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი დაენიშნა.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად, ადვოკატი როზეტა ზარქუა მივიდა დასკვნამდე, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობის დასადასტურებლად საკმარისი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ იყო. კერძოდ, საქმეზე დაზარალებულად არავინ იყო ცნობილი, არ იყო ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც მკვლელობის მსხვერპლის გარდაცვალების მიზეზს ოფიციალურად დაადასტურებდა. გარდა ამისა, მომხდარს არ ჰყავდა თვითმხილველი და საქმეში არსებული მოწმეთა ჩვენებებით ალექსანდრე გ.–ს ბრალეულობა არ იკვეთებოდა.

ამ გარემოებებთან ერთად, დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას, ადვოკატმა სასამართლოს ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ ფაქტზე, რომ ბრალდებულს ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები და შესაბამის დაწესებულებაში აღრიცხვაზე იმყოფებოდა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, როზეტა ზარქუამ თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა.

საბოლოოდ, ფოთის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და ალექსანდრე გ.–ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდი ბიუროს ადვოკატის, რომან კეიდიას, ძალისხმევით, განზრახ მკვლელობაში ბრალდებული მურთაზ გ., რომელიც 1998 წელს ჩადენილი დანაშაულისთვის იძებნებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

  ადვოკატი, რომან კეიდია, საქმეში სავალდებულო დაცვის ფარგლებში ჩაერთო. მან ყურადღებით შეისწავლა საქმის მასალები და გაარკვია, რომ საქმეში არ იდო მისი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობის დამადასტურებელი არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება. არსებობდა მხოლოდ ჩვენებები მოწმეებისა, რომელთაგან ნაწილი შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა, თუმცა უშუალოდ არ შესწრებია მკვლელობის ფაქტს. ნაწილს კი ეს ამბავი სხვებისგან ჰქონდა გაგონილი. გამოძიებით ასევე დადგენილი არ იყო დანაშაულის მოტივი.

  ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატმა, რომან კეიდიამ, მურთაზ გ.–ის გამართლება მოითხოვა. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და მურთაზ გ.–ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები

საზოგადოებრივი ადვოკატების დახმარებით, თაღლითობაში ბრალდებულები გამართლდნენ

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, მამუკა ბასილაშვილის, ძალისხმევით, თაღლითობაში ბრადებული 80 წლის ელენე კ. სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

საზოგადოებრივი ადვოკატი, მამუკა ბასილაშვილი, ელენე კ.-ს ჯერკიდევ 2011 წლიდან იცავდა, თუმცა მართლმსაჯულების აღსრულების პროცესი იმდენად გაჭიანურდა, რომ ადვოკატმა სასამართლოში დასკვნითი სიტყვის წარმოთქმა და თავისი დაცვისქვეშ მყოფის უდანაშაულობის დამკტიცება მხოლოდ 3 წლის შემდეგ შეძლო.

წარდგენილი ბრალდების თანახმად, ელენე კ., რომელიც საქველმოქმედო ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, მონაწილოებას იღებდა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების - რობიზონ კ.-სა და შოთა ს.-ს მიერ ორგანიზებულ თაღლითურ სქემაში, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული პირები, ელენე კ.-ის მეშვეობით, 3-ლარიანი საწევრო გადასახადის სანაცვლოდ, უმუშევარ და პენსიონერ მოქალაქეებს თავიანთ ორგანიზაციაში გაერთიანებას და, სანაცვლოდ, უცხოეთიდან მიღებული გრანტით, სოციალური დახმარების გაწევას პირდებოდნენ. რამდენიმეთვიანი საქმიანობის შედეგად, თაღლითებმა მოახერხეს 11 ათასზე მეტი მოქალაქის მოტყუება და მათგან 33 ათას ლარზე მეტი ოდენობის ფულადი თანხის მითვისება.

2011 წელს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ რობიზონ კ. და შოთა ს. დამნაშავეებად ცნო თაღლითობის ჩადენაში. ელენე კ.-ის საქმე კი ცალკე წარმოებად გამოიყო და მისი განხილვა 2014 წლის ბოლომდე გაგრძელდა.

ადვოკატმა მამუკა ბასილაშვილმა რამდენჯერმე მიმართა პროკურატურასა და სასამართლოს საქმის განხილვის დროულად დასრულების მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ. მართლმსაჯულების აღსრულების გაჭიანურების გამო, საზოგადოებრივმა ადვოკატმა საჩივრით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა და საჩივრის წარმოებაში მიღებასაც მიაღწია.

2014 წლის ბოლოს ელენე კ.-ის საქმის სასამართლოში განხილვა განახლდა. მოწმეებისა და დაზარალებულების გამოკითხვის, ასევე მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ელენე კ. უდანაშაულო იყო. კერძოდ, არ არსებობდა იმის უტყუარი მტკიცებულებები, რომ ეს ხნიერი ქალბატონი ინფორმირებული იყო რობიზონ კ.-ისა და შოთა ს.-ის ბოროტი ზრახვების შესახებ და, მათთან ერთად, ფულადი თანხების მითვისების მიზნით, მოქმედებდა. საქმეში არ მოიპოვებოდა არც იმის მტკიცებულებები, რომ ელენე კ. მოქალაქეთაგან მოპოვებულ ფულად თანხებს საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განკარგავდა.

აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, საზოგადოებრივმა ადვოკატმა, მამუკა ბასილაშვილმა თავისი დაცვისქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და ელენე კ.-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, ხათუნა ჩხაიძის, ძალისხმევით, ნატო მ., რომელსაც თაღლითობისთვის 6–დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

  ნატო მ.–ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2012 წელს, მასშემდეგ, რაც დაზარალრებულმა ეკატერინე დ.–მ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს და აცნობა მის მიმართ ჩადენილი თაღლითობის შესახებ. საქმე 2008 წელს მომხდარ ფაქტს ეხებოდა. კერძოდ, დაზარალებულის მტკიცებით, მან, ლომბარდში ჩასაბარებლად, ნებაყოფლობით გადასცა 6000 აშშ დოლარის ღირებულების ოქროულობა ნატო მ.–ს, რომელმაც ფინანსური ვალდებულებები არ შეასრულა და 2010 წელს საქართველოს ტერიტორია დატოვა.

  ნატო მ.–ს დაუსწრებლად წარდგინა ბრალი და, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეეფარდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მას, სავალდებულო დაცვის ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი დაენიშნა.

  დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას, ადვოკატმა ხათუნა ჩხაიძემ სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმ ურთიერთწინააღმდეგობებზე, რომლებიც სხვადასხვა დროს დაზარალებულის მიერ მიცემულ ჩვენებებიდან იკვეთებოდა. დაზარალებული ხან იმას ამბობდა, რომ ბრალდებულს ძვირფასეულობა ნებაყოფლობით გადასცა, ხან უთითებდა, რომ ოქროულობის გადაცემა მორალურ–ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მოუხდა. შეუსაბამობები იყო ასევე ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებს შორისაც.

  დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ თაღლითობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, ხოლო პრეტენზიების არსებობის შემთხვევაში, ეკატერინე დ.–ს უნდა მიემართა არა სამართალდამცავი ორგანოებისთვის, არამედ ნატო მ.–სთან არსებული დავა სამოქალაქო სასამართლოში გადაეწყვიტა.

  ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატმა ხათუნა ჩხაიძემ სასამათლოსგან თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა.

  თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და ნატო მ. უდანაშაულოდ სცნო.

საზოგადოებრივი ადვოკატების დახმარებით, ქურდობაში ბრალდებულები გამართლდნენ

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, იმედა ქარქაშაძე, იცავდა ჰერკულეს ჩ.-ს და გია მ.-ს, რომელთაც ბრალი ედებოდათ ბინაში შეღწევით ჩადენილ ქურდობაში.

  საქმე ეხებოდა 1995 წელს მომხდარ დანაშაულს, რომლისთვისაც აღნიშნული პირები ძებნაში იყვნენ გამოცხადებულნი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მათ დაენიშნათ ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

  ადვოკატი იმედა ქარქაშაძე გაეცნო საქმის მასალებს და, ფაქტობრივი და სამართლებრივი ანალიზის შემდეგ, მივიდა დასკვნამდე, რომ ბრალდებულები უნდა გამართლებულიყვნენ, ვინაიდან საქმეში არ მოიძებნებოდა მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა მათ ბრალეულობას. მოწმეთა დაკითვის დროს კი გაირკვა, რომ ბრალდებულებმა საქართველო 1994 წელს დატოვეს, შესაბამისად 1995 წელს დანაშაულს ვერ ჩაიდენდნენ.

  აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, ადვოკატმა იმედა ქარქაშაძემ თავისი დაცვისქვეშმყოფთა გამართლება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლომ საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია გაიზიარა და ბრალდებულთა მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს ადვოკატის, თამაზ გურაშვილის, ძალისხმევით, ქურდობისთვის მსჯავრდებული ფამილ მ. უზენაესმა სასამართლომ გაამართლა.

  ფამილ მ., რომელიც ერთ-ერთ ფერმაში მწყემსად მუშაობდა, 4 მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ქურდობისთვის დააკავეს. საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატის ჩართვის დროისათვის გამოძიება უკვე დასრულებული იყო, ხოლო ბრალდებულს შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა.

  დაცვისქვეშმყოფთან შეხვედრის შემდეგ, ადვოკატმა გაარკვია, რომ ფამილ მ.-მ პირუტყვი ფარულად კი არ მიისაკუთრა, არამედ იმავე ფერმაზე მომუშავე მეორე მწყემსისგან იყიდა, საქონლის ღირებულება - 800 ლარი კი ფერმის მესაკუთრეს გამოართვა. აქედან გამომდინარე, დაცვის მხარემ მიზნად დაისახა ბრალდებულის გამართლება.

  სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ ფამილ მ.-ს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ადვოკატმა თ.გურაშვილმა ეს განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა.

ამის შემდეგ, საზოგადოებრივმა ადვოკატმა საკასაციო საჩივრით უზენაეს სასამართლოს მიმართა. თ.გურაშვილი კვლავინდებურად ფამილ მ.-ის გამართლებას მოითხოვდა, რასაც საქმეში ფამილ მ.-ის მამხილებელი მტკიცებულებების არარსებობით ასაბუთებდა.

საბოლოოდ, უზენაესმა სასამართლომ საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია გაიზიარა, ფამილ მ. გაამართლა და სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს ადვოკატის, ირაკლი ბენიას, ძალისხმევით, წარსულში ნასამართლები ე.მ., რომელსაც ბრალი ედებოდა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის მცდელობაში, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

  საქმე მთლიანად აგებული იყო საპატრულო პოლიციის თანამშრომლეთა ჩვენებებზე, რომლებიც ე.მ.–ს და მის მეგობარს დაზარალებული მ.ო.–ს 1500 ლარად ღირებული ცხენის ქურდობის მცდელობაში ამხელდნენ.

  საზოგადოებრივი ადვოკატის, ირაკლი ბენიას, საქმეში ჩართვის მომენტისათვის, ე.მ.–ს უკვე წაყენებული ჰქონდა ბრალი და, აღკვეთის ღონისძიების სახით, შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა. საქმის მასალების შესწავლისა და დასაცავ პირთან გასაუბრების შემდეგ, ადვოკატი ი.ბენია მივიდა დასკვნამდე, რომ საქმეში არ არსებობდა ე.მ.–ის ბრალეულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, შესაბამისად, დაცვის მხარემ თავისი ძალისხმევა ბრალდებულის გამართლებისკენ მიმართა.
  საქმის სასამართლო განხილვის ეპატზე, პოლიციელების ჩვენებებით დადგინა მხოლოდ ის, რომ მათ რეალურად მხოლოდ მინდორში აშვებული ცხენი ნახეს. მაგრამ ვერც ერთი ვერ ადასტურებდა იმას, რომ დაბმული ცხოველი სწორედ ე.მ.–მ და მისმა მეგობარმა გაათავისუფლეს და მისი მისაკუთრება სცადეს.

  აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, ადვოკატმა ი.ბენიამ თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა. ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ გაითვალისწინა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია, ე.მ.–ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა და სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატების, იოსებ ნატროშვილის და დიანა ფირუმიანის, ძალისხმევით, წარსულში ნასამართლები გიორგი ფ., რომელსაც ბრალი ედებოდა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობაში, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

  გიორგი ფ.–სა და მასთან ერთად კიდევ სამი ბრალდებულის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითადად დაზარალებულის ჩვენებას ეყრდნობოდა. კერძოდ, ისაკ ო., რომელიც თბილისში მდებარე ერთ–ერთი სასტუმროს მფლობელი

იყო, ამტკიცებდა, რომ ბრალდებულები გაკრვეული პერიოდის განმავლობაში მასთან მუშაობდნენ. მათ ჯერ განზრახ დააზიანეს დაზარალებულის კუთვნილი ავტომობილი, იცოდნენ რა რომ მანქანა დაზღვეული იყო. შემდეგ კი, სასტუმროში შეღწევით, ფარულად დაეუფლნენ სეიფს, რომელშიც სადაზღვევო კომპანიის მიერ ავტომობილის დაზიანებისთვის ანაზღაურებული თანხა – 8000 ლარი ინახებოდა. თუმცა, ისაკ ო. ამბობდა, რომ ბრალდებულებმა – არა მხოლოდ სეიფში არსებული ფული და ძვირფასეულობა, არამედ შენობის სხვა ადგილებში შენახული ფულიც წაიღეს.

ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდათ პატიმრობა. საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატების ჩართვამდე, გიორგი ფ. თავს დამნაშავედ ცნობა, თუმცა საქმის მასალების შესწავლის შემდეგ, დაცვის მხარე მივიდა დასკვნამდე, რომ გიორგი ფ.–ს ბრალეულობის დასადასტურებლად საკმარისი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ იყო.

დასკვნით სიტყვაში, დაცვის მხარემ ყურადღება გაამახვილა გიორგი ფ.–ის ბრალეულობის დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობაზე. გარდა ამისა, დაცვის მხარემ ეჭვქვეშ დააყენა გამოძიების სრულყოფილება და ობიექტურობა, ვინაიდან არ ჩატარებულა ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, როგორებიც იყო სასტუმროს სათვალთვალო ვიდეო–კამერებიდან ჩანაწერების ამოღება, სასტუმროს თანამშრომლების დაკითხვა, ბრალდებულთა მობილური ტელეფონებიდან ამონაწერის ამოღება, რომელიც ბრალდებულებს შორის წინმსწრებ კომუნიკაციას და დანაშაულის მომზადებას დაადასტურებდა. აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, დაცვის მხარემ გიორგი ფ.–ს გამართლება მოითხოვა.

საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და გიორგი ფ.–ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა. მასთან ერთად, აღნიშნულ საქმეზე, დანარჩენი ბრალდებულებიც გამართლდნენ.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, იოსებ ნატროშვილი, თბილისის სააპელაციო სასამართლოში იცავდა ამირან ლ.–ს, რომელსაც ახალციხის რაიონულმა სასამართლომ, პირობითი სასჯელის მოხდისას განმეორებით ჩადენილი ქურდობისათვის, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

  ადვოკატი, იოსებ ნატროშვილი, მოითხოვდა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლებას, რასაც ასაბუთებდა გამომძიებლის, ექსპერტებისა და პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ საქმის წარმოებისას დაშვებული საპროცესო დარღვევებით. დაცვის მხარემ ასევე მოიპოვა და წარმოადგინა მკტიცებულებები, საიდანაც ირკვეოდა, რომ დღის იმ მონაკვეთში, როდესაც ქურდობა მოხდა, ბრალდებული შემთხვევის ადგილზე არ იმყოფებოდა.

საბოლოოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ადვოკატ იოსებ ნატროშვილის პოზიცია და ამირან ლ.–ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, დავით ბოჭორიშვილი, იცავდა პაატა ხ.–ს, რომელსაც ბრალი ედებოდა არაერთგზის ჩადენილ ქურდობაში.

  ბრალდების წაყენებისა და პატიმრობის შეფარდების დროისათვის, პაატა ხ. უკვე ნასამართლები იყო ქურდობისა და თაღლითობისთვის და იხდიდა პირობით სასჯელს. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო თბილისის ერთ–ერთ მეტროსადგურთან მდებარე სათამაშო აპარატიდან 10 ლარის ქურდობის ფაქტზე.

  საქმესთან დაკავშირებით დაიკითხა რამდენიმე მოწმე, ასევე ამოღებულ იქნა სათვალთვალო ვიდეოკამერის ჩანაწერები. ვერც მოწმეთა ჩვენებებიდან და ვერც ვიდეოჩანაწერიდან ვერ დადასტურდა, რომ სათამაშო აპარატიდან ფულადი თანხა უშუალოდ პაატა ხ.–მ მიითვისა.

  აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, ადვოკატმა დავით ბოჭორიშვილმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა და პაატა ხ.–სმიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

საზოგადოებრივი ადვოკატების დახმარებით, ყაჩაღობაში ბრალდებულები გამართლდნენ

- იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს ადვოკატის, იოსებ ჯამასპიშვილის, ძალისხმევით, რამინ მ.ო., რომელსაც, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისთვის 9 წლით თავისუფლების აღლვეთა მიესაჯა, უზენაესმა სასამართლომ გაამართლა.

  ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ რამინ მ.ო. წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ სცნო და, სასჯელის სახით, 9 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. საზოგადოებრივმა ადვოკატმა, იოსებ ჯამასპიშვილმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრა, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. ამის შემდეგ, იოსებ ჯამასპიშვილმა საჩივრით უზენაეს სასამართლოს მიმართა.

  საკასაციო საჩივარში, იოსებ ჯამასპიშვილი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებებზე, რომ რამინ მ.ო.-ს დაკავება და მისი მონაწილოებით საგამოძიებო მოქმედებები განხორციელდა ისე, რომ იგი არ იყო უზრუნველყოფილი დამცველის მომსახურებით. ამასთან, სისხლის სამართლის საქმე აგებული იყო მხოლოდ პოლიციელების

ჩვენებებზე, რომლებიც ეყრდნობოდა არა ოპერატიულ ინფორმაციას, არამედ ზეწოლის შედეგად მოპოვებულ რამინ მ.ო.-ს აღიარებით ჩვენებას.

უზენაესმა სასამართლომ საზოგადოებრივი ადვოკატის არგუმენტები გაიზიარა. კერძოდ, უზენაესი სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ რამინ მ.ო.-ს მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებას. აღნიშნული გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდა ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის ან პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას.

საბოლოოდ, უზენაესმა სასამართლომ შეიტანა ცვლილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში და წარდგენილ ბრალდებაში რამინ მ.ო. სრულად გაამართლა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, ხათუნა ჩხაიძე, იცავდა რ.ქ.–ის, რომელიც 1996 წელს ჩადენილი დანაშაულისთვის, გამოცხადებული იყო ძებნაში.

  წარდგენილი ბრალდების მიხედვით, რ.ქ.–მ, თანამზრახველებთან ერთად, ჩაიდინა ყაჩაღობა და გაიტაცა სატრანსპორტო საშუალება.

  ბრალდების მხარემ რ.ქ.–ის მამხილებელი მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა. საქმეს არ ერთვოდა ნივთმტიცებები. არ იყო ჩატარებული ამოცნობა და სხვა საგამოძიებო მოქმედება. ასევე უკვე გარდაცვლილი იყო ამ საქმეზე დაზარალებულად ცნობილი პირი.

  აღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატმა ხათუნა ჩხაიძემ თავისი დაცვისქვეშმყოფის გამართლება მოითხოვა.

  თბილისის საქალაქო სასამართლომ საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია გაიზიარა და რ.ქ.–ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის –სულხან კომახიძის და მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატის – დიმიტრი ნოზაძის ძალისხმევით, ილია ტ. და გოგიტა ზ., რომლებსაც ბრალი ედებოდათ ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობაში, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდნენ.

  საქმის მასალების მიხედვით, არასრულწლოვანმა ილია ტ.–მ, ყაჩაღობისთვის ნასამართლებ ორ პირთან – გოგიტა ზ.–სა და გიორგი ქ.–სთან ერთად, 2014 წლის 12

დეკემბერს, გვიან ღამით, თბილისის ერთ–ერთ უბანში, სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის მუქარით, დააყაჩაღა ტაქსის მძღოლი, რითაც დაზარალებულს მიადგა 700 ლარის ოდენობის ზიანი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ილია ტ.–მ და გიორგი ქ.–მ იმავე ტერიტორიის მახლობლად გაჩერებული „ტოიოტის" მოდელის ავტომობილიდან, მინის ჩამტვრევით, სხვადასხვა ნივთები და სარკე მოიპარეს, რითაც დაზარალებულს 350 ლარის ოდენობის ზიანი მიაყენეს. ილია ტ. და გიორგი ქ. დანაშაულის ჩადენის ღამესვე დააკავეს. მათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

ილია ტ.–ს და გოგიტა ზ.–ს დამცველებად იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებრივი ადვოკატები – სულხან კომახიძე და დიმიტრი ნოზაძე დაენიშნათ. საქმის სასამართლოში განხილვის ეპატზე, მტკიცებულებათა გამოკვლევისას, საზოგადოებრივმა ადვოკატმა ყურადღება გაამახვილეს იმ საპროცესო დარღვევებზე, რომელთაც ადგილი ქონდა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს. ამ საპროცესო დარღვევების და პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობის გათვალისწინებით, სულხან კომახიძემ და დიმიტრი ნოზაძემ თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფთა გამართლება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაცვის მხარის პოზიცია გაიზიარა და ილია ტ., გოგიტა ზ. და გიორგი ქ. ყაჩაღობის ბრალდებაში გაამართლა.

ამავდროულად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ილია ტ.–ს და გიორგი ქ.–ს მიერ ქურდობის ჩადენა. საბოლოოდ, ილია ტ.–ს, არასრულწლოვანთათვის დადგენილი შეღავათის გათვალისწინებით, სასჯელის სახით, 3 წლის 4 თვისა 15 დღის ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო გიორგი ქ.–ს 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისთვის სისხლის სამართლის კოდექსი – 6–დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო იმავე დანაშაულის არაერთგზის ჩადენა კი 8–დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, დავით ბოჭორიშვილი, იცავდა გიორგი მ.–ს, რომელსაც ბრალი ედებოდა ყაჩაღობაში (თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით) და ხუთიდან შვიდ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. ბრალდებულს, აღკვეთის ღონისძიების სახით, შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა.

ადვოკატი, დავით ბოჭორიშვილი, საქმეში ჩაერთო იმ ეტაპზე, როდესაც პროკურატურამ გიორგი მ.–სთან დაიწყო მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების თაობაზე. ბრალდებულთან გასაუბრებისა და საქმის მასალების შესწავლის შემდეგ, დაცვის მხარე

მივიდა დასკვნამდე, რომ არსებული მტკიცებულებები გიორგი მ.–ის ბრალეულობის დასადასტურებლად საკმარისი არ იყო. ადვოკატის რჩევით, ბრალდებულმა საპროცესო გარიგებაზე უარი თქვა და საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში გაგრძელდა.

საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, ბრალდების მხარემ რამდენჯერმე ვერ უზრუნველყო სხდომაზე დაზარალებულის გამოცხადება. არადა სწორედ დაზარალებულის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება იყო ის ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც პროკურატურამ გიორგი მ.–ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. მას შემდეგ, რაც სასამართლოში დაზარალებულის დაკითხვა მოხერხდა, გაირკვა, რომ ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულის მიმართ რაიმე მუქარას ადგილი არ ჰქონია, და რომ დაზარალებულმა პოლიციას მხოლოდ იმიტომ მიმართა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ გიორგი მ.–ს სხვებისთვის რაიმე არ დაეშავებინა.

ამ ჩვენებისა და საქმეში არსებული პროცესუალური დარღვევების გათვალისწინებით, დაცვის მხარემ ბრალდებულის გამართლება მოითხოვა.

საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ადვოკატ დავით ბოჭორიშვილის პოზიცია, გიორგი მ.–ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა და სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.

ნარკოტიკულ დანაშაულში ბრალდებულები გამართლდნენ

- იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატის, იოსებ გაბარაევის, დახმარებით, კასპის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრი, ელვარ ხ., რომელსაც ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო მოყვანისათვის ორიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სრულად გამართლდა.

  საქმეში ჩართვის შედმეგ, ადვოკატმა იოსებ გაბარაევმა დაიწყო აქტიური მუშაობა დასაცავი პირის გასამართლებლად. ადვოკატი ჩავიდა ელვარ ხ.-ის სოფელში, დაათვალიერა კარ-მიდამო, შეხვდა და გაესაუბრა ბრალდებულის მეზობლებს.

  გაირკვა, რომ კანაფი, რომლის კულტივირებას ელვარ ხ.-ს ედავებოდნენ, ფართოდ იყო გავრცელებული სოფელში და თავისით ამოდიოდა, რაც დაცვის მხარის მოწმეებმა სასამართლოშიც დაადასტურეს. ამასთან, არ არსებობდა არანაირი პირდაპირი მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა, რომ ბრალდებული უშუალოდ მონაწილეობდა მცენარის კულტივირებაში.

  საბოლოოდ, გორის რაიონულმა სასამართლომ ელვარ ხ. წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, მერაბ მამულაძე, იცავდა თურქეთის მოქალაქე შეფიქ ს.-ს, რომელსაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენისა და საქართველოდან ტრანზიტულად გადაზიდვისათვის უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

  გამოძიების ვერსიით, თურქეთის მოქალაქეებს ირანში ნაყიდი თხევადი ნარკოტიკული ნივთიერება, ჰიგიენის საშუალების საფარქვეშ, საქართველოს გავლით, მოლდოვაში გადაჰქონდათ.

  შეფიქ ს. თავს დამნაშავედ არ სცნობდა. ბრალდებული ამკტიცებდა, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებასთან არანაირი კავშირი არ გქონდა და უბრალოდ ასრულებდა მეგობრის თხოვნას ტვირთის დოკუმენტაციის მოზადებასთან დაკავშირებით.

  საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე, დასკვნით სიტყვაში, ადვოკატმა, მერაბ მამულაძემ, ეჭვქვეშ დააყენა ჩატარებული გამოძიების სიზუსტე. არ არსებობდა არც ერთი მკტიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა ნარკოტიკულ ნივთიერებასთან შეფიქ ს.-ს კავშირს. შესაბამისად, საზოგადოებრივმა ადვოკატმა თავისი დაცვისქვეშმყოფის გამართლება მოითხოვა.

  საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია, შეფიქ ს. უდანაშაულოდ სცნო და, 8-თვიანი პატიმრობის შემდეგ, სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, იოსებ ნატროშვილის, ძალისხმევით, ნინელი ნ., რომელსაც ბრალი ედებოდა ნარკოტიკული საშუალების შეძენა–შენახვა–გასაღებაში, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

  წარდგენილი ბრალდების თანახმად, ნინელი ნ.–მ, გამოძიებით დაუდგენელი პირისგან, შეიძინა 1720 გ. ყაყაჩოს თესლი, რომელიც უკანონოდ გაასაღა პ.უ.–ზე. საქმეზე გამოძიება დაწყებული იყო 2004 წელს, თუმცა სასამართლო განხილვა 2014 წელს დაიწყო. ბრალდებულმა გამოძიების ეტაპზე აღიარა დანაშაული. ნინელი ნ.–ის მიმართ აღკეთის ღონისძიება გამოყენებული არ იყო.

  ვინაიდან ბრალდებული თავს არიდებდა სასამართლოში გამოცხადებას, მას, სავალდებულო დაცვის ფარგლებში, საზოგადოებრივი ადვოკატი, იოსებ ნატროშვილი დაენიშნა. სასამართლო პროცესზე დაკითხვისას, ნინელი ნ.–მ განმარტა, რომ გამოძიებას აღიარებითი ჩვენება ზეწოლის შედეგად მისცა, სინამდვილეში კი თავს

დამნაშავედ არ სცნობდა. მისგან ნარკოტიკული საშუალების შეძენის ფაქტი პ.უ.–მაც უარყო.

აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, ადვოკატმა იოსებ ნატროშვილმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და ნინელი ნ.–ის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, პაატა მეხრიშვილის, თენგიზ მ., რომელსაც ბრალი ედებოდა მცირე ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებაში, სასამართლოს მიერ სრულად გამართლდა.

  თენგიზ მ.–ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი გახდა არა უშუალოდ ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტი, არამედ ის გარემოება, რომ ამ სამართალდარღვევის ჩადენისას, იგი, გამოძიების მტკიცებით, ანალოგიური დანაშაულისათვის უკვე ნასამართლები იყო. ამასთან, თენგიზ მ.–ს ნარკოტიკების მოხმარების ფაქტი 2013 წლის მაისში დაუდგინდა, ბრალი კი მხოლოდ ორი წლის შემდეგ წარედგინა.

  ადვოკატი პაატა მეხრიშვილი საქმეში ჩაერთო იმ ეტაპზე, როდესაც ბრალდების მხარემ თენგიზ მ.–სთან საპროცესო შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებები დაიწყო, თუმცა საქმის მასალების შესწავლის შემდეგ, დაცვის მხარე მივიდა დასკვნამდე, რომ თენგიზ მ.–ის დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობდა.

  გაირკვა, რომ თენგიზ მ.–ს წარსულში მართლაც ჰქონდა ჩადენილი ნარკოტიკული დანაშაული, თუმცა ბრალის წარდგენის მომენტისთვის მას ნასამართლობა უკვე მოხსნილი ჰქონდა პრეზიდენტის მიერ 2013 წლის ოქტომბერში გამოცემული განკარგულების საფუძველზე. ამასთან, პრეზიდენტის განკარგულებაში ცალსახად იყო მითითებული, რომ შეწყალების აქტის დამაბრკოლებელ გარემოებად შეიძლება მიჩეულიყო იყო არა პირის მიმართ გამოძიების დაწყება, არამედ ბრალის წარდგენა, რაც თენგიზ მ.–ს შემთხვევაში მოხდა უკვე მას შემდეგ, რაც მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი – ნასამართლობა აღარ არსებობდა. სწორედ ამ გარემობაზე დაყრდნობით, ადვოკატმა პაატა მეხრიშვილმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება მოითხოვა.

  საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია, თენგიზ მ.–ის მიმართ გამამართლებელი გააჩენი დაადგინა და გააუქმა ბრალდებულისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო.

- იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე–ჯავახეთის ბიუროს ადვოკატი, პაატა მანველიშვილი, იცავდა თურქეთის მოქალაქე ენგინ უ.–ს, რომელსაც ბრალი ედებოდა მასში, რომ საქართველოში უკანონოდ შემოიტანა ნარკოტიკული საშუალება.

  საქმის მასალების მიხედვით, საბაჟო–გამშვებ პუნქტ ვალეს დაკვეთისას, ბრალდებულს აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი წამალი „აპრანაქს პლუსი. აღნიშნულ ფაქტზე, ენგინ უ.–ს მიმართ, შსს–ს სამცხე–ჯავახეთის მთავარ სამმართველოში დაიწყო გამოძიება და სამცხე–ჯავახეთის საოლქო პროკურატურამ ბრალი წარუდგინა სსკ – 262–ე მუხლის პირველი ნაწილით, აღკვეთი ღონისძიების სახედ ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ შეეფარდა გირაო. ვინაიდან ენგიზ უ. იყო თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე და მას საქართველოში არ ჰქონდა საცხოვრებელი, იგი გაემგზავრა თურქეთში, სასამართლომ კი გირაო შეუცვალა პატიმრობით და გამოცხადდა ძებნა.

  დაცვის მხარემ მოიპოვა მტკიცებულებები, ექიმის დანიშნულება, წამლის შეძენის ქვითარი, ანოტაცია (წამლის ინსტრუქცია), ნარკოლოგიური დასკვნა. აღნიშნული მტკიცებულებებით დგინდებოდა, რომ ბრადებულს ექიმის მიერ სამკურნალოდ ჰქონდა დანიშნული აღნიშნული წამალი და მას იგი აფთიაქში კანონიერი გზით ჰქონდა შეძენილი.

  სასამართლო პროცესზე დაკითხული იქნა მებაჟე ოფიცრები, რომელებმაც განმარტეს, რომ ენგიზ უ.–ს აღნიშნული წამალი მალულად არ შემოჰქონდა, მას იგი საზღვარზე შემოსვლისას თან ჰქონდა მის კუთვნილ ავტომანქანაში ღია ხილულ ადგილზე დადებული.

  დაცვის მხარემ სასამართლოში მოითხოვა ბრალდებულის გამართლება შემდეგი არგუმენტებით: ბრალდებულს ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი წამალი „აპრანაქს პლუსი" თურქეთის რესპუბლიკაში ექიმის მიერ სამკურნალოდ ჰქონდა დანიშნული, ასევე თურქეთის რესპუბლიკაში კანონიერად ჰქონდა შეძენილი აფთიაქში, იგი არ შემოჰქონდა მალულად, რაც დასტურია იმისა, რომ მას არ ჰქონია განზრახვა უკანონოდ შემოეტანა ნარკოტიკული ნივთიერება საქართველოში. ბრალდებულს არ შეიძლება სცოდნოდა, რომ საქართველოში აღნიშნული პრეპარატი ითვლებოდა ნარკოტიკულ საშუალებად, რადგანაც საერთაშორისო ნარკოტიკების კონტროლის კომიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, შემოტანილი პრეპარატი არ მიეკუთვნება საერთაშორისო კონტროლს, ანუ არ წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალებას, მათ შორის, არც თურქეთში, არც სომხეთში და არც აზერბაიჯანში. რაც შეეხება საქართველოს, „აპრანაქს პლუსი" ნარკოტიკულ საშუალებად მიიჩნევა 2014 წლის 12 მარტის შემდგომ, განხორციელებული ცვლილების თანახმად.

  ადვოკატმა პაატა მანველიშვილმა სასამართლოს ყურადღების გამახვილება სთხოვა საქართველოს უზენაესი სასმართლოს პრაქტიკაზე, კერძოდ კი 2001 წლის 19 ივლისის განაჩენი საქმე ნომერი 32-აპ (მოსამართლეები: მ. ტურავა, ნ. გვენეტაძე, ი.

ბიბილაშვილი), აღნიშნულ საქმეში პირს ბრალი ედებოდა სსკ–ს 260–ე და 262–ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენაში, რომელიც გამართლდა სსკ–ს 262 მუხლში და მისი დასაბუთება გამოიხატებოდა იმაში, რომ პირს არ შეიძლება ჰქონოდა ქმედების მართლსაწინააღმდეგო შეგნება, თუ პრეპარატი თავის ქვეყანაში სპეციალურ კონტროლს არ საჭიროებს და ასევე გააჩნია სამედიცინო დანიშნულება.

სასამართლომ საბოლოოდ გაიზიარა დაცვის მხარის მოთხოვნა და 2015 წლის 23 დეკემბერს ბრალდებულის მიმართ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი.

სხვადასხვა დანაშაულში ბრალდებულები გამართლდნენ

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, ანნა შიშნიაშვილის დახმარებით, ვალერი ხ., რომელსაც ბრალი ედებოდა მოწმეზე ფიზიკური ძალადობით ჩადენილი ზემოქმედების განხორციელებაში, სასამართლოს მიერ გამართლდა.

  საქმე ეხებოდა თბილისში, მოსკოვის გამზირზე არსებულ მიუსაფართა თავშესაფარში მომხდარ ქურდობას, რომელზეც ბრალდებულის სახით დაკავებული იყო თავშესაფრის ერთ-ერთი ბინადარი ნიკოლოზ მ.. მისი მეგობარი ვალერი ხ. კი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს იმისთვის, რომ ზეწოლა მოახდინა მოწმეზე, რომელიც ნიკოლოზ მ.-ს ქურდობაში ამხელდა.

  ვალერი ხ. წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა. მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივმა ადვოკატმა, ანნა შიშნიაშვილმა გამოიკვლია მტკიცებულებები და გაეცნო მოწმეთა ჩვენებებს, დადგინდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი საერთოდ არ იმყოფებოდა უმწეოთა თავშესაფარში. ადვოკატმა ბრალდებულის გამართლება მოითხოვა. სასამართლომ გაიზიარა ანნა შიშნიაშვილის პოზიცია და ვალერი ხ.–ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს ადვოკატი, ნუნუ ნემსიწვერიძე, იცავდა მერაბ პ.-ს და ზურაბ ლ.-ს, რომლებსაც ბრალი ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვაში ედებოდათ.

  საქმის მასალების მიხედვით, თელავის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრმა, მერაბ პ.-მ, სოფლის მახლობლად, სამი მუხა უკანონოდ მოჭრა. დაჭრილი ხეების დამუშავებასა და ტრანსპორტირებაში კი ზურაბ ლ. დაიხმარა.

  მათ მიერ მიყენებულმა ზიანმა 1700 ლარს გადააჭარბა. ორივე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. მერაბ პ.-ს ბრალი - ხეების მოჭრაში, ზურაბ ლ.-ს კი გაწეულ დახმარებაში წარედგინა.

ორივე ბრალდებული აღიარებდა დანაშაულს, თუმცა, ადვოკატი, ნუნუ ნემსიწვერიძე, მიიჩნევდა, რომ ზურაბ ლ.-ის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები არ იყო, რამდენადაც მოჭრილი ხეების კოტრებად დაჭრა და მანქანაზე ატვირთვა თავისთავად დანაშაულებრივ ქმედებას არ წარმოადგენს.

საბოლოოდ, თელავის რაიონულმა სასამართლომ ზურაბ ლ. წარდგენილ ბრალდებაში ცნო უდანაშაულოდ, მერაბ პ.-ის კი ორწლიანი პირობითი სასჯელი განუსაზღვრა.

- ნაფიცმა მსაჯულებმა, რომლებიც სამსახურებრივი გულგრილობის საქმეს იხილავდნენ, საზოგადოებრივი ადვოკატის, გელა სიორდიას დაცვის ქვეშ მყოფის - ი.ჭ.-ის მიმართ გამამართლებელი ვერდიქტი მიიღეს. პროცესი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა.

  ი.ჭ. 2010-2014 წლებში იმერეთის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე იყო. გამოძიება მას ედავებოდა სამსახურეობრივი გულგრილობის ჩადენას, რაც გამოიხატა შემდეგში:

  ი.ჭ. თავმჯდომარეობდა სატენდერო კომისიას, რომელსაც, კლდის ფერდობებზე ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოების ჩასატარებლად, კომპანია უნდა შეერჩია. გამოძიებით დადგინდა, რომ ტენდერში გამარჯვებულმა შპს-მ სამუშაოებისთვის გამოიყენა უფრო იაფად ღირებული მასალა, ვიდრე ეს სატენდერო პირობებით იყო გათვალისწინებული. მიღება-ჩაბარების აქტში კი, რომელსაც ხელი ი.ჭ.-მ მოაწერა, აღინიშნა, რომ სამუშაოები შესრულდა მუნიციპალიტეტის მიერ მოთხოვნილი მასალით, რომლის ღირებულება გამოყენებული მასალის ღირებულებას 3-ჯერ აღემატებოდა.

  თავისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობის დასადატურებლად, ადვოკატმა, გელა სიორდიამ, ნაფიც მსაჯულთა ყურადღება რამდენიმე გარემოებაზე გაამახვილა: 1) ი.ჭ.-ს არ ჰქონდა სპეციალური ცოდნა და, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისას, ექსპერთა მოსაზრებებს დაეყრდნო. 2) საკრებულოს თავმჯდომარის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2014 წლის აპრილში, რაც საეჭვოდ დაემთხვა თვითმმართველობის არჩევნების წინა პერიოდს. 3) ამავე საქმეზე ბრალდებული იყო კიდევ რამდენიმე პირი, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში ჯერკიდევ 2012 წლის ბოლოს მისცეს.

  საბოლოოდ, სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა გამოკვლევის და მხარეთა დასკვნითი სიტყვების მოსმენის შემდგომ, თორმეტივე ნაფიცმა მსაჯულმა გამამართლებელი ვერდიქტი ერთხმად მიიღო.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატს, მარიკა გერსამიას, დაევალა ბრალდებულ ნათია გ.–ის ინტერესების დაცვა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

წარდგენილი ბრალდების თანახმად, ნათია გ.–ს ბრალი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა სამსახურეობრივი გულგრილობა, ე.ი. მოხელის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობა და არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური პირის კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

ბრალდების მხარე ნათია გ.–ს ედავებოდა, რომ მან, როგორც საჯარო მოხელემ, არ გააკონტროლა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში რუსეთის ფედერაციიდან ექსტრადირებული პატიმრების მიღების კანონიერება, რის გამოც პატიმრები უკანონოდ იმყოფებოდნენ დაწესებულებაში.

დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ სამსახურეობრივ გულგრილობას ადგილი არ ჰქონია. მარიკა გერსიამიამ სასამართლოს შესაბამისი მტკიცებულებები და არგუმენტებიც წარუდგინა.

საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი და ნათია გ. წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნო.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, ირმა ინასარიძის ძალისხმევით, ქურდობაში ბრალდებულ ჟანა გ.–ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

  საზოგადოებრივი ადვოკატი, ირმა ინასარიძე, საქმეში ჩაერთო მაშინ, როდესაც ბრალდებულთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების თაობაზე. როგორც გაირკვა, ბრალდებული საპროცესო შეთანხმების პირობებს თანხმდებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ არ სურდა მისი ოჯახის წევრებისათვის ცნობილი გამხდარიყო სამართალდამცავ ორგანოებთან მისი პრობლემების შესახებ, ხოლო აღიარებითი ჩვენება ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად იყო მოპოვებული.

  იმის გათვალისწინებით, რომ ჟანა გ.-ის წინააღმდეგ არ არსებობდა არც რაიმე ნივთიერი მტკიცებულება და არც დანაშაულის თვითმხილველი მოწმეები, ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

- კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, გია ფარადაშვილის დახმარებით, ბრალდებულ ირაკლი ბ., რომელსაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დაღვევისათვის, 3–დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგელობას განარიდეს.

საქმე ავტოსაგზაო შემთხვევას ეხებოდა. კერძოდ, ირაკლი ბ.-მ გადააჭარბა დასაშვებ სიჩქარეს, რის შედეგადაც, მისი ავტომანქანა დაზიანდა, მგზავრებმა კი სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები მიიღეს. მძღოლმა აღიარა დანაშაული.

საზოგადოებრივი ადვოკატის, გია ფარადაშვილი დახმარებით, ირაკლი ბ.-ს აღკვეთის ღონისძების სახით შეეფარდა პირადი თავდებობა (ნაცვლად 3000-ლარიანი გირაოსი, რომელსაც პროკურატურა მოითხოვდა). ბოლოს კი მის მიმართ გამოყენებულ იქნა განრიდების მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც ირაკლი ბ.-ის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა და განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 150 საათის ოდენობით.

- იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი, იოსებ გაბარაევი, თანასოფლელის ცემაში ბრალდებულ გიორგი მ.–ს იცავდა.

  საქმეში ჩართვისთანავე, საზოგადოებრივმა ადვოკატმა, იოსებ გაბარაევმა ბრალდებულს გაუწია იურიდიული კონსულტაცია, ასევე მოლაპარაკებები აწარმოა როგორც დაზარალებულთან, ისე ბრალდებულთან. პროკურატურას კი განრიდების შესახებ შუამდგომლობით მიმართა.

  დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, პროკურატურა განრიდების მექანიზმის გამოყენებას დათანხმდა. გიორგი მ.–ს დაეკისრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, რომლის შემდეგაც, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს ადვოკატი, გია ფარადაშვილი, იცავდა ეკატერინე გ.-ს, რომელსაც ბრალი ედებოდა ქურდობაში.

  საქმის მასალების მიხედვით, ეკატერინე გ.-მ ახლობლებთან სტუმრობისას მასპინძლის ხელჩანთიდან ამოიღო და ფარულად დაეუფლა 100 ლარს. ბრალდებულმა აღიარა დანაშაული. მას დამცველად საზოგადოებრივი ადვოკატი, გია ფარადაშვილი, დაენიშნა.

  მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარე ეკატერინე გ.-ს საპროცესო შეთანხმების გაფორმებას სთავაზობდა, 1-წლიანი პირობითი სასჯელით, დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ არსებობდა ყველა საფუძველი, რომ ეკა გ.-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილიყო.

  დაცვის მხარეს საამისოდ საკმრისი არგუმენტებიც ჰქონდა: ეკატერინე გ. პირველად იყო მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მის მიერ ჩადენილი დანაშაული განეკუთვნებოდა ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიას, ამასთან ბრალდებული იყო

სოციალურად დაუცველი და იღებდა შემწეობას, გარდა ამისა, ეკატერინე გ.-ს ჰქონდა დიაბეტი, რის გამოც მუდმივად საჭიროებდა მედიკამენტებს.

საბოლოოდ, ბრალდების მხარე საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიციას დაეთანხმა. ეკა გ.-ის მიმართ გამოყენებულ იქნა განრიდების მექანიზმი და შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულების პირობით.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, თამარ გაჩეჩილაძე, იცავდა შოთა გ.-ს, რომლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების გამო დაიწყო.

  შოთა გ. ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვისათვის უკვე იხდიდა პირობით სასჯელს, რა პერიოდშიც, იგი ადმინისტრაციული წესით კიდევ ორჯერ დააჯარიმეს ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისათვის. ადმინისტრაციული სახდელის მეორედ დადება გახდა საფუძველი მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა. ჩატარებული ექსპერტიზით, შოთა გ.-ს ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. ამას იგი მოწმის სტატუსით დაკითვისაც ადასტურებდა. ამის შემდეგ, არაერთი გამოძახების მიუხედავად, შოთა გ. საგამოძიებო ორგანოში აღარ გამოცხადებულა, რის გამოც მას დამცველად იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი დაენიშნა.

  საქმეში ჩართვის შემდეგ, ადვოკატმა თამარ გაჩეჩილაძემ სისხლის სამართლის საპროცესო კანონდებლობის ნორმების დარღვევა გამოავლინა. გაირკვა, რომ პროკურატურამ, პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ, შოთა გ.-ს ბრალი არა 24 საათის ვადაში, არამედ უფრო გვიან წარუდგინა, რაც არსებით დარღვევას წარმოადგენს. ამის საფუძველზე, ადვოკატმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა მოითხოვა, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ფოთის ბიუროს ადვოკატის, როზეტა ზარქუას, დახმარებით, უკანონო თევზჭერაში ბრალდებულების ზურაბ ჭ.–სა და რაფიელ მ.–ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა. საზოგადოებრივი ადვოკატი საქმეში ჩაერთო იმ ეტაპზე, როდესაც ბრალდებულებთან მიმდინარეობდა მოპალარაკება საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საქმის მასალების შესწავლისა და დასაცავ პირებთან გასაუბრების შემდეგ, დადგინდა, რომ ბრალდებულთა ქმედებაში დანაშაულის ნიშნები არ იყო. კერძოდ, დაკავების მომენტში ისინი იმყოფებოდნენ მდინარის სიახლოვეს და ჰქონდათ თევზჭერისთვის აკრძალული სახლართი ბადე, თუმცა თევზჭერას ადგილი არ ჰქონია. ამ გარემობებზე დაყრდნობით, დაცვის მხარემ ბრალდებულთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა მოითხოვა. პროკურატურამ აღნიშნული

პოზიცია გაიზირა და ზურაბ ჭ.–სა და რაფიელ მ.–ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, დიანა ფირუმიანი, იცავდა ზაზა ბ.–ს, რომელსაც ბრალი ედებოდა ქურდობაში.

  საქმის მასალების მიხედვით, ზაზა ბ.–მ, სუპერმარკეტ „კარფურიდან" მოიპარა საპარსი საშუალებების ნაკრები, ღირებულებით 49.5 ლარი. ბრალდებული აღიარებდა დანაშაულს.

  საქმის მასალების შესწავლის შემდეგ, ადვოკატმა დიანა ფირუმიანმა აღმოაჩინა არსებითი დარღვევები, რის საფუძველზე, წინასასამართლო სხდომაზე, მოითხოვა მტკიცებულებების სრულად დაუშვებლად ცნობა, რაც მოსამართლემ გაიზიარა. დაცვის მხარემ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით ზაზა ბ.–ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, რაც ასევე დაკმაყოფილდა.

აღკვეთის ღონისძიების და სასჯელის შემსუბუქება

- იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს ადვოკატის, ზვიად ქობალავას, ძალისხმევით, 78-წლის გურამ გ.-ს, რომელსაც ბრალი ედებოდა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობაში, აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა უფრო მსუბუქი ღონისძიებით, გირაოთი შეეცვალა.

  ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გურამ გ.-ს აღკვეთის ღონისძიების განხილვისას, დაცვის მხარემ ბრალდებულისთვის გირაოს შეფარდება თავიდანვე მოითხოვა, თუმცა სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული პოზიცია და დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა გურამ გ.-სთვის პატირმობის შეფარდების შესახებ.

  საზოგადოებრივმა ადვოკატმა, ზვიად ქობალავამ, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განჩინება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. მან სასამართლოს განუმარტა, რომ მისი დაცვისქვეშ მყოფი იყო მოხუცი, ამიტომ დაპატიმრება საფრთხეს შეუქმნიდა მის ჯანმრთელობას. ბრალდებული გულწრფელად აღიარებდა და ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს. გარდა ამისა, გურამ გ.-ის ოჯახი იყო სოციალურად დაუცველი. ბრალდებულს ჰყავდა 4 შვილი, რომელთაგან 2 იყო ფსიქიკურად ავადმყოფი და შესაბამის აღრიცხვაზეც იმყოფებოდა. გარდა ამისა, გურამ გ. გამოთქვამდა მზადყოფნას დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ამასთან, საქმეზე გამოძიება ფაქტობრივად დამთავრებული იყო და ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულება მოპოვებული იყო.

  ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საზოგადოებრივმა ადვოკატმა, ზვიად ქობალავამ, თავისი დაცვისქვეშ მყოფისათვის შეფარდებული პატიმრობის გაუქმება და, ამ აღკვეთის ღონისძიების ნაცვლად, გირაოს შეფარდება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტები, გააუქმა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განჩინება და გურამ გ.-ს 1000 ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა.

- ადვოკატ ზვიად ქობალავას დახმარებით, უზენაესმა სასამართლომ მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება გააუქმა.
  ყალბი საკრედიტო ბარათის დამზადება–გამოყენებისა და გადასახადისათვის თავის არიდებისთვის, ზვიად ქობალავას დაცვის ქვეშ მყოფს, ერეკლე მ.–ს, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. დაცვის მხარე ცდილობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის და გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმებას. კერძოდ, ერეკლე მ.–ს შეფარდებული ჰქონდა გირაო, თუმცა პროცესზე გამოუცხადებლობის გამო, მას აღკვეთის ღონისძიება შეეცვალა პატიმრობით, ხოლო გირაოს სახით შეტანილი უძრავი ქონება, თანხის ამოღების მიზნით, მიქცეულ იქნა აღსასრულებლად. ამასთან, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის საპატიო მიზეზი, რის გამოც ბრალდებულმა ვერ შეძლო პროცესზე გამოცხადება. სხდომის დღეს იგი სიმაღლიდან ჩამოვარდა და მიღებული ტრავმების შედეგად მოთავსებულ იქნა საავადმყოფოში.
  სააპელაციო სასამართლოში უშედეგოდ დასრულებული განხილვის შემდეგ, დაცვის მხარემ უზენაეს სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით – ერეკლე მ.–სთვის სასჯელის შემსუბუქებისა და აღკვეთის ღონისძიების შესახებ განჩინების გაუქმების შესახებ.
  უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და გირაოს უზრუნველსაყოფად შეტანილი ქონება დაუბრუნდა მის შემტან პირს – ნუგზარ ჯ.–ს. გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება და აღნიშნულ უძრავ ქონებას მოეხსნა ყადაღა. სასჯელის ნაწილში განაჩენი დარცა უცვლელი.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს ადვოკატის, მარინე შენგელიას, ძალისხმევით, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-ტარებისათვის მსჯავრდებულ ილია გ.-ს სასჯელი შეუმსუბუქდა.

  საზოგადოებრივი ადვოკატის, მარინე შენგელიას დაცვისქვეშ მყოფი, ილია გ. დანაშაულს აღიარებდა. დაცვის მხარე პროკურატურასთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს საპროცესო შეთანხმების თაობაზე, თუმცა ბრალდების მხარემ შეთანხმებაზე უარი თქვა, რის გამოც საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში გაგრძელდა.

  ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ილია გ. წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ სცნო და ძირითადი სასჯელის სახით 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. ამასთან, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ილია გ. უკვე იხდიდა პირობით სასჯელს, ამიტომ ძირითად სასჯელს მიუმატა პირობითი

სასჯელის ვადა, ორი წელი, და საბოლოოდ, ილია გ.-ს 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

დაცვის მხარემ მიიჩნია, რომ ილია გ.-სთვის განსაზღვრული სასჯელი მეტისმეტად მკაცრი იყო, ამიტომ საზოგადოებრივმა ადვოკატმა, მარინე შენგელიამ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა საჩივრით, რომლითაც თავისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის სასჯელის შეცვლა მოითხოვა. ადვოკატმა საჩივარში განმარტა, რომ ილია გ.-ს არ ჰყავდა მამა. მისი ოჯახი სოციალურად დაუცველი იყო, რის გამოც, მსჯავრდებული, ადრეული ასაკიდანვე, იძულებული იყო ფიზიკურად ეშრომა და ოჯახს დახმარებოდა. მას ჰყავდა ავადმყოფი დედა, რომელიც სამ მცირეწლოვან შვილიშვილს (ილია გ.-ის დისშვილებს) ზრდიდა. ამასთან, ხაზგასმული იყო ის ფაქტი, რომ ილია გ. აღიარებდა დანაშაულს და აქტიურად თანამშრომლობდა გამოძიებასთან.

საბოლოოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის არგუმენტები და ილია გ.-ს, სასჯელის სახით, 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ფოთის ბიუროს ადვოკატის, ზაზა კვირკველიას, ძალისხმევით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს პატიმრობა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეეცვალა.

ბორის ბ.–ს ბრალი ედებოდა ოჯახში ძალადობაში, რაც 200–დან 400 საათამდე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, ან ერთიდან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მას თავდაპირველად აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 2000 ლარის ოდენობით, თუმცა ბრალდებულმა თანხის შეტანა ვერ შეძლო და სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, რის გამოც შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობით შეეცვალა. ბორის ბ. მოთავსდა ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

ადვოკატმა, ზაზა კვირველიამ, წინასასამართლო სხდომამდე მოიძია პირები, რომლებიც მისი დაცვის ქვეშ მყოფის თავდებობას შეძლებდნენ. ადვოკატმა მათ გაუწია სათანადო კონსულტაცია, რის შემდეგადაც მომზადდა შესაბამისი წერილობითი მიმართვა.

საქმის არსებითი განხილვის პირველ სხდომაზე, დაცვის მხარემ სასამართლოში იშუამდგომლა ბორის ბ.–ის პირადი თავდებობით გათავისუფლების შესახებ, რაც დაკმაყოფილდა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს ადვოკატი, ტარიელ ბალაბანიშვილი, იცავდა რაფი მ.-ს, რომელსაც ბრალი ედებოდა ქურდობაში. მას სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

საქმის მასალების მიხედვით, რაფი მ. ფარულად დაეუფლა ნაზიმ ა.-ს ორ ცხვარს, რითაც 400 ლარის ზიანი მიაყენა. გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები ადასტურებდა რაფი მ.-ის ბრალეულობას. თავდავპირველად მას აღვეკთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო, თუმცა, იმის გამო, რომ თავს არიდებდა სასამართლოში გამოცხადებას - შეეცვალა პატიმრობით.

საქმის მასალების შესწავლისა და ბრალდებულთან გასაუბრების შემდეგ, ადვოკატი მივიდა დასკვნამდე, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა საპროცესო შეთანხმების მიღწევა, ბრალდებულისათვის ხელსაყრელი პირობებით.

საბოლოოდ, რაფი მ.-ს სასჯელის ციხეში მოხდის ნაცვლად, 3-წლიანი პირობითი სასჯელი მიესაჯა, 4-წლიანი გამოსაცდელი ვადით.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ზესტაფონის ბიუროს ადვოკატი, ფატმან არზიკიანი, იცავდა გენადი წ.-ს, რომელსაც ბრალი ედებოდა ცეცხლსასროლი იარაღის დამზადებასა და შენახვაში.

  გამოძიებით ცეცხლსასროლი იარაღის დამზადების თარიღი დადგენილი არ იყო. ბრალდებულის თქმით, მან დაახლოებით 10 წლის წინ იპოვა დაზიანებული სანადირო თოფი, რომლის ლულა და კონდახი გადაჭრა და დაამზადა ცეცხლსასროლი იარაღი. გამოძიებამ დაადგინა, რომ სანადირო თოფი დავით ც.-ს ეკუთვნოდა, რომელიც უკვე გარდაცვლილი იყო. მისი შვილისშვილის განმარტებით კი, ბაბუამ თოფი 2001 წელს გაყიდა.

  იარაღის დამზადებისათვის ბრალდებულს 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. გენადი წ.-ს, აღკვეთის ღონისძიების სახით, შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა.

  საზოგადოებრივმა ადვოკატმა, ფატმან არზიკიანმა, შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა დასკვნამდე, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყვეტილიყო, დანაშაულის (იარაღის დამზადების) ხანდაზმულობის გამო. ამასთან, იარაღის უკანონო შენახვისთვის ბრალდებული მხოლოდ პირობით სასჯელს იმსახურებდა, რადგანაც წარსულში არ ყოფილა ნასამართლები და რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველთა ბაზაში.

  საბოლოოდ, სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია. გენადი წ. ცნობილ იქნა დამნაშავედ იარაღის დამზადებაში, თუმცა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, გათავისუფლდა სასჯელის მოხდისგან. იარაღის უკანონოდ შენახვისათვის კი მიესაჯა 3-წლიანი პირობითი სასჯელი და სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა.

- ბინაში შეღწევისა და ჯანმრთლების დაზიანებაში ბრალდებულს მოსალოდნელზე ერთი წლით ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

  იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიუროს ადვოკატის, ნუგზარ გრძელიძის, დახმარებით, ემილ ხ., რომელსაც ბრალი ბინაში შეღწევისა და ჯანმრთლების დაზიანების 5 ეპიზოდში ედებოდა, ნაწილობრივ გამართლდა.

  საქმის მასალების მიხედვით, ემილ ხ.-მ, გამოძიებისთვის დაუდგენელ 2 თანამზრახველთან ერთად, უკანონოდ შეაღწია ბათუმის ერთ-ერთ ბინაში და იქ მცხოვრებთ ჯანმრთელობის დაზიანებები მიაყენა. წარდგენილი ბრალდება მოიცავდა სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლს, მათ შორის:

  - მუხლი 160 (მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი): ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა, უკანონო ჩხრეკა ან სხვა ქმედება, რომელიც არღვევს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ჯგუფურად;
  - მუხლი 120: ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა გამოიწვია (2 ეპიზოდი);
  - მუხლი 125 (1-ლი ნაწილი): ცემა, რასაც არ მოჰყოლია ჯამრთლების მოშლა;
  - მუხლი 151: სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა.

  საზოგადოებრივი ადვოკატი საქმეში სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩაერთო. ემილ ხ. თავს აბსოლუტურად უდანაშაულოდ მიიჩნევდა და ამბობდა, რომ მას დანაშაულის ჩადენას აბრალებნენ. აქედან გამომდინარე, ადვოკატმა ნუგზარ გრძელიძემ მიზნად დაისახა კლიენტის სრული ან ნაწილობრივი გამართლება.

  საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე, 3 დაზარალებულიდან ორმა ემილ ხ. ამოიცნო და მისი ბრალეულობა დაადასტურა. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ემილ ხ.-ს უკვე იხდიდა პირობით სასჯელს, შესაბამისად, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მას დარჩენილი პირობითი სასჯელის ციხეში მოხდა მოუწევდა.

  საბოლოოდ, საზოგადოებრივმა ადვოკატმა ემილ ხ.-ის გამართლებას მიაღწია მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში, რაც 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა.

  დანაშაულთა ერთობლიობით, ემილ ხ.-ს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, რასაც დაემატა მანამდე დანიშნული პირობითი მსჯავრის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი და, განაჩენთა ერთობლიობით, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

- იურიუდიული დახმარების სამსახურის ზესტაფონის ბიუროს ადვოკატი, ფატმარ არზიკიანი, ქურდობაში ბრალდებული ზაირა დ.-ს ინტერესებს იცავდა.

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახით 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. აქედან, სასჯელის ერთი ნახევარი მსჯვარდებულს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უნდა მოეხადა, მეორე ნახევარი კი პირობითად ჩაეთვლებოდა.

დაცვის მხარემ პირველი ინსტაციის სასამართლოს განაჩენი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და მსჯავრდებულისთვის სასჯელის შემსუბუქება მოითხოვა. სააპელაციო საჩივარში, ადვოკატმა ფატმან არზიკიანმა სასამართლოს ყურადღებაა გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომ ზაიარა დ.-მ გულწრფელად აღიარა დანაშაული და ითანამშრომლა გამოძიებასთან, ასევე სრულად აანაზღაურა მიეყენებული ზიანი. გასათვალისწინებელი იყო მსჯვარდებულის ეკონომიკური მდგომარეობაც: იგი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველთა ბაზაში და იღებდა საარსებო შემწეობას.

საბოლოოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საზოგადოებრივი ადვოკატის პოზიცია და ზაირა დ.-სთვის დანიშნული 3 წლიანი სასჯელი მთლიანად პირობითად ჩაუთვალა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის აჭარის ბიუროს ადვოკატი, დავით გოგვაძე, იცავდა აბესალომ ტ.-ს, რომელსაც დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვისათვის 7-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

  ბრალდებული აღიარებდა და ინანიებდა დანაშაულს, ამიტომ საზოგადოებრივმა ადვოკატმა დავით გოგვაძემ ძირითადი ძალისხმევა დასაცავი პირისთვის სასჯელის შემსუბუქებისკენ მიმართა. ადვოკატმა მოიპოვა ცნობები აბესალომ ტ.-ის ჯანმრთელობის შესახებ, საიდანაც დასტურდებოდა, რომ იგი პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია.

  შედეგად, აბესალომ ტ.-ს ჯერ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება შეეფარდა, შემდეგ კი პროკურატურასთან მიღწეულ იქნა საპროცესო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ბრალდებულს 5-წლიანი პირობითი სასჯელი განესაზღვრა, დამატებით, გარკვეული ვადით ჩამოერთვა სხვადასხვა საქმიანობის უფლება.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ფოთის ბიუროს ადვოკატი, ზვიად ქობალავა, იცავდა უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც ბრალი ედებოდა საზღვრის უკანონო კვეთაში. ბრალდებულის ვინაობა იდენტიფიცირებული არ იყო. იგი აღიარებდა და ინანიებდა დანაშაულს. უშედეგოდ დასრულებული საპროცესო მოლაპარაკებების შემდეგ, საქმის განხილვა სასამართლოში გაგრძელდა. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ უცხოელს 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დაცვის მხარემ აღნიშნული სასჯელი ზედმეტად მკაცრად მიიჩნია და განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა მეორე ინსტანციის სასამართლომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა. ამის შემდეგ,

ადვოკატმა საკასაციო საჩივრით უზენაეს სასამართლოს მიმართა. შედეგად, სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება. მსჯვარდებულს მიესაჯა 2000 ლარის ოდენობის ჯარიმა, ხოლო, პატიმრობაში მისი ყოფნის ვადის გათვალისწინებით, იგი სასჯელის მოხდისგან სრულად გათავისუფლდა.

- ბინის ხელშეუხებლობის დარღვევასა და და ქურდობაში ბრალდებულს, მოსალოდნელზე ნაკლები სასჯელი მიესაჯა: ბადრი ხ. წარსულში ნასამართლები იყო მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისათვის. წარდგენილი ბრალდების მიხედვით, მან უკანონოდ შეაღწია თავისი მეუღლის სახლში, საიდანაც კომპიუტერული ტექნიკა მოიპარა. იგი თავს არიდებდა სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას, რის გამოც ძებნაში გამოცხადდა და, აღკვეთის ღონისძიების სახით, დაუსწრებლად შეეფარდა პატიმრობა. ძებნაში გამოცხადებიდან რამდენიმე დღეში იგი დააკავეს და მოათავსეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.
  ბადრი ხ.–ს, სავალდებულო დაცვის ფარგლებში, დაენიშნა იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს ადვოკატი, მთვარის ბიგვავა, რომელიც რამდენჯერმე შეხვდა თავისი დაცვის ქვეშ მყოფს და საქმესთან დაკავშირებით სათანადო კონსულტაცია გაუწია. ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობდა. იგი განმარტავდა, რომ ფინანსური პრობლემების გამო, დროებით ლომბარდში ჩააბარა კომპიუტერული ტექნიკა, რომლის დაბრუნებასაც გარკვეულ პერიოდში აპირებდა.
  საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, დაცვის მხარემ მოითხოვა ბადრი ხ.–ის უდანაშაულოდ ცნობა სისხლის სამართლის კოდექსის 160–ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში (ბინის მთლიანობის დარღვევა), აგრეთვე 177–ე მუხლის მეორე ნაწილით წარდგენილი ბრალდების (ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) გადაკვალიფიცირება 360–ე მუხლზე (თვითნებობა).
  სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და, ვინაიდან, ბრალდებული ნასამართლები იყო განზრახი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, მას სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს ადვოკატის, ირაკლი ბენიას, ძალისხმევით, ოჯახში ძალადობასა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებაში ბრალდებული ასიფ ა. ნაწილობრივ გამართლდა.
  წარდგენილი ბრალდების მიხედვით, ოჯახური კონფლიქტის დროს, ასიფ ა.–მ ძმას სახის არეში ქვები ესროლა, რამაც მისი ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა გამოიწვია, აგრეთვე ხელი ჰკრა დედას, რომელმაც ძლიერი ფიზიკური ტკივილი განიცადა. ასიფ ა. აღიარებდა მხოლოდ ძმის მიმართ ჩადენილ ძალადობას. იგი აღნიშნავდა, რომ დედასა და ძმასთან მივიდა მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ ისინი ავიწროებდნენ მამამისს, რაც გახდა კიდევ დაპირისპირების მიზეზი.
  საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, ადვოკატმა ირაკლი ბენიამ სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმ ურთიერთწინააღმდეგობაზე, რაც დაზარალებულების ჩვენებებში იკვეთებოდა. დაცვის მხარე ასევე ხაზს უსვამდა დაზარალებული დედისა და ძმის გამოკვეთილად უარყოფით დამოკიდებულებას ბრალდებულის მიმართ, რაც მათ ჩვენებებს კიდევ უფრო მიკერძოებულს ხდიდა.

ადვოკატმა ირაკლი ბენიამ დედის მიმართ ჩადენილ ძალადობაში ასიფ ა.–ს გამართლება, ხოლო ძმის სხეულის დაზიანებისთვის – მსუბუქი სასჯელის დანიშვნა მოითხოვა. სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და ასიფ ა.–ს განუსაზღვრა 6–თვიანი პირობითი სასჯელი, 1–წლიანი გამოსაცდელი ვადით.

არასრულწლოვანთა, პრობაციონერთა და ყოფილ მსჯავრდებულთა დაცვა

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, გიორგი მდინარეძე, იცავდა არასრულწლოვან გიორგი ა.-ს, რომელსაც ბრალი ედებოდა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის მცდელობაში.

  საქმეში ჩართვის მომენტისათვის, დაწყებული იყო გამოძიება, დაიკითხნენ დაზარალებული და მოწმეები, ამოღებულ იქნა ნივთიერი მტკიცებულება, თუმცა მოპოვებული მასალები არ იყო საკმარისი გიორგი ა.-ს ბრალეულობის დასადასტურებლად.

  აქტიური მოქმედებების შედეგად, ადვოკატმა გიორგი მდინარაძემ არასრულწლოვნისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შემსუბუქებას მიაღწია. კერძოდ, 2000 ლარინი გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით - შეიცვალა ბრალდებულის გადაცემით მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ. პარალელურად, ადვოკატმა მიმართა პროკურატურას შუამდგომლობით, რომ არასრულწლოვანი განრიდების პროგრამაში ჩართული, თუმცა ბრალდების მხარემ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

  საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, ადვოკატმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ ბრალდება აგებული იყო ირიბ მტკიცებულებებზე და მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდა ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის ან პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას.

  საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი მდინარაძის დაცვის ქვეშ მყოფი გაამართლა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატს, სულხან კომახიძეს, დაევალა არასრულწლოვან ვახტანგ ს.–ის დაცვა, რომელსაც ბრალი ედებოდა ძარცვის მცდელობაში, ჩადენილს არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

არასრულწლოვანი ბრალდებული დააკავეს ამოცნობის შემდეგ. სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით მას შეუფარდა გირაო, პატიმრობის უზრუველყოფით. გირაოს სახით შეტანილ იქნა უძრავი ქონება და ბრალდებული 5 დღეში გათავისუფლდა პატიმრობიდან. ამასთან, ვახტანგ ს. იყო პირობითი მსჯავრის ქვეშ. მისი ოჯახი კი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველთა ბაზაში.

წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა საქმის შეწყვეტის თაობაზე და საქმე გადასცა არსებით განსახილველად.

საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ, ადვოკატმა სულხან კომახიძემ შეძლო სასამართლოს დარწმუნება არასრულწლოვნის უდანაშაულობაში.
საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ ვახტანგ ს. სრულად გაამართლა წარდგენილ ბრალდებაში.

- იურიუდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, ნინო ტაბატაძე, ქურდობაში ბრალდებულ არასრულწლოვანს - ზაზა ჯ.-ს იცავდა.

  საქმეზე ჩატარებული იყო საგამოძიებო მოქმედებები. დაიკითხნენ დაზარალებული და მოწმეები. ბრალდებული აღიარებდა და ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს.

  საქმის მასალების შესწავლისა და დასაცავ პირთან გასაუბრების შემდეგ, საზოგადოებრივმა ადვოკატმა, ნინო ტაბატაძემ, მიიჩნია, რომ არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყვეტილიყო. პროკურატურისთვის წარდგენილ შუამდგომლობაში ადვოკატი უთითებდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტებზე და ასაბუთებდა, რომ ბრალდებულის მიმართ სამართლებრივი დევნის გაგრძლების საჯარო ინტერესი არ არსებობდა. ამასთან, ადვოკატის მიერ მოპოვებული ცნობებით, ზაზა ჯ. დადებითად ხასიათდებოდა როგორც სკოლის პედაგოგების, ისე მეზობლების მიერ.

  პროკურატურამ აღნიშნული შუამდგომლობა სრულად დააკმაყოფილა, ზაზა ჯ.-სთან გააფორმა ხელშეკრულება განრიდების შესახებ და არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის რამდენიმე ადვოკატის დახმარებით, არასრულწლოვანი ბრალდებულების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.
  მცხეთის ბიუროს ადვოკატის, ალუდა ბუჩუკურის დახმარებით, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განარიდეს არასრულწლოვანი მირზა მ., რომელსაც ბრალი ედებოდა მუნიციპალური ქონების დაზიანება-გადანდგურებაში.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდებულ იქნა არასრულწლოვანი დემურ ხ., რომელსაც ბრალი ედებოდა პორტატული კომპიუტერის კვების ბლოკის ქურდობაში. არასრულწლოვანს თბილისის ბიუროს ადვოკატი, მილერინა მემანიშვილი იცავდა.
სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა ქურდობაში ბრალდებული კიდევ ერთი არასრულწლოვნის, ამირან ა.-ის მიმართ, რომელსაც თბილისის ბიუროს ადვოკატი, თამარ გაბოძე იცავდა. ამირან ა.-ის მიმართ გამოყენებულ იქნა განრიდების მექანიზმი.
კიდევ ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, საზოგადოებრივი ადვოკატის დახმარებით, არასრულწლოვან ბრალდებულს მსუბუქი აღკვეთის ღონისძიება შეეფარდა. კერძოდ, ქურდობაში ბრალდებული სტეფან კ.-სთვის პროკურატურა პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა. ახალციხის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, პაატა მანველიშვილის ძალისხმევით კი, არასრულწლოვანი გათავისუფლდა დაკავებიდან და მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს ადვოკატი, ლევან მარსაგიშვილი, იცავდა არასრულწლოვან თ.გ.-ს, რომელსაც ბრალი ედებოდა ცეცხლსასროლი იარაღის ქურდობაში, უკანონო გადაზიდვასა და შენახვაში.

  ადვოკატთან შეხვედრისას, არასრულწლოვანმა ბრალდებულმა დანაშაული აღიარა. მისი ბრალეულობა ასევე საქმის მასალებითაც დასტურდებოდა. აქედან გამომდინარე, დაცვის მხარემ მიზნად დაისახა თ.გ.-სთვის მოსალოდნელი სასჯელის შემსუბუქება.

  ადვოკატმა, ლევან მარსაგიშვილმა, პირველ წარმატებას მიაღწია მაშინ, როდესაც რუსთავის საქალაქო სასამართლომ თ.გ.-ს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პროკურატურის მიერ მოთხოვნილი პატიმრობის ნაცვლად, ადვოკატის მიერ ნაშუამდგომლები პირადი თავდებობა გამოიყენა.

  ამის შემდეგ, დაცვის მხარემ პროკურატურას ჯერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არასრულწლოვნის განრიდების შუამდგომლობით მიმართა; მიღებული უარის შემდეგ კი, გამოვიდა საპროცესო შემთანხმების ინიციატივით, რომ თ.გ.-ს მხოლოდ პირობითი სასჯელი დანიშვნოდა. თუმცა, კვლავ უშედეგოდ.

  საქმის განხილვა გაგრძელდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში, რომელმაც არასრულწლოვანს სასჯელი 3 წლითა 9 თვით განუსაზღვრა, საიდანაც, თ.გ.-ს, 1 წელი და 3 თვე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უნდა გაეტარებინა.

  დაცვის მხარემ რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრა და არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მთლიანად პირობითად ჩათვლა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ადვოკატ ლევან მარსაგიშვილის პოზიცია, დააკმაყოფილა დაცვის მხარის საჩივარი, თ.გ.-სთვის დანიშნული სასჯელი მთლიანად პირობითად ჩათვალა და არასრულწლოვანი სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, გიორგი მდინარაძის, ძალისხმევით, არასრულწლოვანი ანა გ., რომელსაც ქურდობის ჩადენისათვის 3 წლიანი პირობითი სასჯელი და გამოსაცდელი ვადა განესაზღვრა, გამოსაცდელი ვადის 6 თვით გახანგრძლივებას გადაურჩა.

  პრობაციის ბიურომ, რომელშიც ანა აღრიცხვაზე იმყოფებოდა, ბიუროში გამოცხადების რეჟიმის დარღვევის გამო, არასრულწლოვან პრობაციონერს ჯერ რეჟიმი დაუმძიმა, ხოლო შემდეგ სასამართლოს მიმართა წარდგინებით, ანა გ.-სთვის დადგენილი გამოსაცდელი ვადის 6 თვით გახანგრძლივების შესახებ, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა.

  გოგონას დედამ დახმარებისთვის მიმართა იმავე საზოგადოებრივ ადვოკატს, ვინც ქურდობის საქმეზე ანა გ.-ს ადრე უკვე იცავდა. ადვოკატმა გიორგი მდინარაძეს შეისწავლა საკითხი და დაადგინა, რომ საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება ცალმხრივად მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და მთელი რიგი ნორმების დარღვევით მიიღო.

  გაირკვა, რომ საქალაქო სასამართლოში პრობაციის ბიუროს წარდგინების განხილვა არასრულწლოვანი პრობაციონერის და მისი ადვოკატის გარეშე წარიმართა. მოსამართლე მხოლოდ პრობაციის ბიუროს პოზიციას დაეყრდნო, რითაც არსებითად დაირღვა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციით, ბავშვის უფლებათა კონვენციით, საქართველოს კონსტიტუციით და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

  აღნიშნულის გათვალისწინებით, საზოგადოებრივმა ადვოკატმა, გიორგი მდინარაძემ შეადგინა სააპელაციო საჩივარი, რომელშიც ანა გ.-ის მიმართ არსებულ დარღვევებზე მიუთითა და საქალაქო სასამართლოს განჩინების გაუქმება მოითხოვა.

  საბოლოოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საზოგადოებრივი ადვოკატის საჩივარი და გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, რომლითაც ანა გ.-სთვის დადგენილი გამოსაცდელი ვადა უნდა გახანგრძლივებულიყო.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს ადვოკატი, ბექარ როგავა, იცავდა არასრულწლოვან პრობაციონერს, ვლადისლავ ჯ.–ს, რომელიც ქურდობისთვის იხდიდა პირობით სასჯელს (1.5 წელი გამოსაცდელი ვადით). დადგენილი რეჟიმით პრობაციის ბიუროში გამოუცხადებლობის გამო, პრობაციის ბიუროს უფროსმა მიმართა

სასამართლოს წარდგინებით ვლადისლავ ჯ.–სთვის გამოსაცდელი ვადის გახანგრძლივების შესახებ.
ადვოკატმა ბექარ როგავამ შეისწავლა საქმე და გაარკვია, რომ ვლადიმერ ჯ. იყო მამით ობოლი, ჰყავდა 5 დედმამიშვილი. ბავშვებს ზრდიდა ინვალიდი ბებია, რადგან დედას შექმნილი ჰქონდა სხვა ოჯახი. ვლადიმერ ჯ. ჩასმული იყო ბავშვთა ზრუნვის პროგრამაში. მის მიერ პრობაციის ბიუროში გამოცხადების რეჟიმის დარღვევა განპირობებული იყო ჯანმრთელობის პრობლემებით. აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, ადვოკატმა ბექარ როგავამ მოითხოვა სასამართლოსგან, არ დაეკმაყოფილებინა პრობაციის ბიუროს წარდგინება, რაც დაკმაყოფილდა. ვლადისლავ ჯ.-ს გამოსაცდელი ვადა არ გაუხანგრძლივდა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, მაია გრიგოლიშვილის დახმარებით, არასრულწლოვან ნინო ა.–ს მიმართ აღკვეთის ღონისძიება არ იქნა შეფარდებული.

  საქმის მასალების მიხედვით, 2013 წლის 15 იანვარს, ქ. გორში მდებარე მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში, არასრულწლოვანმა ნინო ა.–მ სცემა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვან მარიამ ი.–ს, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. ნინო ა., რომელიც ერთხელ უკვე განრიდებული იყო სისხლის სამართლის საქმეს, აღიარებდა ჩადენილ ქმედებას. ბრალდების მხარე არასრულწლოვანისათვის აღკვეთის ღონისძიების სახედ ითხოვდა მეთვალყურეობაში გადაცემას.

  ბრალდებულის ადვოკატი, მაია გრიგოლიშვილი ეწინააღმდეგებოდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, რადგან ეს იმოქმედებდა არასრულწლოვნის ფსიქოლოგიურ და ემოციურ განვითარებაზე. ადვოკატი თავის პოზიციას ამყარებდა შემდეგი გარემოებებით: ჩადენილი იყო ნაკლებად მსუბუქი კატეგორიის დანაშაული, ბრალდებული თავს ცნობდა დამნაშავედ, ხასიათდებოდა დადებითად, ბრალდებულიც და დაზარალებულიც იყვნენ მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები და კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან.

  სასამართლომ განიხილა პროკურორის შუამდგომლობა, მოუსმინა პროცესის მონაწილეებს, გაანალიზა სისხლის სამართლის საქმის მასალები და შედეგად არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის მოთხოვნა შუამდგომლობის გამოყენების თაობაზე.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს ადვოკატი, მარინე მიქავა, იცავდა აფხაზეთიდან დევნილ არასრულწლოვანს, ენრიკე ც.-ს, რომელიც 3-წლიან პირობით სასჯელს ჯგუფურად ჩადენილი ძარცვისთვის იხდიდა.

პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე აყვანისას, ენრიკე ც.-ს განემარტა მისი უფლება-მოვალეობები. თუმცა, არასრულწლოვანმა რამდენჯერმე დაარღვია პრობაციის ბიუროში გამოცხადების მისთვის დადგენილი რეჟიმი, რის გამოც, პრობაციის ბიუროს უფროსმა სასამართლოს მიმართა წარდგინებით არასრულწლოვნისთვის პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ.

ენრიკე ც.-ს დამცველად საზოგადოებრივი ადვოკატი - მარინე მიქავა დაენიშნა. მან სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულებები, რომ არასრულწლოვნის მიერ რეჟიმის დარღვევა არ იყო განპირობებული დაკისრებული მოვალეობის ჯიუტად შეუსრულებლობით. ადვოკატმა ყურადღება გაამახვილა არასრულწლოვნისთვის სასჯელის გამკაცრების (სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსების) დაუშვებლობაზე.

საბოლოოდ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა პრობაციის ბიუროს უფროსის წარდგინება და ენრიკე ც.-მ პირობითი სასჯელის მოხდა მისთვის დადგენილი რეჟიმით განაგრძო.

- იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის, იოსებ გაბარაევის ძალისხმევით, პრობაციონერი ვასილ ბ. პირობითი მსჯავრის გაუქმებასა და განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულებას გადაურჩა.

  2011 წელს, თელავის რაიონულმა სასამართლომ ვასილ ბ.–ს მიუსაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, ხოლო დანარჩენი 4 წელი ჩაეთვალა პირობით 5 წლის გამოსაცდელი ვადით. 2013 წელს, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვასილ ბ.–ს სასჯელი შეუმცირდა ¼–ით. თავიდან, მსჯავრდებულის კონტროლსა და დახმარებას ახორციელებდა კახეთის პრობაციის ბიურო, ხოლო მის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემდეგ – შიდა ქართლის პრობაციის ბიურო. იმ საფუძვლით, რომ 2014 წლის აგვისტოდან ადგილი ჰქონდა ვასილ ბ.–ს მიერ პრობაციის ბიუროში გამოცხადების რეჟიმის დარღვევასა და ასევე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობას, შიდა ქართლის პრობაციის ბიუროს წარმომადგენელმა მოითხოვა მსჯავრდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გაუქმება და განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულება.

  საზოგადოებრივი ადვოკატი, იოსებ გაბარაევი არ დაეთანხმა პრობაციის ბიუროს წარდგინებას, რადგან საქმის მასალებიდან ირკვეოდა, რომ პრობაციონერი პირნათლად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს, აიღო პირადობის მოწმობა და არ გაუწყვეტია კავშირი პრობაციის ბიუროსთან. გარდა ამისა, არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა, რომ ადგილი ჰქონდა ვასილ ბ.–ს მიერ დაკისრებული მოვალეობების სისტემატურად შეუსრულებლობას, ასევე იმ ფაქტს, რომ მსჯავრდებული განზრახ არიდებდა თავს ბიუროში გამოცხადებას. უცნობი იყო მისი ადგილსამყოფელიც. ამ გარემოებებზე დაყრდნობით, იოსებ გაბარაევმა მოითხოვა

პრობაციის ბიუროს წარდგინების ცვლილებებით დაკმაყოფილება, ასევე ვასილ ბ.–ს მიმართ ძებნის გამოცხადება და მისი ადგილსამყოფელის დადგენა.

შედეგად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ვასილ ბ.–ს მიმართ დაწესებული პირობითი მსჯავრი ძალაში დარჩა და ნაწილობრივ დაკმაყოფილდა პრობაციის ბიუროს წარდგინება. პოლიციის ორგანოებმა მოახერხეს მსჯავრდებულის პოვნა და 2015 წლიდან მან განაგრძო დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, ხათუნა ჩხაიძე, მსჯავრდებულ ვანიკო ო.–ს დაცვას შეუდგა მას შემდეგ, რაც, თბილისის საქალაქო სასამართლომ, ვანიკო ო.–ს, არასაპატიო მიზეზით პრობაციის ბიუროში გამოუცხადებლობის გამო, გაუუქმა 5 წლიანი პირობითი მსჯავრი და სასჯელის ციხეში მოხდა განუსაზღვრა.

  საქმეში საზოგადოებრივი ადვოკატის ჩართვის შემდეგ, გაირკვა, რომ ვანიკო ო. იყო მძიმე ავადმყოფი, თირკმლის ქრონიკული უკმარისობით და 2011 წლიდან იმყოფებოდა თერაპიის კურსზე, რაც გულისხმობდა კვირაში 3–ჯერ რამდენიმე საათიანი მტკივნეული პროცედურის გავლას. მას შეზღუდული ჰქონდა გადაადგილების უნარი. გარდა ამისა, ის რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში და იმყოფებოდა მძიმე ეკონომიკურ პირობებში. სწორედ ეს პრობლემები გახდა პრობაციის ბიუროში მისი გამოუცხადებლობის მიზეზი.

  ადვოკატმა ხათუნა ჩხაიძემ, აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. შედეგად, სააპელაციო სასამართლომ საპატიოდ ჩათვალა ვანიკო ო.–ს პრობაციის ბიუროში გამოუცხადებლობის მიზეზი, დააკმაყოფილა საჩივარი და უცვლელი დატოვა მისთვის დანიშნული პირობითი მსჯავრი.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ფოთის ბიუროს ადვოკატი, დავით გოგუა, იცავდა სოციალურად დაუცველ პრობაციონერს ალექსი შ., რომელსაც პრობაციის ბიუროში გამოცხადების რეჟიმის დარღვევისთვის, პირობითად ჩათვლილი 4–წლიანი სასჯელის ციხეში მოხდა ემუქრებოდა.

  საქმის სასამართლოში განხილვისას, ადვოკატმა დავით გოგუამ ყურადღება გაამახვილა ალექსი შ.–ს ოჯახურ მდგომარეობაზე. კერძოდ, იგი იყო 5 არასრულწლოვანი ბავშვის მამა და ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. პირობითი სასჯელის შეცვლა 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით მნიშვნელოვნად დაამძიმებდა არასრულწლოვანი ბავშვების მდგომარეობას. სენაკის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის პოზიცია და არ დააკმაყოფილა პრობაციის ბიუროს წარდგინება ალექსი შ.–სთვის პირობითი მსჯავრის გაუქმების შესახებ.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს მიმართა 26 წლის ლევან ხ.–მ, რომელმაც წარმატებით გაიარა საჯარო სამსახურში გამოცხადებული კონკურსი, თუმცა, ნასამართლობის გამო, მუშაობის დაწყებას ვერ ახერხებდა.

  კონსულტანტმა აკაკი ლომსაძემ შეისწავლა აღნიშნული საკითხი. გაირკვა, რომ ლევან ხ. 2012 წლის თებერვალში ჩადენილი განზრახი დანაშაულისთვის გაასამართლეს და 5000 ლარის ოდენობის ჯარიმა და 6–წლიანი პირობითი სასჯელი მიუსაჯეს. ერთი წლის შემდეგ, პარლამენტის მიერ განხორციელებული საყოველთაო ამნისტიის ფარგლებში, პრობაციონერი სასჯელისგან გათავისუფლდა, თუმცა ნასამართლობა მაინც უნარჩუნდებოდა.

  საჯარო სამსახურის შესახებ კანონი პირდაპირ კრძალავს განზრახი დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირის სამსახურში მიღებას. ასეთ ვითარებაში, ლევან ხ.–მ სამართლებრივი დახმარებისთვის იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართა.

  კონსულტანტმა აკაკი ლომსაძემ სასამართლოს სახელზე შეადგინა შესაბამისი განცხადება და, იმ საფუძვლით, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, სასამართლოს მიმართა თხოვნით ლევან ხ.–სთვის ნასამართლობის ვადამდე ადრე გაქარწყლების შესახებ.

  აღნიშნული განცხადება დაკმაყოფილდა და ყოფილმა მსჯავრდებულმა საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყება შეძლო.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები

ალიმენტსა და არასრულწლოვნებზე ზრუნვასთან დაკავშირებული დავები

- იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს და მარნეულის საკონსულტაციო ცენტრის იურისტების დახმარებით, რამდენიმე მოქალაქემ ალიმენტის თაობაზე დავა მოიგო.

  ნათია ლ.-მ იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს, თავისი ქალიშვილის სასარგებლოდ, ბავშვის მამისათვის ალიმენტის დაკისრების საკითხით მიმართა. ნათია ლ.-ის თქმით, ოჯახური კონფლიქტის შედეგად, მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ და მამა შვილის აღზრდაში ოთხ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. ბავშვის დედას ადვოკატის აყვანის საშუალება არ ჰქონდა და ამიტომ, იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართა. მცხეთა-მთიანეთის ბიუროს კონსულტანტმა, ნათია ბერძენიშვილმა, შეისწავლა საკითხი და შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი - სარჩელი მოამზადა. პრობლემას ართულებდა ის გარემოება, რომ მამის საქმიანობისა და შემოსავლების შესახებ ცნობების მოპოვება ვერ ხერხდებოდა. ამიტომ, სარჩელის წარდგენა ამ ცნობების გარეშე მოხდა. მოპასუხე მხარემ აღნიშნულის თაობაზე პროტესტი არ გამოთქვა. საბოლოოს, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა სარჩელი და ბავშვის მამას 200 ლარის ოდენობის ალიმენტი დააკისრა.

  წარმატებით დასრულდა კიდევ ორი დედის, დურდანა ნ.-ისა და ელმირა მ.-ის სარჩელების განხილვის პროცესიც. აღნიშნულმა ქალბატონებმა ალიმენტის საკითხით იურიდიული დახმარების სამსახურის მარნეულის საკონსულტაციო ცენტრს მიმართეს.

  კონსულტანტმა ნინო პაპაშვილმა ორივე შემთხვევაში შეადგინა სარჩელი, რომლითაც სასამართლოსგან მამებისათვის ალიმენტის დაკისრება მოითხოვეს. მიუხედავად იმისა, რომ მამების სახელზე არანაირი ქონება არ ირიცხებოდა და დაუდასტურებელი იყო მათი შემოსავლების წყარო, სასამართლომ ქალბატონების სარჩელები დააკმაყოფილა.

  სასამართლოს გადაწყვეტილებით, დურდანა ნ.-ის 4 შვილს დაენიშნა ალიმენტი. ამასთან, ვინაიდან მამა უარს აცხადებდა ალიმენტის გადახდაზე, კონსულტანტმა ნინო პაპაშვილმა სასამართლოსგან დამატებით მოითხოვა სააღსრულებლო ფურცლის გაცემა, რომლის მეშვეობითაც ბავშვების მამის საკუთრებაში არსებული ტრაქტორი დაყადაღდა და გაიყიდა, ხოლო შემოსული თანხა - 3 ათასი ლარი ბავშვების სასარგებლოდ გადაირიცხა.

  ელმირა მ.-ის შემთხვევაში კი ალიმენტი დაენიშნა ერთ ბავშვს. ამასთან, ნინო პაპაშვილმა დამატებით შეადგინა განცხადება ადგილორბრივი თვითმმართველობის სახელზე და ელმირა ნ.-ის 200 ლარის ოდენობის ერთჯერადი დახმარება გაეწია.

- აიგუნ მ.-მ კონსულტაციისათვის იურიდიული დახმარების სამსახურის მარნეული საკონსულტაციო ცენტრს მიმართა. მას სურდა თავისი ორი არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ბავშვების მამას ალიმენტის გადახდა დაკისრებოდა.

ქალმა მარნეულის საკონსულტაციო ცენტრის დახმარებით ადრეც ისარებლა, როდესაც ყოფილი ქმარი მას ბავშვების წართმევით ემუქრებოდა. მაშინ, ყოფილ მეუღლეებს შორის დავა დედის სასარგებლოდ გადაწყდა.

კონსულტანტმა ნინო პაპაშვილმა კვალიფიციური იურიდიული დახმარება აიგუნ მ.-ს ამჯერადაც გაუწია. მომზადდა სარჩელი, რომლითაც აიგუნ მ.-ს ბავშვების მამისგან ალიმენტის გადახდა მოითხოვა.

საბოლოოდ, მარნეულის მაგისტრატმა მოსამართლემ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მოპასუხეს, ბავშვების სასარგებლოდ, ყოველთვიურად 75 ლარის გადახდა დააკისრა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს ადვოკატის, ნათია ბერძენიშვილის, დახმარებით, სმენადაქვეითებულმა ქალმა, ნ.ჩ.-მ, თავისი ორი არასრულწლოვანი შვილისთვის ალიმენტის დანიშვნას მიაღწია.

  ნ.ჩ. რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველთა ბაზაში, მისი მეუღლე კი ბავშვის რჩენას თავს არიდებდა. შვილებისთვის ალიმენტის დანიშვნის მიზნით, ქალმა დახმარებისთვის სახელმწიფოს მიმართა. საზოგადოებრივმა ადვოკატმა, ნათია ბერძენიშვილმა შეადგინა სარჩელი, რომლითაც ნ.ჩ.-მ ბაშვების მამისთვის, გ.ე.-სთვის, 200 ლარის ოდენობით ალიმენტის დაკისრება მოითხოვა.

  მოპასუხე მხარე საოჯახო დავაში საპირისპირო არგუმენტებით ჩაერთო. შესაგებელში გ.ე. არ დათანხმა ალიმენტის მოთხოვნილ ოდენობას, მისი მხრიდან წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებები (კერძოდ სესხის ხელშეკრულება , სახელფასო ცნობა). გარდა ამისა, მან სასამართლოში წარადგინა შეგებებული სარჩელი, რომლითაც ნ.ჩ.-სთან განქორწინება მოითხოვა.

  საბოლოოდ, ვინაიდან გ.ე. არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ, ადვოკატ ნათია ბერძენიშვილის შუამდგომლობით, ნ.ჩ.-ს სარჩელი სრულად დაკმაყოფილა და ორივე ბავშვისთვის ალიმენტის ოდენობა 200 ლარით განსაზღვრა. გარდა ამისა, ადვოკატის შუამდგომლობით, სასამართლომ გ.ე.-ს შეგებებული სარჩელი (განქორწინების თაობაზე) განუხილველად დატოვა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს – ბოლნისის მკვიდრმა, ჟანა მ.–მ მიმართა. სოციალურად დაუცველ ქალბატონს, რომელიც მარტო ზრდიდა არასრულწლოვან შვილს, ბავშვის მამისგან ალიმენტის მოპოვება სურდა.

ჟანა მ.–ის საქმეში ადვოკატი მევლუდ კუპატაძე ჩაერთო. მან შეისწავლა საქმის დეტალები, და მას შედეგ, რაც დარწმუნდა, რომ მხარეებს შორის მორიგების რესურსი არ არსებობდა, ჟანა მ.–სთვის სარჩელი მოამზადა.

სარჩელით, ჟანა მ.–მ, რომლის შემოსავლის ერთადერთ წყაროს სოციალური დახმარება წამორადგენდა, სასამართლოსგან ბავშვის მამად მერაბ ს.–ის ცნობა და მისთვის, ალიმენტის სახით, ყოველთვიურად 150 ლარის დაკისრება მოითხოვა.

შედეგად, ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ ადვოკატ მევლუდ კუპატაძის მიერ მომზადებული სარჩელი სრულად დააკმაყოფილა და მოპასუხე მხარეს, არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ, 150 ლარის ოდენობის ალიმენტის გადახდა დააკისრა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს კონსულტაციისთვის მიმართა ლიანა ქ.–მ, რომელსაც სურდა, თავის ორ არასრულწლოვან შვილს ალიმენტი დანიშვნოდა.

ლიანა ქ. საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობდა და მისი შემოსავალი 200 ლარს შეადგენდა. იგი იყო განქორწინებული და დამოუკიდებლად ზრდიდა სამ შვილს – ასაკით 20, 16 და 12 წელი. ლიანას დიდი ხნის მცდელობების მიუხედავად, მისი ყოფილი მეუღლე შვილების აღზრდაში მონაწილეობის მიღებაზე უარს ამბობდა. ასეთ ვითარებაში ბავშვების დედა იძულებული გახდა პრობლემის გადაჭრის სამართლებრივი გზა ეპოვნა და ვინაიდან არ ჰქონდა ადვოკატის აყვანის საშუალება, მიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს.

ბიუროს ადვოკატმა, აკაკი ლომსაძემ შეისწავლა ლიანას საქმე, გაუწია მას სათანადო იურიდიული კონსულტაცია და შეუდგინა სარჩელი, რომლითაც ბავშვების მამისთვის ალიმენტის დაკისრება მოითხოვა. მდგომარეობას ართულებდა ის გარემოება, რომ ორგანიზაცია, რომელშიც მოპასუხე მუშაობდა, არ აძლევდა მოსარჩელეს წერილობით ინფორმაციას მოპასუხის შემოსავლის შესახებ. ამიტომ, ადვოკატმა მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობით სასამართლოს მიმართა.

საბოლოოდ, სასამართლომ, ლიანა ქ.–ის სარჩელი დააკმაყოფილა და მოპასუხეს დააკისრა ალიმენტის გადახდა, თითოეულ ბავშვზე 200 ლარის ოდენობით.

შედეგიანი აღმოჩნდა აკაკი ლომისაძის მიერ შედგენილი სხვა სარჩელებიც, რომლებიც მან გულიკო კ.–სა და იანა ა.–სთვის შეადგინა:

გულიკო კ.–ს საჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ალიმენტის ოდენობა თითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით განისაზღვრა. იანა ა.–მ კი შეძლო, ყოფილ მეუღლესთან დაწყებული დავა მორიგებით დაესრულებინა. კერძოდ, ბავშვის მამას დაეკისრა შვილის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა 150 ლარის ოდენობით.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს მიმართა არასრულწლოვანმა ილია ჩ.–მ, რომელმაც მოითხოვა ადვოკატის დანიშვნა, მამის წინააღმდეგ სარჩელის შესადგენად და სასამართლოში წარმომადგენლობის განსახორციელებლად. არასრულწლოვნის ინტერესების დაცვა ადვოკატ ვლადიმერ გამრეკელაშვილს დაევალა.

  ვლადიმერ გამრეკელაშვილმა შეადგინა სარჩელი, რომლითაც მოითხოვა, ილია ჩ.–ის მამას ზაზა ჩ.–ს, მოსარჩელის სრულწლოვანების მიღწევამდე, დაკისრებოდა ყოველთვიურად 250 ლარის ოდენობის ალიმენტის გადახდა. მოპასუხე მხარემ ეს მოთხოვნა სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზევე უარყო.

  ადვოკატ ვლადიმერ გამრეკელაშვილის შუამდგლობის საფუძველზე, სასამართლომ ზაზა ჩ.–ს სამუშაო ადგილიდან გამოითხოვა ინფორმაცია მისი ხელფასის თაობაზე. გაირკვა, რომ არასრულწლოვნის მამის ყოველთვიური შემოსავალი 2000 ლარს აღწევდა. ამის გათვალისწინებით, ილია ჩ.–ს ინტერესების დამცველმა – ალიმენტის ოდენობის გაორმაგება, ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებელი აღსრულება მოითხოვა.

  საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა არასრულწლოვნის სარჩელი და მოპასუხე მხარეს 500 ლარის ოდენობის ალიმენტის გადახდა დააკისრა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, თეა ყაულაშვილის, ძალისხმევით, მცირეწლოვანი ბავშვის მამამ და ბებიამ არასრულწლოვანზე ზრუნავასთან დაკავშირებული დავა მორიგებით დაასრულეს.

  მხარეებმა დავა დაიწყეს მას შემდეგ, რაც პატარა ვიქტორიას დედა გარდაეცვალა. სასამართლოს სარჩელით მიმართა ვიქტორიას ბებიამ, ლუდმილა ი.–მ, რომელიც თავისი გარდაცვლილი ქალიშვილის შვილის საცხოვრებლად თავისთან დატოვება სურდა, ასევე მოითხოვდა, რომ ბავშვის მამას, ვიქტორ ე.–ს, შეზღუდვოდა მშობლის წარმომადგენლობითი უფლება – ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის ნაწილში.

  როდესაც ლუდმილა ი.–მ კონსულტაციისთვის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს მიმართა, მას უკვე ჰქონდა შეტანილი სარჩელი სასამართლოში. ადვოკატმა თეა ყაულაშვილმა შეისწავლა საქმის დეტალები და მივიდა დასკვნამდე, რომ ბებიის სარჩელის დაკმაყოფილების ალბათობა ძალიან დაბალი იყო, ვინაიდან ბავშვის მამა ხასიათდებოდა დადებითად და სასამართლოს პრაქტიკულად არ გააჩნდა არანაირი საფუძველი რაიმენაირად შეეზღუდა მამისთვის მშობლის უფლება. აქედან გამომდინარე, ადვოკატმა ბავშვის ბებიას სიძესთან მორიგება ურჩია.

მხარეებთან გამართულ შეხვედრაზე, გაირკვა, რომ ბებიასა და მამას შორის კონფლიქტი ძირითადად ემოციურ ხასიათს ატარებდა და სინამდვილეში, ორივე მზად იყო ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევისათვის.

საბოლოოდ, მორიგების ფარგლებში, ბავშვის მამა დათანხმდა არა მხოლოდ ბებიის სასარჩელო მოთხოვნებს, არამედ, დამატებით, დადო პირობა, რომ ყოველთვიურად შვილს ფინანსურ დახმარებასაც აღმოუჩენდა. ბებიის პირობების დაკმაყოფილების სანაცვლოდ, მამას ბავშვთან შეუზღუდავი ურთიერთობის უფლება მიენიჭა.

მორიგების აქტი თბილისის საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა. ამ გზით შესაძლებელი გახდა არასრულწლოვნის ინტერესების მაქსიმალური დაცვა ისე, რომ ბავშვს მამასთანაც და ბებიასთანაც უკონფლიქტო ურთიერთობები ექნებოდა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა–მთიანეთის ბიუროს მიმართა ყარამან ა.–მ, რომელსაც სურდა თავისი ორი არასრულწლოვანი შვილიშვილის მზრუნველი გამხდარიყო.

  ბავშვების მდგომარეობა მართლაც რთული იყო. მათი მშობლები 2010 წელს განქორწინდნენ. მამა თურქეთში სამუშაოდ წავიდა და საქართველოში ხანმოკლე ვიზიტებით ჩამოდიოდა. დედამ შექმნა მეორე ოჯახი და საცხოვრებლად აზერბაიჯანში გადავიდა. ბავშვები დედის მამასთან – ყარამან ა.–სთან ცხოვრობდნენ და მათზე რეალურად პაპა–ბებია ზრუნავდა.

  ყარამან ა.–ს ინტერესების დაცვა დაევალა იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა–მთიანეთის ბიუროს ადვოკატს, ნათია ბერძენიშვილს, რომელმაც შესაბამისი სარჩელი შეადგინა. სარჩელით, ყარამან ა.–მ თავისი ქალიშვილისა და ყოფილი სიძისთვის მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვა (სხვა უფლებების შეუზღუდავად) და ამ უფლების თავისთვის მონიჭება მოითხოვა.

  საოჯახო დავა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ბავშვების მამა ამტკიცებდა, რომ ყარამან ა.–ს წარმომადგენლობითი უფლების მოპოვება სურდა შვილიშვილების აზერბაიჯანში გასაყვანად. იგი ასევე ამბობდა, რომ პაპას შვილიშვილები ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ჰყავდა და უზღუდავდა მამასთან ურთიერთობას. გარდა ამისა, მამისთვის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვას ეწინააღმდეგებოდნენ სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი.

  თავის მხრივ, მოსარჩელის ადვოკატი, ნათია ბერძენიშვილი, აღნიშნავდა, რომ ბავშვების მამა დროულად არ იხდიდა ალიმენტს და თავს არიდებდა შვილებთან ურთიერთობას. ამასთან, იგი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ, მიუხედავად ყარამ ა.–ს დადანაშაულებისა შვილიშვილებისთვის არასათანადო

საცხოვრებელი პირობების შექმნაში, ბავშვების მამა არ მოითხოვდა ბავშვების საცხოვრებლად თავისთან წაყვანას.

საბოლოოდ, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა ადვოკატ ნათია ბერძენიშვილის პოზიცია, ყარამან ა.–ს სარჩელი სრულად დააკმაყოფილა და ბავშვების მშობლებს წარმომადგენლობითი უფლება შეუზღუდა. სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ყარამან ა. გახდება უფლებამოსილი, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიემარათოს და ბავშვების მზრუნველის სტატუსი მოიპოვოს.

მემკვიდრეობასა და მეუღლეთა ქონებასთან დაკავშირებული დავები

- იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს ადვოკატის, ნათია ბერძენიშვილის, დახმარებით, სოციალურად დაუცველმა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალმა, გ.რ-მ, მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავა სააპელაციო სასამართლოში მოიგო.

  გ.რ.-ს, მამის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, დავა ჰქონდა თავის ორ დასთან, რომელთაც უღირს მემკვიდრეებად მიიჩნევდა და მამის ქონების მათთვის გადანაწილებას აპროტესტებდა. მიზეზად ასახელებდა იმ გარემოებას, რომ დები სისტემატიურად აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას მშობელს, რომელსაც რეალურად მხოლოდ გ.რ. უვლიდა.

  იურიდიული დახმარების სამსახურში მომართვის შემდეგ, გ.რ.-ს საქმეზე მუშაობა ადვოკატმა ნათია ბერძენიშვილმა დაიწყო. მან მოამზადა სარჩელი, რომელიც სოციალურად დაუცველმა გ.რ.-მ მცხეთის რაიონულ სასამართლოში შეიტანა და დების უღირს მემკვიდრეებად ცნობა მოითხოვა.

  მდგომარეობას ართულებდა ორი ანდერძის არსებობა. კერძოდ, ერთი დოკუმენტი წარმოადგენდა შინაურულ ანდერძს, მეორე კი სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძი იყო. ამასთან, დოკუმენტების შინაარსი ერთმანეთისგან განსხვავებული იყო. შინაურულ ანდერძში, რომელიც გარდაცვლილმა პირმა საკუთარი ხელით შეადგინა, აღწერილი იყო დების უღირსი ქმედება და ქონება გ.რ.-ს რჩებოდა. მეორე ანდერძში კი, დების უღირს ქმედებებზე საუბარი არ იყო.

  მცხეთის რაიონულმა სასამართლომ, შინაურული ანდერძის ნამდვილობაში ეჭვი შეიტანა, რადგან მიიჩნია ფორმის დაუცველად შედგენილ დოკუმენტად; დაეყრდნო მეორე, სანოტარო წესით დამოწმებულ ანდერძს, და არ დააკმაყოფილა გ.რ.-ს სარჩელი. ეს გადაწყვეტილება ადვოკატმა, ნათია ბერძენიშვილმა, გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც, საკითხის შესწავლისას, არ გაიზიარა მცხეთის

რაიონული სასამართლოს პოზიცია, დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და გ.რ.-ის დები უღირს მემკვიდრეებად სცნო.

აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის კანონიერ ძალაში შესული. გასაჩივრების შემთხვევაში სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე გ.რ.-ის ინტერესებს კვლავაც იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი დაიცავს.

- ორი მცირეწლოვანი შვილის დედამ, სოციალურად დაუცველმა იძულებით გადაადგილებულმა პირმა, მაია ბ.–მ იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართა ყოფილ მეუღლესთან ქონებრივი დავის საკითხზე.

  დევნილი ქალი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა დავით დ.–სთან, რომელთან თანაცხოვრების პერიოდშიც ორი შვილი შეეძინა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ოჯახი მცხეთის რაიონის სოფელ წილკანში ჩაასახლეს და სიმბოლურ ფასად საცხოვრებელი კოტეჯი გადასცეს.

  ოჯახური კონფლიქტის გამო, მაია ბ.–ს შვილებთან ერთად სახლიდან წასვლა მოუწია და ვინაიდან, ვეღარ სარგებლობდა მისთვის გამოყოფილი საცხოვრებლით, კოტეჯში მისი კუთვნილი წილის სანაცვლოდ, ყოფილი მეუღლისგანლ, 10 150 ლარის ოდენობის კომპენსაცია მოითხოვა. აღნიშნული მოთხოვნის შემცველი სარჩელი მაია ბ.–ს იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა–მთიანეთის ბიუროს ადვოკატმა, ნათია ბერძენიშვილმა, შეუდგინა.

  მხარეები დავის მორიგებით დასრულებას ადრეც ცდილობდნენ, თუმცა ურთიერთმისაღებ პირობებზე ვერ თანხმდებოდნენ. ამასთან, დავის მაია ბ.–ს სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაშიც, სათუო იყო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი, ვინაიდან მოპასუხე მხარეს ასევე მატერიალურ გაჭირვებაში მყოფი დევნილი წარმოადგენდა.

  ასეთ ვითარებაში, ადვოკატ ნათია ბერძნიშვილთან ხანგრძლივი კონსულტაციის შედეგად, მაია ბ. დათანხმდა დავის მორიგებით დასრულებას, ყოფილი მეუღლისგან 8 ათასი ლარის ოდენობის კომპენსაციის სანაცვლოდ. ამასთან, მაია ბ.–ს 4 ათასი ლარი მორიგებისთანავე გადაეცა, თანხის დარჩენილი ნაწილის გადაცემის ბოლო ვადად კი 2016 წლის 1 ივლისი განისაზღვრა.

  აღსანიშნავია, რომ მაია ბ.–მ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი იურიდიული დახმარებით ქონებრივი დავის დაწყებამდეც ისარგებლა. კერძოდ, ადვოკატ ნათია ბერძენიშვილის დახმარებით, მის ორ მცირეწლოვან შვილს მამისგან, დავით დ.–სგან, ალიმენტი დაენიშნათ.

დავები სოციალური დაცვის თაობაზე

- იურიდიული დახმარების სამსახურის მარნეულის საკონსულტაციო ცენტრის იურისტის, ნინო პაპაშვილის, ძალისხმევით, სოციალურად დაუცველ პენიონერს ერასტ კ.-ს მატერიალური დახმარება გაეწია.

  ერასტ კ. მარტოხელა პენსიონერი იყო. კონსულტაციის პროცესში, გაირკვა, რომ მოხუცი ადრე სოციალურ დახმარებასაც იღებდა, თუმცა გაურკვეველი მიზეზით - შეუწყვიტეს. მოხუცი ხშირად ავადმყოფობდა, თუმცა მედიკამენტების საჭირო თანხის მოძიება უჭირდა.

  კონსულტანტმა, ნინო პაპაშვილმა, შეადგინა განცხადებები, რომლითაც ადგილობრივ გამგეობას მიმართა. შედეგად, ადგილობრივმა გამგეობამ ერასტ კ. ჩართო „მინიმალურ სასურსათო პროგრამაში", რომელიც ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობის დახმარებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, მოქალაქეს ერთჯერადად გადაერიცხა მედიკამენტებისათვის საჭირო თანხა.

- მარტოხელა, სოციალურად დაუცველი პენსიონერი, ქალბატონი ნაზო ჭ. 1998 წლიდან აღიარებული იყო საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლად. მისი მშობლები და უფროსი და, 1950-იანი წლების დასაწყისში, გადაასახლეს ყაზახეთში, სადაც თავად ქალბატონი ნაზოც დაიბადა.

  ნაზო ჭ.-ს, რომლის ერთადერთი საარსებო წყარო პენსია და შემწეობა იყო, სახელმწიფოსგან ფულადი კომპენსაცია ეკუთვნოდა. კომპენსაციის მიღებაში, მარტოხელა ქალბატონს იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს კონსულტანტი, მერი ხაჩიძე, დაეხმარა.

  გაწეული იურიდიული დახმარების ფარგლებში, ნაზო ჭ.-სთვის ორი სარჩელი მომზადდა. პირველი სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ, მოსარჩელეს 300 ლარის ოდენობის კომპენსაცია დაენიშნა, რაც, რასაკვირველია, მიყენებულ ზიანს არ შეესაბამებოდა.

  ამის შემდეგ, კანონში, რომელიც პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სოციალურ დაცვას არეგულირებს, შევიდა ცვლილება, რომლითაც ფულადი კომპენსაციის ქვედა და ზედა ზღვარი 1000-2000 ლარით განისაზღვრა. საკანონმდებლო ცვლილების გათვალისწინებით, ნაზო ჭ.-სთვის მომზადდა ახალი სარჩელი, რომლითაც მარტოხელა პენსიონერმა სახელმწიფოსგან 2000 ლარის ოდენობის კომპენსაცია მოითხოვა.

მეორე სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ფინანსთა სამინისტროს ნაზო ჭ.-სთვის 1150 ლარის ოდენობის ფულადი კომპენსაციის გადახდა დაეკისრა. სახელმწიფოს მიერ გაწეული იურიდიული დახმარების შედეგად, მარტოხელა პენსიონერმა, ჯამში, 1450 ლარის ოდენობის ფულადი კომპენსაციის მიღება შეძლო.

- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა კომპენსაციის საკითზე, იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს მიმართა რვა პირმა – იზოლდა ბ.–მ, გურამ რ.–მ, ლეილა მ.–მ. და ვიაჩესლავ ბ.–მ., მიხეილ ლ.–მ, გივი ჯ.–მ, ნინა ს.–მ, გოჩა ს.–მ – დახმარებისთვის მიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს. რვავე ბენეფიციარის ოჯახის წევრები 1930–იანი წლების საბჭოთა რეპრესიებს ემსხვერპლნენ: ზოგი დახვრიტეს, ზოგს თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ზოგი გადაასახლეს.

  ბენეფიციარების ნაწილს ადრე უკვე ჰქონდა მიღებული ფულადი კომპენსაცია, თუმცა კომპენსაციების ოდენობა 310 ლარიდან 400 ლარამდე მერყეობდა და მიღებულ ზიანს, რა თქმა უნდა, არ შეესაბამებოდა. ნინო მინჯიამ, ხსენებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, ახალი სარჩელები შეადგინა, რომლითაც პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებმა სასამართლოს მიმართეს. ახალი სარჩელებით, რეპრესიების მსხვერპლები, კომპენსაციის სახით, მოითხვდნენ ფულად თანხას, რომელიც შეადგენა სხვაობას ახლადდაწესებულ საკომპენსაციო მაქსიმუმსა და მათ მიერ უკვე მიღებულ თანხებს შორის.

  სასამართლომ აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნები ნაწილობრივ დაამკაყოფილა და ფინანსთა სამინისტროს, მოსარჩელეთა სასარგებლოდ, 1150 ლარიდან 1450 ლარამდე ოდენობის ფულადი კომპენსაციის გადახდა დააკისრა.

- აფხაზეთიდან დევნილ შშმ პირს სოციალური დახმარება აღუდგა: იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს მიმართა ლაშა ჯ., რომელსაც სოციალური მომსახურების სააგენტომ შეუწყვიტა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია იმ მიზეზით, თითქოს იგი ერთ–ერთ შპს–ში დასაქმდა. როგორც შშმ პირს, ლაშა ჯ.–ს შეზღუდული ჰქონდა შრომითი საქმიანობა. აშაკარა იყო, რომ დასაქმების თაობაზე ინფორმაცია სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზაში ტექნიკური შეცდომის შედეგად შევიდა. თუმცა, სოციალური მომსახურების სააგენტო ამ ფაქტს უარყოფდა და უარს ეუბნებოდა ლაშა ჯ.–ს რეგისტრაციის აღდგენაზე. იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს კონსულტანტმა ნინო მინჯიამ მოამზადა განცხადება, რომლითაც ლაშა ჯ.–მ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართა. განცხადებას ერთვოდა ცნობები შემოსავლების სამსახურიდან და შესაბამისი შპს–სდან, საიდანაც დასტურდებოდა, რომ ლაშა ჯ. დასაქმებული არ იყო და ხელფასიც არ მიუღია. შედეგად, სოციალური მომსახურების სააგენტომ გამოსცა ახალი ადმინისტრაციული აქტი, რომლის მიხედვითაც ლაშა ჯ.–ს ოჯახს სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაცია და საარსებო შემწეობა აღუდგა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს, წარმომადგენლის მეშვეობით, მიმართა გულნაზი ხ.–მ, რომელსაც სურდა, სასამართლოში გაესაჩივრებინა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის უარი, მისთვის, „მარჩენალდაკარგულის“ სტატუსის ნაცვლად, „ომში მიღებული ჭრილობის შედეგად გარდაცვლილის ოჯახის წევრის“ სტატუსის მინიჭების შესახებ, რის საფუძველზეც ჯარისკაცის დედა იმედოვნებდა ყოველთვიურად 1000 ლარის ოდენობის კომპენსაციის მიღებას.

  ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის უარი ეფუძნებოდა აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციას, რომ გულნაზი ხ.–ს ვაჟი გარდაიცვალა არა უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების დროს შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში, არამედ შემდგომ პერიოდში, რაც არ წარმოადგენდა საკმარის წინაპირობას ჯარისკაცის დედის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

  ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის შესაბამისი სამართლებრივი აქტი თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატმა, ვლადიმერ გამრეკელაშვილმა. მისი შუამდგომლობით, სასამართლოში დაიკითხნენ გარდაცვლილი ჯარისკაცის თანამებრძოლები, რომლებმაც საომარი მოქმედებების დროს გულნაზი ხ.–ს შვილის დაჭრის ფაქტი დაადასტურეს.

  აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა გულნაზი ხ.–ს სარჩელი და გაუქმდა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის გადაწყვეტილება ჯარისკაცის დედისთვის „ომში მიღებული ჭრილობის შედეგად გარდაცვლილის ოჯახის წევრის“ სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. ამავდროულად, სასამართლომ მოპასუხე მხარეს დაავალა ახალი ადმინისტრაციული აქტის მიღება, რომლითაც გულნახი ხ.–ს სასურველი სტატუსი მიენიჭებოდა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს, წარმომადგენლის მეშვეობით, მიმართა ანნა ბ.–მ, რომელსაც სურდა მოეპოვებინა „ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს უგზო–უკვლოდ დაკარგული მეომრის ოჯახის წევრის“ სტატუსი და, ამის საფუძველზე, სახელმწიფოსგან ყოველთვიურად 1000 ლარის ოდენობის კომპენსაცია მიეღო.

  ანნა ბ.–ს შვილი 1992 წელს უგზო–უკვლოდ დაიკარგა აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს. 2014 წელს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკარგული მეომარი გამოცხადდა გარდაცვლილად. გარდაცვალების თარიღად განისაზღვრა 1993 წლის 1 ოქტომბერი, ადგილად კი – აფხაზეთი.

  სწორედ სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას დაეყრდნო ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, რომელმაც უარი უთხრა ანნა ბ.–ს განცხადების დაკმაყოფილებასა და მისთვის დაკარგული მეომრის ოჯახის წევრის სტატუსის

მინიჭებაზე. უარის თქმის მიზეზად მითითებული იყო ის გარემოება, რომ ანნა ბ.–ის შვილის გარდაცვალების თარიღად სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული იყო 1993 წლის 1 ოქტომბერი – თარიღი, როდესაც აფხაზეთში საომარი მოქმედებები დასრულებული იყო, ხოლო ქართული საბრძოლო დანაყოფები გამოყვანილი იყვნენ აფხაზეთის ტერიტორიიდან.

იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატმა, ვლადიმერ გამრეკელაშვილმა, შეადგინა სარჩელი, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოსგან მოითხოვა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ ანნა ბ.–ს მიმართ მანამდე მიღებული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რითაც ანნა ბ.–ს „ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს უგზო–უკვლოდ დაკარგული მეომრის ოჯახის წევრის" სტატუსს მიენიჭებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ აღნიშნული სარჩელი სრულად დააკმაყოფილა. თუ მოპასუხე მხარე ამ გადაწყვეტილებას ზემდგომ ინსტანციაში არ გაასაჩივრებს, ანნა ბ.–ს 1000 ლარის ოდენობის ყოველთვიური სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნება.

დევნილთა უფლებები

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, აბელ გეგიას, ძალისხმევით, პენსიონერმა ქალბატონმა, მ.კ.-მ, დევნილთა სამინისტროს სასამართლოში დავა მოუგო.

  დევნილთა სამინისტრომ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მ.კ.-ს დევნილის სტატუსი გასული წლის მარტში მოუხსნა და შემწეობის გადახდაც შეუწყვიტა. ამ გადაწყვეტილების საფუძვლად კი მიუთითა ის გარემოება, რომ ქალბატონმა აფხაზეთის ტერიტორია 1991 წლამდე დატოვა. ანუ, მას არ მოუხდა ომის პერიოდში იძულებით გადაადგილება. შესაბამისად, მ.კ. არ აკმაყოფილებდა დევნილის სტატუსის მისანიჭებლად დადგენილ კრიტერიუმებს.

  მარტოხელა პენსიონერმა დევნილთა სამინისტროს გადაწყვეტილების გასაჩივრება გადაწყვიტა, თუმცა საკუთარი ხარჯებით ადვოკატის მოწვევა არ შეეძლო. ამიტომ, უფასო სამართლებრივი მომსახურებისთვის იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართა.

  საზოგადოებრივმა ადვოკატმა, აბელ გეგიამ, შესძლო სასამართლოს დარწმუნება დევნილთა სამინისტროს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის არამართლზომიერებაში. შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა მ.კ.-ს

სარჩელი. კერძოდ, დევნილთა სამინისტროს მოსარჩელისთვის დევნილის სტატუსის აღდგენა და ზიანის ანაზღაურება დაევალა.

იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მხარე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრებს, იურიდიული დახმარების სამსახური მ.კ.-ს ინტერესებს სააპელაციო სასამართლოშიც დაიცავს.

აღსანიშნავია, რომ მსგავს საქმეებზე სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მომსახურება 2015 წლის 15 აპრილიდან გახდა ხელმისაწვდომი. გადახდისუუნარო პირებს, საქმის სირთულიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი საოჯახო და სამემკვიდრეო დავებზე, ასევე სოციალური დაცვისა და დევნილთა უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე ენიშნებათ.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, ვლადიმერ გამრეკელაშვილი, იცავდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახს, რომელიც დევნილთა სამინისტროსგან ადეკვატური საცხოვრებლი ფართით უზრუნველყოფას მოითხოვდა.

  აფხაზეთიდან დევნილი ცოლ–ქმარი, ორ შვილთან ერთად, 2012 წლის 17 სექტემბრიდან ცხოვრობდა ბინაში (საერთო ფართობით: 21 კვ.მ.), რომელიც, პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, ეკონომიკის სამინისტროსგან მიიღო. ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, ბინა გაფორმდა ოჯახის უფროს წევრზე, ირაკლი კ.–ზე, იმ პირობით, რომ იგი გადაცემულ ფართში მეუღლეს – ეკატერინე გ.–ს და შვილებს – თორნიკე და თამთა კ.–ებს აცხოვრებდა.

  2015 წლის მაისში, ეკატერინე გ.–მ დევნილთა სამინისტროს მიმართა ოჯახის ადეკვატური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მოთოხვნით, თუმცა უარი მიიღო. სამინისტრო მიიჩნევდა, რომ 2012 წელს გადაცემული ფართით, ოჯახს საცხოვრებლის პრობლემა მოგვარებული ჰქონდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ირაკლი კ.–ს სახელზე რეგისტრიერბული ბინა არ აკმაყოფილებდა თავად დევნილთა სამინისტროს მიერ 2015 წლიდან დადეგენილ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც, 3–4 ადამიანისგან შემდგარი ოჯახი 45–60კვ.მ. ფართით უნდა დაკმაყოფილებულიყო.

  საქმის სირთულის და მნიშვნელობის, ასევე ოჯახის სოციალური მდგომარეობის გათვლისწინებით, ეკატერინე გ.–ს და მის შვილებს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი დაენიშნათ. ადვოკატმა ვლადიმერ გამრეკელაშვილმა შეისწავლა საქმის დეტალები და შეადგინა სარჩელი, რომლითაც მოითხოვა 2012 წელს ეკონომიკის სამინისტროსა და ირაკლი კ.–ს შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობას (მეუღლის და შვილების ნაწილში), ვინაიდან, ხელშეკრულების გაფორმებისას, ოჯახის დანარჩენ წევრებს ნება გამოვლენილი არ ჰქონდათ. მოპასუხე მხარეს წარმოადგენდნენ საქართველოს პრეზიდენტი და ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ადვოკატ ვლადიმერ გამრეკელაშვილის სარჩელი დააკმაყოფილა, რითაც ეკატერინე გ.–ს და მის შვილებს გაუჩნდათ სამართლებრივი საფუძველი, დევნილთა სამინისტროსგან ადეკვატური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ხელახლა მოითხოვონ.

იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მხარე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრებს, დევნილთა ოჯახის ინტერესებს კვლავაც იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი დაიცავს.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, აბელ გეგია, თბილისის საქალაქო სასამართლოში წარმოადგენდა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების – ლუიზა ტ.–ს, ნარი თ.–ს, ნანა თ.–ს და მარიამ ძ.–ის ინტერესებს დევნილთა სამინისტროს წინააღმდეგ დავაში.

  დავის დაწყების საფუძველი გახდა დევნილთა სამინისტროს გადაწყვეტილება, აღნიშნული პირებისათვის შეეწყვიტა დევნილის სტატუსი იმ მიზეზით, რომ მათ, შესაბამისი სტატუსის მოსაპოვებლად, სამინისტროს ყალბი ცნობები და ინფორმაცია მიაწოდეს.

  თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატმა, აბელ გეგიამ, შეადგინა სარჩელი, რომლითაც დევნილის სტატუსის ჩამორთმევის თაობაზე სამინისტროს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, მოსარჩელეთა სტატუსთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილების მიღება, ასევე – დევნილის სტატუსის ჩამორთმევიდან მის აღდგენამდე გაუცემელი შემწეობის გადახდა მოითხოვა.

  ადვოკატ აბელ გეგიას შუამდგლობის საფუძველზე, სასამართლოში მოწმის სახით დაიკითხა პირი, რომელმაც დაადასტურა, რომ მოსარჩელეები 1993 წელს ნამდვილად ცხოვრობდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ისინი იძულებულები გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი შეიარაღებული კონფლიქტის გამო. ამასთან, საქმეში მესამე მხარედ ჩაერთო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობა, რომელმაც სარჩელს მხარი დაუჭირა.

  შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და დევნილთა სამინისტროსთან დაწყებული დავა იძულებით გადაადგილებული პირების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატი, აბელ გეგია, იცავდა აფხაზეთიდან დევნილი თინა ა.–ს ინტერესებს, რომელსაც დევნილთა სამინისტრომ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი შეუწყვიტა.

  სამინისტო მიიჩნევდა, რომ თინა ა.–მ, დევნილის სტატუსის მოპოვებისას, ყალი ცნობები და ინფორმაცია წარმოადგინა, რაც გახდა ქალბატონისთვის სტატუსის ჩამორთმევის საფუძველი.

  ადვოკატმა აბელ გეგიამ სარჩელით მიმართა სასამართლოს, რომლისგანაც მოითხოვა დევნილთა სამინისტროს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე ამ უწყების მიერ ახალი აქტის გამოცემა, რომლითაც თინა ა.–ს დევნილის სტატუსი აღუდგებოდა.

  შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ბათილად ცნო დევნილთა სამინისტროს ის აქტი, რომლითაც თინა ა.–ს იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი ჩამოერთვა. სასამართლომ ასევე დაავალა სამინისტროს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის და შეფასების შემდეგ, გამოეცა ახალი აქტი, რომლითაც თინა ა.–ს საკითხი დარეგულირდებოდა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ადვოკატის, აბელ გეგიას, ძალისხმევით, აფხაზეთიდან დევნილმა ქორდიკო ს.–მ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოიგო ეკონომიკის სამინისტროსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებული დავა, რომელიც საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას ეხებოდა.

  ქორდიკო ს.–მ იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართა მას შემდეგ, რაც დევნილთა სამინისტროსგან მიიღო უარი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებაზე. უარის მიზეზი გახდა რამდენიმე წლის წინ ქორდიკო ს.–ის შვილთან - მალხაზ გ.–სთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის პირობითაც, საცხოვრებელი ბინით კმაყოფილდებოდა როგორც მალხაზ გ., ისე თავად ორდიკოც.

  ადვოკატმა აბელ გეგიამ შეისწავლა საქმის დეტალები და სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომლისგანაც მოითხოვა: 1) მალხაზ გ.–სა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ქორდიკო ს.–ის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების ნაწილში. 2) საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 2 თებერვლის №62 განკარგულების ბათილად ცნობა, საცხოვრებელი ფართის პირდაპირი მიყიდვის ფორმით ქორდიკო ს.–სთვის გადაცემის ნაწილში.

  საქმის სასამართლოში განხილვისას, საქმეში მესამე პირად ჩაერთო დევნილთა სამინისტრო. მოპასუხეთა და მესამე პირის წარმომადგენელებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ სარჩელი იყო უსაფუძვლო და ხანდაზმული.

საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა ადვოკატ აბელ გეგიას მიერ შედგენილი სარჩელი. იმ შემთხვევაში, თუ საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა, ქორდიკო ს. მოიპოვებს უფლებას, მოსთხოვოს დევნილთა სამინისტროს მისთვის საცხოვრებელი ფართის გადაცემა.

შრომითი დავები

- იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა–მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტის, ნათია ბერძენიშვილის ძალისხმევით, თეიმურაზ ხ.–მ, რომელიც წლების მანძილზე კუთვნილი ხელფასის მიღებას და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებას ვერ ახერხებდა, დამსაქმებელთან დავა მოიგო.

  მოქალაქე თეიმურაზ ხ.–მ, რომელიც 2006–2012 წლებში შპს „ტავაზში“ მძღოლად მუშაობდა, დახმარებისათვის მცხეთა–მთიანეთის ბიუროს მიმართა. მისი განცხადებით, 2009 წლის აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში, დამსაქმებელმა გააგზავნა კაზრეთში, ოქროს საბადოზე, ფიზიკური სამუშაოს შესასრულებლად, სადაც მისი ანაზღაურება უნდა ყოფილიყო 700 ლარი. თუმცა, დაპირების მიუხედავად, შპს „ტავაზმა“ თეიმურაზ მ.–ს არც ამ 3 თვის ხელფასი და არც სხვა თვეების ხელფასის ნაწილი – 566 ლარი არ აუნაზღაურა.

  თავდაპირველად, ბიუროს კონსულტანტმა, ნათია ბერძენიშვილმა, მოქალაქეს შეუდგინა განცხადება, რომლითაც თეიმურაზ ხ.–მ შპს „ტავაზისგან“ კუთვნილი გასამრჯელო მოითხოვა. თუმცა, ამას, დამსაქმებლის მხრიდან, არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. ამის შემდეგ, ნათია ბერძენიშვილმა მოამზადა სარჩელი, რომელიც თეიმურაზ ხ.–მ, შპს „ტავაზის“ წინააღმდეგ, მცხეთის რაიონულ სასამართლოში წარადგინა.

  აღნიშნული სარჩელის პასუხად, შპს „ტავაზმა“ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომელშიც განაცხადა, რომ თეიმურაზ ხ. კაზრეთში მხოლოდ ტვირთის გადაზიდვას ახორციელებდა და სხვა ფიზიკური სამუშაო არ შეუსრულებია. გარდა ამისა, შპს „ტავაზი“ განმარტავდა, რომ ხელშეკრულება ტვირთის გადაზიდვის შესახებ გაფორმებული იყო ერთ-ერთ ინდ.მეწარმესთან და არა უშუალოდ თეიმურაზ ხ.-სთან, ამიტომ მძღოლისთვის ხელფასის გადახდაც და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებაც სწორედ ამ ინდ.მეწარმეს ეკისრებოდა. მოპასუხე მხარემ თეიმურაზ ხ.-ის მიმართ მხოლოდ 566 ლარის ოდენობის სახელფასო დავალიანების არსებობა აღიარა და მის ეტაპობრივ დაფარვას დათანხმდა.

  სასამართლო განხილვის დროს, ინდ.მეწარმესა და თეიმურაზ ხ.-ს შორის ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ იქნა. გარდა ამისა, გაირკვა, რომ შპს „ტავაზსა“ და ინდ.მეწარმეს შორის ტვირთის გადაზიდვის

შესახებ ხელშეკრულება თეიმურაზ ხ.-ს თანხმობის გარეშე იყო დადებული. ამიტომ, სასამართლომ აღნიშნული გარიგება ბათილად ჩათვალა.

საბოლოოდ, თეიმურაზ ხ.-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. წარმოდგენილი საგზურების მიხედვით, დაანგარიშდა სამივლინებო ხარჯები და, სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს „ტავაზს", თეიმურაზ ხ.-ის სასარგებლოდ, ჯამში 1516 ლარის გადახდა დაეკისრა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტების დახმარებით, თბილისის მეტროპოლიტენის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილმა თანამშრომლებმა შრომითი დავები მოიგეს:

  ნათელა ა.–მ თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტაციისათვის მიმართა მას შემდეგ, რაც თბილისის მეტროპოლიტენთან სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე პირველი ინსტანციის სასამათლოში დავა წააგო. ქალბატონი ნათელა თბილისის მეტროპოლიტენში 1992 წლიდან მუშაობდა, თუმცა 2010 წელს უკანონოდ გაათავისუფლეს. იგი სამსახურში აღდგენას და განაცდურის ანაზღაურებას მოითხოვდა. ქალბატონ ნათელას პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენელი არ ჰყავდა, ამიტომ, თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტმა, აკაკი ლომსაძემ, მას ადვოკატის დაქირავება ურჩია, ასევე მისცა რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ რა არგუმენტებზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება სააპელაციო საჩივრის წარდგენისას. თუმცა სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.

  ამის შემდეგ, ნათელა ა.–მ კვლავ თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს მიმართა. კონსულტანტმა, აკაკი ლომსაძემ ამჯერად მას საკასაციო საჩივარი შეუდგინა. შედეგად, უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ქვემდგომი ინსტანციების გადაწყვეტილებები და პრაქტიკულად სრულად დააკმაყოფილა ნათელა ა.–ს მოთხოვნა. უზენაესმა სასამართლომ ბათილად სცნო შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორის ბრძანება ნათელა ა.–ს სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე და კომპანიას დაავალა 12 ათასი ლარის ოდენობის განაცდურის ანაზღაურება. სასამართლომ უარი უთხრა ნათელა ა.–ს სამსახურში აღდგენაზე, ვინაიდან ხუთწლიანი შრომითი კონტრაქტის ვადა, რომელიც ქალბატონ ნათელასთან სამსახურიდან გათავისუფლებამდე გააფორმეს, უკვე ამოწურული იყო.

  შედეგიანი აღმოჩნდა ადმინისტრაციული სარჩელიც, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს კონსულტანტმა, ბელა ჭყონიამ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელს, დემურ ჭ.–ს შეუდგინა.

  დემურ ჭ. შსს–სგან 1999–2003 წლებში მიუღებელი ხელფასის ანაზღაურებას მოითხოვდა. სამინისტრო სახელფასო დავალიანებას აღიარებდა, თუმცა თანხის გადახდას აჭიანურებდა. დემურ ჭ.–მ კონსულტაციისთვის ქუთაისის იურიიდული

დახმარების ბიუროს მიმართა, სადაც მას სამართლებრივი კონსულტაცია გაუწიეს და ადმინისტრაციული სარჩელი შეუდგინეს. კონსულტანტ ბელა ჭყონიას დახმარებით, დემურ ჭ.–ს 750 ლარის ოდენობის სახელფასო დავალიანება აუნაზღაურდა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს მიმართა ნინო ხ.–მ, რომელიც სამსახურიდან გაუფრთხილებლად, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე გაათავისუფლეს. მოქალქის განმარტებით, იგი 5 თვის მანძილზე მუშაობდა ტაქსოკომპანიაში, ოპერატორის პოზიციაზე. ერთ–ერთი მორიგეობიდან დაბრუნებულს, მოულოდნელად დაურეკა დირექტორმა და უთხრა, რომ გათავისუფლებული იყო სამსახურიდან.

  ნინო ხ. უკიდურესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა, რადგან ოჯახში ერთადერთი დასაქმებული წევრი იყო. თავისი უფლებების დასაცავად, მან მიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს, სადაც მას კონსულტაცია და სამართლებრივი დახმარება ადვოკატმა აკაკი ლომსაძემ გაუწია.

  ნინო ხ. ტაქსოკომპანიაში ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა და ხელფასსაც ნაღდი ანგარიშსწორებით იღებდა, შესაბამისად, კომპანიასთან შრომითი ურთიერთობების შესახებ არავითარი წერილობითი მტკიცებულება არ გააჩნდა. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარემ მოწმეებად წარმოადგინა ნინო ხ.–ის კოლეგები, რომლებმაც განმარტეს, რომ გათავისუფლებული ქალი არა 5 არამედ 3 თვის განმავლობაში მუშაობდა, და რომ იგი გაფრთხილებული იყო დირექციის მხრიდან გათავისუფლების თარიღის შესახებ.

  ადვოკატმა აკაკი ლომაძემ ტაქსოკომპანიის წინააღმდეგ შეაგდგინა სარჩელი და დაეხმარა ნინო ხ.–ს ისეთი მოწმის შერჩევაში, რომელიც სასამართლოში გათავისუფლებული მუშაკის სასარგებლოდ ჩვენებას მისცემდა. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატმა ასევე მოამზადა საპაექრო სიტყვა, რომლითაც ნინო ხ. სასამართლოში წარდგა და თავისი მოთხოვნები დაასაბუთა.

  საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა ნინო ხ.–ს სასარჩელო მოთხოვნა და ტაქსოკომპანიას, მოსარჩელის სასარგებლოდ, 2 თვის ხელფასის ოდენობის (1000 ლარი) კომპენსაციის გადახდა დააკისრა. გადაწყვეტილება გაჭიანურების გარეშე აღსრულდა.

ქონებასთან, სესხებსა და დავალიანებასთან დაკავშირებული დავები

- იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს, კონსულტაციისათვის მიმართა სოციალურად დაუცველმა, მარტოხელა პენსიონერმა – დიდიშა თ.–მ. მას ჰქონდა პრობლემა წლების წინ გასესხებული 1200 აშშ დოლარის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით. მისი მოვალე ცოლ–ქმარი ყველანაირად არიდებდა თავს

ვალდებულების შესრულებას. როგორც დიდიშა თ.–სთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, მათ ამ გზით რამდენიმე ადამიანი ჰყავდათ მოტყუებული.

კონსულტანტმა, ნინო მინჯიამ მოქალაქეს შეუდგინა სარჩელი სასამართლოში წარსადგენად, რომელშიც ძირითადი ვალის დაბრუნება მოითხოვა. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასარჩევლო მოთხოვნა და მოპასუხე მხარეს დაეკისრა 1000 აშშ დოლარის გადახდა.

- სოციალურად დაუცველმა გოჩა გ.-მ კონსულტაციისათვის იურიდიული დახმარების სამსახურის ზესტაფონის ბიუროს მიმართა. მისი განმარტებით, ახლობლის - კახაბერ გ.-ის თხოვნით, რამდენიმე საფინანსო ორგანიზაციიდან გამოიტანა კრედიტები, რომელთა დაფარვაც კახაბერ გ.-ს უნდა უზრუნველეყო, თუმცა პირობას არ ასრულებდა.

  გოჩა გ. ვერ იხდიდა თანხებს, რის გამოც ყოველდღიურად ერიცხებოდა პროცენტები და პირგასამტეხლო. კახაბერ გ. კი ვალის დაბრუნებას არ ჩქარობდა. ასეთ ვითარებაში, გოჩა გ.-მ ჯერ პოლიციას, შემდეგ კი ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს მიმართა.

  ბიუროს კონსულტანტმა, ნანა ლუტიძენ, გოჩა გ.-ს გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია და შეუდგინა საჭირო დოკუმენტები. მომზადდა სარჩელი, რომლითაც გოჩა გ.-მ თავისი ახლობლისგან 2000 ლარამდე თანხის გადახდა მოითხოვა. სარჩელს ერთვოდა ბანკებიდან მოპოვებული ცნობები.

  საბოლოოდ, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ გოჩა გ.-ს სარჩელი სრულად დააკმაყოფილა და მის მოვალეს არამხოლოდ ძირითადი თანხის, არამედ გოჩა გ.-სთვის დარიცხული პრონცენტების გადახდაც დააკისრა.

- სოციალურად დაუცველმა ნოდარ გ.–მ, როგორც მეტროპოლიტენის თანამშრომელმა, თბილისის მერიისგან მიიღო ბინა. თუმცა წლების განმავლობაში, ბინაში შესვლას ვერ ახერხებდა, რაგდან საცხოვრებელ ფართში უკანონოდ შეჭრილი იყო სხვა ოჯახი. ნოდარ გ.–მ მიმართა პოლიციას, თუმცა უკანონოდ შეჭრილების გამოსახლება ვერ შეძლო. ასეთ ვითარებაში მან თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს მიმართა.
  ადვოკატმა აკაკი ლომსაძემ შეისწავლა საკითხი, ნოდარ გ.–ს გაუწია კონსულტაცია და მისი ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით შეადგინა სარჩელი. საყურადღებოა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდებოდა ნოდარ გ.–ის საკუთრების უფლება. არ არსებობდა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა მესამე პირის მიერ ქონების მართლზომიერად ფლობის ფაქტი.
  შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატ აკაკი ლომსაძის მიერ მომზადებული სარჩელი, რომლითაც სადავო ბინა გამოთხოვილ იქნა უკანონო მფლობელობიდან. მოპასუხე მხარემ გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება, თუმცა სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა უფლებები

- იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა–მთიანეთის ბიუროს მიმართა სოფელ მუხრანში მცხოვრებმა ნინო ლ.–მ, რომელსაც სურდა განეხორციელებინა თავისი ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე შვილის – სერგო ო.–ს მხარდაჭერა, სოციალური პაკეტის მიღების საკითხში.
  ბენეფიციარს დიაგნოზით დადგენილი ჰქონდა გამოხატული გონებრივი ჩამორჩენილობა ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობით. სავალდებულო დაცვის ფარგლებში, საქმეში სერგო ო.–ს დაენიშნა ადვოკატი ნათია ბერძენიშვილი.
  სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე დაინიშნა ფსიქოსოციალური ექსპერტიზა, რომლის შესრულება დაევალა ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს. ამის პარალელურად, ადვოკატმა ნათია ბერძენიშვილმა განახორციელა ვიზიტი სოფელ მუხრანში, გაეცნო ბენეფიციარის საცხოვრებელ პირობებს, გამოკითხა მეზობლები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ სერგო ო.–ზე მიდი დედა ნინო ლ. ზრუნავს.
  ფსიქოსოციალური ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ სერგო ო.–ს ჰქონდა მყარი ფსიქიკური დარღვევები, რომელიც ხელს უშლიდან საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. სასამართლო პროცესზე დაიკითხნენ ექსპერტები და სოციალური მუშაკები, რომლებმაც ექსპერტიზის შედეგების სისწორე დაადასტურეს.
  საბოლოოდ, ბენეფიციარის დედის განცხადება დაკმაყოფილდა. სერგო ო. აღიარებულ იქნა მხარდაჭერის მიმღებ პირად, მის მხარდამჭერად კი დედა – ნინო ლ. განისაზღვრა.

- მინაია ბ.-მ კონსულტაციისათვის იურიდიული დახმარების სამსახურის მარნეულის საკონსულტაციო ცენტრს მიმართა. ქალს სურდა გამხდარიყო თავისი სრულწლოვანი შვილის მეურვე, რომელსაც ფსიქიკური პრობლემების გამო მუდმივად მოვლა ესაჭიროებოდა.

  კონსულტანტმა ნინო პაპაშვილმა მინაია ბ.-ს გაუწია სათანადო კონსულტაცია, მოიპოვა მისი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი ცნობები და შეადგინა განცხადება, რომლითაც დედამ სასამართლოს მიმართა.

  საბოლოოდ, მარნეულის მაგისტრატმა მოსამართლემ დააკმაყოფილა განცხადება და მინაია ბ. შვილის მეურვედ ცნო.

შვილის მეურვის სტატუსის მოპოვებაში ნინო პაპაშვილი ასევე დაეხმარა მოქალაქე ტარლან მ.-საც, რომელმაც მარნეულის საკონსულტაციო ცენტრს ანალოგიური საკითხით მიმართა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს ადვოკატის, ნათია ქვარცხავას, ძალისხმევით, ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე სრულწლოვან პირებს, დროებითი მხარდამჭერების სახით, მშობლები დაენიშნენ.

  ბაჩანა გ. სამშობიარო ტრავმით დაიბადა და ბავშვობიდანვე საჭიროებდა განსაკუთრებულ ზრუნვას. სრულწლოვანებამდე, ბაჩანას ინტერესებს მშობლები იცავდნენ. 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ კი მშობლებს, ბაჩანას უფლებების დასაცვად, სამართლებრივი საფუძველი აღარ ჰქონდათ. არადა, ბაჩანას სახელმწიფოსგან სოციალური პაკეტი ეკუთვნოდა, თუმცა სოციალური მომსახურების სააგენტოში საკუთარი ინტერესების წარმოდგენას დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა. საჭირო იყო, რომ ერთ-ერთ მშობელს სასამართლოსგან ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირის მხარდამჭერის სტატუსი მოეპოვებინა.

  ბაჩანა გ.-ის მამამ, თემურ გ.-მ, კონსულტაციისთვის იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს მიმართა. ბიუროს ადვოკატმა, ნათია ქვარცხავამ, შეისწავლა საკითხი, თემურ გ.-ს გაუწია სათანადო კონსულტაცია და სასამართლოში წარსადგენად მოამზადა განცხადება, რომლითაც სასამართლოს, ბაჩანა გ.-სთვის, დროებით მხარდამჭერის სახით, თემურ გ.-ის დანიშვნა მოითხოვა.

  ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული განცხადება დააკმაყოფილა და, საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, ბაჩანას მამას დროებითი მხარდამჭერის სტატუსი მიანიჭა.

  დროებითი მხარდამჭრის სტატუსი ასევე მოიპოვა ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე ალექსანდრე ყ.-ის დედამ - მარიკა გ.-მაც. ბაჩანასა და ალექსანდრეს ინტერესებს სასამართლოში ადვოკატი ნათია ქვარცხავა წარმოადგენს. იგი ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა მშობლებს თავიანთი შვილების მხარდამჭერად ცნობაში ეხმარება.

  ბიუროს ადვოკატის, ნათია ქვარცხავას დახმარებით, თავიანთი ოჯახის წევრების დროებით მხარდამჭერის სტატუსის მოპოვება შეძლეს:
  - დარეჯან შ.–მ, რომელსაც თავისი შშმ მეუღლისთვის პენსიის დანიშნვა სურდა;
  - გელა ა.–მ, რომელიც თავისი შშმ ძმისთვის შეჩერებული სოციალური პაკეტის აღდგენას ითხოვდა;
  - ლუიზა თ.–მ, რომელიც შშმ პირისთვის განკუთვნილი პენსიის საკითხზე თავისი დის ინტერესებს წარმოადგენდა.

- ზაირა ძ.–ს, მეორე ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს, დიაგნოზით – ოლიგოფრენია, 2012 წლის დეკემბერიდან შეჩერებული ჰქონდა პენსია. ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, იგი საჭიროებდა სისტემატურ მკურნალობას ძვირადღირებული მედიკამენტებით, რაც დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან. თუმცა, ქალბატონს სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის დამოუკიდებლად მიმართვა არ შეეძლო. საჭირო იყო, რომ სასამართლოს მისთვის დაენიშნა მხარდამჭერი პირი, რომელიც მასზე იზრუნებდა და მის უფლებებს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოში დაიცავდა. ასეთ ვითარებაში, იურიდიული დახმარების სამსახურის ფოთის ბიუროს კონსულტაციისათვის ზაირას ძმამ, ზურაბ ძ.–მ., მიმართა.
  ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტმა, ქეთევან გვაზავამ სასამართლოში წარსადგენად მოამზადა განცხადება, რომლითაც ზურაბ ძ.–მ მოითხოვა, სასამართლოს თავისი და მხარდაჭერის მიმღებად ეღიარებინა. სენაკის რაიონულმა სასამართლომ ზაირა ძ.–ის ძმის და ადვოკატის, ასევე მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობით განიხილა აღნიშნული საკითხი და, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ზურაბ ძ. თავისი დის დროებით მხარდამჭერად აღიარა. ამ გადაწყვეტილებით, ზურაბ ძ. გახდა უფლებამოსილი თავისი დის პენსიის საკითხე ოფიციალურად მიემართა სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის და ზაირა ძ.–ის კუთვნილი პენსია მიეღო.

  აღსანიშნავია, რომ, კონსულტანტ ქეთევან გვაზავას ძალისხმევით, ანალოგიური შედეგით ასევე დასრულდა სხვა ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა საქმეებიც განხილვაც:
  - ნანი ყ. გახდა დროებითი მხარდამჭერი თავისი მეუღლისა, რომელსაც, გადატანილი ინსულტის გამო, დამოუკიდებლად მოქმედება არ შეეძლო და ვერ იღებდა კუთვნილ პენსიას.
  - დროებითი მხადამჭერის სტატუსი მოიპოვა გიგა კ.–მაც, რომელსაც თავისი მეუღლის ხათუნა ჩ.–ის უფლებების დაცვა სურდა.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა

- იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს კონსულტანტის, ნინო მინჯიას დახმარებით, მოქალაქეებმა სხვადასხვა დოკუმენტის უქონლობით გამოწვეული პრობლემების მოგვარება შეძლეს.

  - ქორწინების მოწმობის უქონლობის გამო, ცოლ-ქმარი, რომელთა შვილიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის იბრძოდა, ვერ ახერხებდა დაღუპული მეომრის ოჯახის წევრებისათვის განკუთვნილი სოციალური

შეღავათებით სარგებლობას. მათ დასახმარებლად, იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდის ბიუროს მიმართა ოჯახის ნათესავმა. კონსულტანტმა ნინო მინჯიამ, სასამართლოში წარსადგენად, შეადგინა განცხადება ქორწინების რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ, რაც სრულად დაკმაყოფილდა. შედეგად, ცოლ-ქმარს მოეხსნა დაბრკოლებები სოციალური შეღავათების, ფულად კომპენსაციასა და საცხოვრებელი ფართის მისაღებად.

- ნინო მინჯიას დახმარებით, დოკუმენტებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება შეძლო მოქალაქე მადონა კ.–მაც, რომელსაც გააჩნდა 2 პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სხვადასხვა სახელით და გვარით.

- საჭირო საბუთების მოწესრიგება შეძლო მოქალაქე მარინა თ.–მ, რომელსაც ფსიქიკური პრობლემების მქონე ძმისთვის პენსიის აღდგენა სურდა. აღმოჩნდა, რომ ფსიქონერვოლოგიური დისპანსერის მიერ გაცემულ ამონაწერში მისი ძმის მონაცემებში მამის სახელი მითითებული იყო არასწორად, რის გამოც სოციალური მომსახურების სააგენტომ მარინა თ.–ს ძმას პენსია შეუწყვიტა. კონსულტანტ ნინო მინჯიას დახმარებით, მარინა თ.–მ თავისი ძმის დოკუმენტში არსებული ხარვეზის გამოსწორება შეძლო.

- იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთის ბიუროს კონსულტაციისთვის მიმართა ლენა ქ.-მ, რომელსაც ბინის პრივატიზება სურდა. მის პრობლემას წარმოადგენდა დოკუმენტებში არსებული ხარვეზი, კერძოდ, ბინის ორდერში ჩაწერილი მისი ოჯახის წევრთა სახელები და გვარები არ ემთხვევოდა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში არსებულ მონაცემებს.

  კონსულტანტმა ნათია ბერძენიშვილმა მოქალაქეს გაუწია შესაბამისი კონსულტაცია და განუმარტა, რომ პრობლემის გადასაჭრელად საჭირო იყო, სასამართლოს გზით, იურიდიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტის კუთვნილების ფაქტის დადგენა. ლენა ქ.-ს მიერ აუცილებელი საბუთების წარმოდგენის შემდეგ კი, ნათია ბერძენიშვილმა სასამართლოს სახელზე შეადგინა შესაბამისი განცხადება.

  საბოლოოდ, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ დადებითად გადაწყვიტა საკითხი და დაადგინა, რომ ბინის ორდერი ნამდვილად ეკუთვნის ლენა ქ.-ს და მისი ოჯახის წევრებს.

- ნიზამი მ.-ს სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეუნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში დარეგისტრირება სურდა. თუმცა, დოკუმენტებში არსებული ხარვეზის გამო, რეგისტრაციაზე უარს ეუბნებოდნენ.

მოქალაქემ დახმარებისთვის მარნეულის საკონსულტაციო ცენტრს მიმართა. კონსულტანმა ნინო პაპაშვილმა გაუწია კონსულტაცია და განუმარტა, თუ რა საბუთების წარდგენაა საჭირო იმისათვის, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ მიიღოს. მომზადდა განცხადებაც, რომლითაც ნიზამი მ.-მ სასამათლოს მიმართა.

საბოლოოდ, მარნეულის მაგისტრატმა მოსამართლემ დააკმაყოფილა მოქალაქის განცხადება და დაადგინა, რომ მიწის მისაკუთრის მოწმობის და მიწის სააღიცხვო ბარათი ნამდვილად ნიზამი მ.-ს ეკუთვნის. შესაბამისად, მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისათვის ყოველგვარი დაბრკოლება მოიხსნა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის წალკის საკონსულტაციო ცენტრის იურისტის, დავით გოგიჩაიშვილის, დახმარებით, ხათუნა ქ.–მ, რომელსაც დაბადების და პირადობის დამადასტურებელ მოწმობები არ ჰქონდა, საბუთების მოწესრიგება შეძლო.

  ხათუნა ქ. დაიბადა სახლის პირობებში და მისი დაბადების რეგისტრაცია კანონით დადგენილი წესით არ მომხდარა. დოკუმენტების უქონლობის გამო, მას არც საბავშვო ბაღში და არც სკოლაში უვლია. მისი დედა – გარდაცვლილი, მამის სამყოფელი კი უცნობი იყო. ხათუნა ქ.–მ, სხივისი დახმარებით, ყალბი პირადობის მოწმობა აიღო. ამ დოკუმენტის საფუძველზე კი შემდეგ თავისი ქორწინების და შვილების დაბადების რეგისტრაცია შეძლო. მოგვიანებით, პარლამენტის მიერ გამოცხადებული ამნისტიის საფუძველზე, ნებაყოფლობით განაცხადა პირადობის მოწმობის გაყალბების შესახებ და მოითხოვა ახალი დოკუმენტის გაცემა მისი რეალური პერსონალური მონაცემების მითითებით.
  სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ უარი თქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე. ამიტომ, ხათუნ ქ.–მ იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართა. იურისტმა დავით გოგიჩაიშვილმა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წინააღმდეგ ადმინისტრაციული სარჩელი შეადგინა, რის შედეგადაც სასამართლომ დაავალა მოპასუხე მხარეს ხათუნ ქ.–სთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემა. მოგვიანებით, სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებით, დადგინა ხათუნა ქ.–ს დაბადების შესახებ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, სარჩელში მოთხოვნილი პერსონალური მონაცემების შესაბამისად.

- სოციალურად დაუცველი ვლადიმერ წ. ვერ ახერხებდა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას იმ მიზეზით, რომ მიწის ნაკვეთის მიღება–ჩაბარების აქტში არასწორად იყო მითითებული მისი სახელი, ვლადიმერის ნაცვლად – ლადო. ვლადიმერ წ.–მ, წარმომადგენლის მეშეობით, მიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთის ბიუროს. იურისტმა სოფია ჯოლოხავამ შეისწავლა საკითხი, გაუწია მოქალაქეს კონსულტაცია და სასამართლოში წარსადგენად მოამზადა განცხადება. შედეგად, განცხადება დაკმაყოფილდა. სასამართლომ დაადგინა მიწის ნაკვეთის მიღება–ჩაბარების აქტის კუთვნილება ვლადიმერ წ.–სადმი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები

- იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს იურისტის, მაკა რევიას, დახმარებით, სოციალურად დაუცველი ბესიკ ც. 1000 ლარიანი ჯარიმის გადახდისგან გათავისუფლდა.

  რუსთავის საქალაქო სასამართლომ ბესიკ ც.-ს დააკისრა 1000 ლარის ოდენობის ადმინისტრაციული სახდელი იმის გამო, რომ იგი, სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მიზნით, არ გამოცხადდა სამედიცინო შემოწმებისა და გამწვევი კომიის სხდომაზე.

  ბესიკ ც.-მ კონსულტაციისათვის იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართა. იურისტმა მაკა რევიამ შეისწავლა მისი საკითხი. გაირკვა, რომ ბესიკ ც.-ის ოჯახი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველთა ბაზაში. მას ჰყავდა არასრულწლოვანი ძმა და მამა, რომელიც ლოგინად იყო ჩავარდნილი და მუდმივ მზრუნველობას საჭიროებდა. სწორედ მამის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ბესიკ ც.-მ ვერ შესძლო დროულად გამოცხადება.

  აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, მაკა რევიამ შეადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც ბესიკ ც.-მ სააპელაციო სასამართლოსგან რუსთავის საქალაქო სასამართლოს დადგენილების გაუქმება მოითხოვა.

  საბოლოოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, გააუქმა 1000 ლარიანი ადმინისტრაციული სახდელი და ბესიკ ც.-ს მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება მისცა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს მიმართა ლაშა შ.–მ, რომლის მიმართაც რუსთავის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა ადმინისტრაციული სამართალწარმოება ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტზე.

  ლაშა შ.–ს სახდელის სახით ემუქრებოდა 15 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა. მის საქმეზე მუშაობა დაევალა იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს უფროსს – ადვოკატ იოსებ ჯამასპიშვილს.

  საქმის მასალების გაცნობის შემდეგ, იოსებ ჯამასპიშვილმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმსა და საექსპერტო დასკვნებში მთელი რიგი დარღვევები და შეუსაბამობები აღმოაჩინა. ადვოკატმა სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმ

გარემოებებზე, რომ არ დასტურდებოდა ექსპეტიზისთვის აღებული ბიოლოგიური მასალის კუთვნილება ლაშა შ.–სადმი. გარდა ამისა, სამართალდარღვევის გამოვლენა, ადმინისტრაციული ოქმის გამოცემა და სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება მოხდა საპროცესო ვადების დარღვევით.

საბოლოოდ, რუსთავის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ადვოკატ იოსებ ჯამასპიშვილის არგუმენტები და ლაშა შ.–ს მიმართ ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეწყვიტა.

- იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს მიმართა სამხედრო მოსამსახურემ, ანრი ფ.–მ, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა 1000 ლარის ოდენობის ჯარიმა, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით კი, დაყადაღებული იყო მისი სახელფასო ანგარიში და საცხოვრებელი ბინა.

  ანრი ფ.–მ იურიდიული დახმარების ბიუროს მიმართა მას შემდეგ, რაც კუთვნილი ხელფასის აღება ვერ შეძლო. სახელფასო ანგარიშის დაყადაღების მიზეზები კი ვერვინ განუმარტა. ასეთ ვითარებაში, იურიდიული დახმარების სამსახურის ქუთაისის ბიუროს კონსულტანტი, მაია ანი, ანრი ფ.–ს, პირველ რიგში, სასამართლოსგან შესაბამისი დოკუმენტების გამოთხოვაში დაეხმარა. შემდეგ კი, ადმინისტრაციული საჩივარი შეუდგინა.

  გაირკვა, რომ ჯარისკაცი დააჯარიმა ქუთაისის მერიის სამხედრო სამსახურმა, რომელმაც, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოცემისას, საქმის ვითარება არ შეისწავლა და არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ანრი ფ.–მ, სავალდებულო სამსახურში გაწვევამდე ერთი თვით ადრე, ნებაყოფლობით, საკონტრაქტო საფუძველზე, დაიწყო სამხედრო სამსახური საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

  საბოლოოდ, საქმე დასრულდა ანრი ფ.–ს სასარგებლოდ, რომლის მიმართაც ყველა სანქცია გაუქმდა.

სამსახურის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა

იურიდიული დახმარების საბჭოს საქმიანობა



იურიდიული დახმარების საბჭოს სხდომა

იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით 2014 წელს შექმნილმა კოლეგიურმა ორგანომ – იურიდიული დახმარების საბჭომ აქტიურად განაგრძო თავისი უფლებამოსილებების განხორციელება. 2015 წელს საბჭომ, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, 18 გადაწყვეტილება[1] მიიღო.

- საბჭომ გააფართოვა სოციალურად დაუცველთა ბაზაში არარეგისტრირებულ პირთა წრე, რომელთა მიმართაც იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება იურიდიული დახმარების გაწევის თაობაზე. ასეთ პირებად განისაზღვრნენ: იუსტიციის სამინისტროს „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარები; საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირის ,,კათარზისის'' ბენეფიციარები; არასრულწლოვანი პირები, რომლებიც შესაძლოა იყონ მხარე სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეებზე.
- საბჭომ დაამტკიცა „სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები“.

იურიდიული დახმარების საბჭომ დაიწყო მსჯელობა თავისი ფუნქციონალური შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე. USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით, საბჭოს რეფორმირების საკითხებზე სამუშაოდ მოწვეულ იქნა ბრიტანელი ექსპერტი, ავრომ შერი, რომელმაც შეისწავლა საბჭოს წევრთა მოსაზრებები, ასევე – სამეთვალყურეო საბჭოების ფუქნციონირების თავისებურებები (იურიდიული დახმარების მოწინავე სისტემების მქონე ქვეყნების გამოცდილების მაგალითზე). 2015 წლის ნოემბერში, ავრომ შერმა საბჭოს წევრებს წარუდგინა რეკომენდაციები, რომელთა მიზანია, ხელი შეუწყოს იურიდიული დახმარების საბჭოს იმგვარად რეფორმირებას, რომ, ერთი

[1] http://www.legalaid.ge/index.php?action=page&p_id=622&lang=geo

მხრივ, ამ კოლეგიური ორგანოს საქმიანობა განიტვირთოს საზედამხედველო ფუნქციებისგან, მეორე მხრივ კი – საბჭოს როლი გაძლიერდეს ინოვაციების დანერგვის, იურიდიული დახმარების სამსახურის მხარდაჭერისა და განვითარების მიმართულებით.

ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე

2015 წლის საგაზაფხულო სესიის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტმა განიხილა იურიდიული დახმარების სამსახურის ანგარიში 2014 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ. თავდაპირველად, ანგარიში განიხილეს და შესაბამისი დასკვნები მოამზადეს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებმა. შემდეგ კი, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი, მელიტონ ბენიძე, ანგარიშით წარსდგა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. საქართველოს პარლამენტმა მოიწონა წარმოდგენილი ანგარიში, რაც ასახულია 2015 წლის 28 მაისის №03635-IIს დადგენილებაში[2].

ფინანსური გარანტიები

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ დამოუკიდებელი ორგანიზაციის სტატუსის მოპოვებისა და სამოქალაქო–ადმინისტრაციულ საქმეებზე მანდატის გაფართოების გათვალისწინებით, მზარდი საბიუჯეტო დაფინანსების უზრუნველყოფა ერთ–ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა. იურიდიული დახმარების საბჭოსა და საქართველოს პარლამენტთან კონსულტაციით, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, 2014–2015 წლებში იურიდიული დახმარების სამსახურისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, 2015 წლისათვის იურიდიული დახმარების სამსახურის საბიუჯეტო დაფინანსება გაიზარდა 51.7%–ით და შეადგინა 4.5 მილიონი ლარი. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით კი, საბიუჯეტო ასიგნებები გაიზარდა 28.8%–ით და აღწევს 5.8 მილიონ ლარს.

იურიდიული დახმარების სამსახურისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებები წლების მიხედვით

წელი	საბიუჯეტო ასიგნებები (ათასი ლარი)	მომუშავეთა რიცხოვნობა
2013[3]	2,965.5	187
2014[4]	2,965.0	187
2015[5]	4,500.0	235
2016[6]	5,800.0	240

[2] http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/33021/3635
[3] http://mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10613
[4] http://mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10613
[5] http://mof.ge/images/File/biujetis_cvlileba/noemberi2/TAVI_VI.pdf
[6] http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2016/kanoni/TAVI_VI.pdf

თანამშრომლობა მართლმსაჯულების სისტემის მონაწილეებთან

სამუშაო შეხვედრა
უზენაეს
სასამართლოში

იურიდიული დახმარების სისტემის სრულყოფის მიზნით, გრძელდება თანამშრომლობა მართლმსაჯულების სისტემის მონაწილეებთან. 2015 წელს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სასამართლო სისტემასთან ურთიერთქმედების საკითხებზე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოების კონტექსტში.

2015 წლის მარტსა და ოქტომბერში, იურიდიული დახმარების სამსახურსა და სამივე ინსტანციის მოსამართლეებთან ორი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრების ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა და მოსამართლეებმა იმსჯელეს იმაზე, თუ როგორ უნდა განისაზღვროს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების *სირთულე და მნიშვნელობა*, რათა, ამ კრიტერიუმის გათვალისწინებით შედგენილი სასამართლო განჩინების საფუძველზე, იურიდიული დახმარების ბიუროებმა გადახდისუუნარო პირებისათვის ადვოკატის დანიშვნა უზრუნველყონ.

მხარეები მსგავსი შეხვედრების პერიოდულად გამართვაზე შეთანხმდნენ.

იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაზრდა

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე ამოქმედებული იურიდიული დახმარების სერვისის პრეზენტაცია, მცხეთა

საკანონმდებლო ნორმები

- 2014 წლის 17 ოქტომბერს, „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტში და „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლში შევიდა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, 2015 წლის 1 იანვრიდან სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს დაევალა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევა, თუ მსხვერპლი გადახდისუუნაროა.
- 2015 წლის 1 აპრილიდან, „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილი გახდა იმ ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთათვის, რომელთა *მხარდაჭერის მიმღებად* ცნობის საკითხსაც განიხილავს სასამართლო. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა მიმართ აღნიშნული საქმეების განხილვისას ადვოკატის მონაწილეობა გახდა სავალდებულო.
- 2015 წლის 15 აპრილიდან, ძალაში შევიდა „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონში და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც, უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომი გახდა საოჯახო, სამემკვიდრეო და სოციალური კანონმდებლობიდან გამომდინარე დავებზე. სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის მოთხოვნით ფიზიკურ პირს შეუძლია მიმართოს, როგორც იურიდიული დახმარების ბიუროს, ისე სასამართლოს. ორივე შემთხვევაში, მოწმდება ორი პირობის არსებობა: კერძოდ, პირი უნდა იყოს გადახდისუუნარო, ხოლო საქმე - რთული და მნიშვნელოვანი, რათა საქმეზე საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშნვა მოხდეს. ამასთანავე მოსამართლეს ევალება, რომ განჩინებით დაასაბუთოს პირისათვის სახელმწიფო ხარჯზე ადვოკატის დანიშვნის მიმართვა.

- 2015 წლის 12 ივნისს, არასრულწლოვანთა კოდექსის მიღებასთან ერთად, პარლამენტმა „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონში შეიტანა დებულებები არასრულწლოვანთა და 18–დან 21 წლამდე ასაკის პირთათვის იურიდიული დახმარების გაწევის პირობების შესახებ. აღნიშნული ცვლილება ძალაში შევიდა 2016 წლის 1 იანვრიდან.
- 2015 წლის 17 ივლისს, „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონში შევიდა ცვლილებები ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებლებისათავის იურიდიული დახმარების გაწევის პირობების შესახებ. ცვლილება, რომელიც განხორციელდა ევროკავშირთან ვიზა–ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან.

იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არარეგისტრირებული პირებისათვის

2015 წელს, იურიდიული დახმარების საბჭოს №27 და №31 გადაწყვეტილებებით, გაფართოვდა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არარეგისტრირებულ პირთა წრე, რომლებსაც უფლება მიეცათ, მიმართონ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს, მათთვის, გამონაკლისის სახით, იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებამდე, საგამონაკლისო წესით იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ჰქონდათ შემდეგი კატეგორიების პირებს:

- გადახდისუუნარო პირები, რომელთა მონაცემებიც მოიპოვება სოციალურად დაუცველთა ბაზის არქივში.
- პირები, რომელთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დადასტურებულია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემული ცნობებით.
- მძიმე და განუკურნებული სენით დაავადებული პირები.
- მარტოხელა დედა, რომელსაც ჰყავს არასრულწლოვანი შვილები.
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირი.
- ასაკით პენსიონერი.
- პირი, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ადვოკატის ახლო ნათესავია.
- მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი.

2015 წელს, ამ ჩამონათვალს დაემატა შემდეგი კატეგორიის პირები:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ბენეფიციარი;

- საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირის ,,კათარზისის'' (სათნოების სახლი) ბენეფიციარი;
- არასრულწლოვანი პირი, რომელიც შესაძლოა იყოს მხარე სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეებზე.

2015 წელს, გამონაკლისის წესით იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ 184 მომართვა შემოვიდა. აქედან, დაკმაყოფილდა 163 მოთხოვნა. დაკმაყოფილებული მომართვებიდან 84 შემთხვევაში დაინიშნა საზოგადოებრივი ადვოკატი, 79 მომართვის საფუძველზე კი იურიდიული დოკუმენტების მომზადდა.

ადამიანური რესურსები

სამოქალაქო სპეციალიზაციის მქონე ადვოკატების შესარჩევი ეტაპი – ტესტირება

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოების ფარგლებში, 2015 წელს სამსახურმა განახორციელა სამოქალაქო სპეციალიზაციის ადვოკატების რეკრუტირება. თბილისის ბიუროში მიღებულ იქნა 5 ახალი ადვოკატი, დანარჩენ 10 ბიუროში კი სამოქალაქო სპეციალიზაციის თითო ადვოკატი დასაქმდა. ადვოკატები ტესტირებისა და გასაუბრების შედეგად შეირჩნენ. სამსახური, საჭიროებისამებრ, გეგმავს სამოქალაქო სპეციალიზაციის ადვოკატთა რაოდენობის გაზრდას.

საჩხერის საკონსულტაციო ცენტრის პრეზენტაცია

- 2015 წლის იანვარში, გაიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის რიგით მე–18 ოფისის – საჩხერის საკონსულტაციო ცენტრის პრეზენტაცია. საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი მაღალმთიანი იმერეთის მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით 2014 წლის დეკემბერში ამოქმედდა. ცენტრში დასაქმებულია კონკურსის გზით შერჩეული კონსულტანტი, რომელიც მოსახლეობას იურიდიულ კონსულტაციებს უწევს და სამართლებრივ დოკუმენტების შედგენაში ეხმარება.
- იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, 2015 წელს დაიგეგმა დამატებითი იურიდიული დახმარების ბიუროს გახსნა კახეთის რეგიონში, ქალაქ სიღნაღში. ამ მიზნით, სამსახურს 2015 წლის მე–3 კვარტალში გადაეცა საოფისე ფართი, მე–4 კვარტალში ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები. სიღნაღის ბიუროს ამოქმედება დაგეგმილია უახლოეს მომავალში.



- 2015 წლის თებერვლიდან, სამსახურმა დაიწყო თანამშრომლობა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან. ქვეყნის მასშტაბით შეირჩა 6 საზოგადოებრივი ცენტრი, რომელშიც გარკვეული რეგულარობით იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები ჩადიან და ადგილობრივ მოსახლეობას იურიდიულ კონსულტაციებს უწევენ. დღეისათვის იურიდიული კონსულტაციის სერვისი მოქმედებს მეჯვრისხევის, შორაპნის, გეგუთის, სართიჭალის, ფოკისა და ჯვრის საზოგადოებრივ ცენტრებში.

- 2015 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის ცენტრალური აპარატი და თბილისის ბიურო ახალ ოფისში განთავსდნენ. ოფისი მოწყობილია თანამედროვე სტანდარტებით. სარემონტო სამუშაოები დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

თბილისის ბიუროს ძველი ოფისი

თბილისის ბიუროს ახალი ოფისი



რეფერალური სისტემის განვითარება

მემორანდუმი ტრეფიკინგის მსახვერპლთა დაცვის, დაზარალებულთა დაცვ და დახმარების სახელმწიფო ფონდთან

- 2015 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურმა გამართა რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა სამართლებრივი დახმარების კონსორციუმთან, რომელშიც რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციები შედიან და დევნილთა უფლებებს იცავენ. კონსულტაციების ფარგლებში, დაიგეგმა სამსახურსა და კონსორციუმს შორის 2016 წელს რეფერალური მექანიზმის ამოქმედება.
- 2015 წელის სექტემბერში, იურიდიული დახმარების სამსახურმა გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმები იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრთან, ასევე "ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან". მემორანდუმების ფარგლებში, იურიდიული დახმარების სამსახური აღნიშნული ორგანიზაციების ბენეფიციარებს უწევს უფასო საადვოკატო მომსახურებას.
- 2015 წლის დეკემბერში, იურიდიული დახმარების სამსახურმა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ლტოლვილთა და მიგრაციის პროგრამამ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომლობას თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში. კერძოდ, მხარეები უზრუნველყოფენ ინფორმაციის გაცვლას, ბენეფიციარების გადამისამართებას, იურიდიული დახმარების გაწევას და თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებზე მომუშავე ადვოკატების კვალიფიკაციის ამაღლებას.

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა

- სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოების შესაბამისად, შემუშავდა და დამტკიცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე რეესტრის ადვოკატთა ჩართვის პროცედურები და

ანაზღაურების წესი, ანგარიშგების წესი და ფორმა. რეესტრში დამატებით ჩაირიცხა სამოქალაქო სპეციალიზაციის მქონე 4 ადვოკატი, გარდა ამისა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მუშაობის უფლება მიეცა საერთო სპეციალიზაციის მქონე 27 ადვოკატს, რომელიც უკვე იყო რეგისტრირებული რეესტრში. დღეისათვის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულია 69 კერძო ადვოკატი. 2015 წლის ოქტომბერში ჩატარდა მათი ტრენინგ–საჭიროებათა კვლევა, რომლის მიხედვითაც 2016 წელს შესაბამისი ტრენინგ–სემინარები დაიგეგმება.

სამუშაო შეხვედრა მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ადვოკატებთან

- 2015 წლის სექტემბერში, ქუთაისსა და თბილისში გაიმართა სამუშაო შეხვედრები მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატებთან. შეხვედრების ფარლგლებში, ადვოკატები გაეცნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებულ გამოწვევებს, ასევე იმ ცვლილებებს, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებში რეესტრის ადვოკატების ჩართვის პროცედურებსა და ანგარიშგების ფორმებში შევიდა.

მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა

2015 წლის ივლისში, იურიდიული დახმარების საბჭომ მხარი დაუჭირა სამსახურის მიერ შემუშავებულ კონცეფციას ხარისხის შეფასების სისტემის შესახებ და დაამტკიცა „გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები“. კონცეფციის თანახმად, გაწეული მომსახურების შეფასების მიზანია: შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობის, დროულობისა და ხარისხის განსაზღვრა და, მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, ისეთი გადაწყვეტილების მიღება, როგორიცაა: ადვოკატის პროფესიული განვითარება, თანამდებობრივი გადაადგილება (რანგირება), წახალისება და სხვა.

შეფასების სისტემის განხილვა ბათუმში, აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატებთან

შეფასების სისტემის პრაქტიკაში ამოქმედება დაიგეგმა 2016 წელს. 2015 წლის სექტემბრიდან, იურიდიული დახმარების სამსახურის ადმინისტრაცია, საბჭოს წევრებთან ერთად, USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით, ატარებს სამუშაო შეხვედრებს სამსახურში მომუშავე ადვოკატებთან, რათა დახვეწოს და საბოლოო სახე მისცეს „გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესსა და კრიტერიუმებს“.

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზაცია

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთა სპეციალიზაცია 2014 წელს დაიწყო. სპეციალიზაცია განხორციელდა რეფორმის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებას. ამ მიზნით, შემუშავდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ასევე დაიწყო მართლმსაჯულების სფეროს წარმომადგენელთა (გამომძიებლები, პროკურორები, მოსამართლეები, ადვოკატები, სოციალური მუშაკები) გადამზადება კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის უნარ–ჩვევებში. სპეციალიზაციის ფარგლებში, 2014–2015 წლებში, ევროკავშირისა და UNICEF–ის ფარგლებში, გაძლიერებული ტრენინგები გაიარეს როგორც იურიდიული დახმარების ბიუროების, ისე – რეესტრის ადვოკატებმა. სპეციალიზაციის შედეგად, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის 2015 წლის 30 დეკემბრის №01-03-1317 ბრძანებით, შეიქმნა არასრუწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატების მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც შედგება იურიდიული დახმარების სამსახურის 53 ადვოკატისა და მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული 55 ადვოკატისგან.

მენეჯმენტის სისტემის გამართვა, იურიდიული კლინიკებისა და სტაჟირების სისტემების გამართვა

- 2015 წლის აპრილში, დონორების (ევროკავშირი, UNDP, GIZ, USAID/JILEP) მხარდაჭერით, საკონსულტაციო კომპანია „სინერჯი ჯგუფმა“ დაასრულა იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურის ანალიზზე მუშაობა. პროექტის ფარგლებში შემუშავდა: სამსახურის ცენტრალური აპარატის და ბიუროების ორგანიზაციული მოწყობის მოდელები, ტერიტორიული ერთეულების დაქვემდებარების მოდელი და სტრუქტურული ერთეულების სამუშაოს აღწერები. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები იურიდიული დახმარების საბჭოს წევრებთან და სამსახურის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. სულ გაიმართა 7 სამუშაო შეხვედრა.

საორიენტაციო შეხვედრა სამოქალაქო სპეციალიზაციის მქონე ახალმიღებულ ადვოკატებთან

- 2015 წლის აპრილში, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სამსახურის მანდატის გაფართოებასთან დაკავშირებით, ახალი სერვისის შეუფერხებლად დანერგვის მიზნით, სამსახურის ადმინისტრაციისა და ბიუროს უფროსების მონაწილეობით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე განიხილეს ახალი სერვისის ადმინისტრირების საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქმეთა სირთულისა და მნიშვნელობის განსაზღვრას, რაც ბენეფიციარისთვის იურიდიული დახმრების გასაწევად აუცილებელი წინაპირობაა.
- 2015 წელს გაგრძელდა იურიდიული კლინიკის პროექტი. წლის პირველ ნახევარში, თბილისის, გორის, ქუთაისისა და ბათუმის ბიუროების ბაზაზე მოქმედ იურიდიულ კლინიკებში სტაჟირება გაიარა 29 სტუდენტმა. წლის მეორე ნახევარში, სამსახურმა მიიღო 27 ახალი სტაჟიორი, რომლებიც თბილისის, გორის, ახალციხის, ქუთაისისა და ბათუმის ბიუროებში განაწილდა. იურიდიული კლინიკის პროგრამის ფარგლებში, იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, გაიღრმავონ თეორიული ცოდნა და შეიძინონ სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობის პრაქტიკული უნარ–ჩვევები. იურიდიული კლინიკის პროექტი 2008 წლიდან ხორციელდება.

თანამშრომელთა მუდმივი პროფესიული გადამზადება

- სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სამსახურის მანდატის გაფართოების შესაბამისად, 2015 წლის მარტსა და აპრილში, GIZ-ის დახმარებით, ბიუროს უფროსებსა და ადვოკატებს სამოქალაქო/საერთო სპეციალიზაციით ჩაუტარდათ ტრენინგების ციკლი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოებაზე. სულ ჩატარდა 4 ტრენინგი, რომლებიც მიეძღვნა შემდეგ საკითხებს: პირველი ინსტანციის სასამართლოებში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეების წარმოება; ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსი; საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი.

ტრენინგი
სამოქალაქო და
ადმინისტრაციული
სამართალწარმოები
საკითხებზე

- 2015 წლის მარტსა და მაისში, ევროკავშირისა და UN Women-ის მხარდაჭერით, შშმ პირთა უფლებებისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციებზე თბილისსა და ქუთაისში 4 ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგების ფარგლებში, განხილულ იქნა ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების, გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ. ყურადღება გამახვილდება კანონმდებლობის იმპლემენტაციის პრაქტიკულ ასპექტებზე, მათ შორის, დევნილ, ხანდაზმულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებრივი მდგომარეობის კონტექსტში.
- 2015 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები აქტიურად მონაწილეობდნენ ტრენინგებში, რომელიც ორგანიზებული იყო ადვოკატთა ასოციაციის მიერ, განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში. საზოგადოებრივი ადვოკატები დაესწრნენ 40–ზე მეტ თემაზე ორგანიზებულ ტრენინგებს. პრაქტიკულად ყველა ადვოკატმა გაიარა სავალდებულო სწავლება პროფესიული ეთიკის საკითხებში. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილის სახით.

იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მონაწილეობა ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში

ტრენინგის თემა	მონაწილე ადვოკატთა რაოდენობა
ევროპულ სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმები და საერთაშორისო სტანდარტები	32
მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში	21
ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხები	20
სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები, პრობლემები და ინოვაციები	11
აღკვეთი ღონისძიებები	11
სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები	10
პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა	10
ადვოკატის როლი მედიაციის პროცესში	8
მტკიცებულების მოპოვება დაცვის მხარის მიერ	8
ვინდიკაციური და კონდიქციური სარჩელები	8
მტკიცებითი პროცესის პრობლემური საკითხები სამოქალაქო სამართალწარმოებაში	7
საპროცესო შეთანხმება და მოლაპარაკების წარმოების უნარ-ჩვევები	7
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები	6
როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს	6
ოჯახში ძალადობის აღკვეთის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები	6

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის შიდა სახელწიფოებრივ დონეზე გამოყენება	5
დისკრიმინაცია გენდერულ საფუძველზე	5
სისხლის სამართლის საქმეზე მუშაობის პრაქტიკული საკითხები და სადავო დოკუმენტების ექსპერტიზა	5
ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში	4
კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებები სამოქალაქო კოდექსის მიხედვით	4
მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება	3
მედიაცია	3
ნაფიც მსაჯულთა სასამართლო	3
ხელშეკრულებიდან გასვლა	2
სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ტექნიკა	2
სისხლის სამართლის შეჯიბრებითობა	2
შრომითი უფლებები, საერთაშორისო სტანდარტები და შიდა კანონმდებლობა	2
ფულადი ვალდებულებების შესრულების პრობლემური საკითხები	2
მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების სამართლებრივი საფუძვლები	2
ინტელექტუალური საკუთრება	1
ბრალეული და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში	1
საერთაშორისო ბიზნეს-ხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე	1

საბანკო გარანტიები	1
ვადები და ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართალში	1
არბიტრაჟი	1
მორალური ზიანი და უსაფუძვლო გამდიდრება	1
საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება და მისი სამართლებრივი რეგულირება	1
სამოქალაქო სამართლის პრობლემური საკითხები	1
სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების სისტემა სამოქალაქო კოდექსის მიხედვით	1
ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი	1
ადამიანის უფლებები და ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა ევროპაში	1
ადამიანის უფლებები და სოციალური ქარტია	1

- გარდა ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგებისა, განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში, იურიდიული დახმარების ბიუროებში ტარდებოდა ვიდეო–ტრენინგები, რომლებიც ამერიკის იურისტთა ასოციაციამ ონლაინ სასწავლო პლატფორმის სახით მოამზადა. ვიდეო ტრენინგებს ესწრებოდნენ როგორც იურიდიული დახმარების ბიუროებში მომუშავე ადვოკატები, ისე კერძო სექტორში მოქმედი ადვოკატები, მათ შორის, რეესტრის ადვოკატებიც. სულ 9 სხვადასხვა თემაზე 37 ტრენინგი ჩატარდა.

ვიდეო ტრენინგი
გორის იურიდიული
დახმარების ბიუროში

ინფორმაცია იურიდიული დახმარების ბიუროებში ჩატარებული ვიდეო–ტრენინგების შესახებ

ტრენინგის თემა	მონაწილე ადვოკატების რაოდენობა	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა
კრიმინალისტიკა, როგორ მეცნიერება და მისი შესწავლის მეთოდოლოგია; მკვლელობის გამოძიება და შემთხვევის ადგილის დათვალიერება.	58	5
ნივთმტკიცებები – მიკროსამყარო	38	4
ბალისტიკური მტკიცებულებები; დნმ, როგორც მტკიცებულება	85	7
ბალისტიკა	38	4
დაქტილოსკოპია	10	1
ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები, ნაფიც მსაჯულთა შერჩევა	68	4
საქმის ანალიზი	69	6
საქმის წარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, დასაშვებობის კრიტერიუმები და გადაწყვეტილებების აღსრულება	9	1
სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი დებულებანი/ტერნმითა განმარტება	45	5

- 2015 წლის აპრილში, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე სამუშაოდ შერჩეული ადვოკატებისათვის საორიენტაციო სემინარი გაიმართა. სემინარის ფარგლებში, ახალმიღებული ადვოკატები გაეცნენ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე მუშაობის სპეციფიკას, ასევე სამსახურში მოქმედ საქმისწარმოებას და შრომითი ურთიერთობების დეტალებს.
- 2015 წელს განხორციელდა იურიდიული დახმარების სამსახურის ბიბლიოთეკის განახლება, ადვოკატთა საჭიროებების გათვალისწინებით. სამსახურმა შეიძინა 18 სახეობის სახელმძღვანელო სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის აქტუალურ საკითხებზე. გარდა ამისა, სამსახურს წიგნები გადასცეს GIZ–მა და ამერიკის იურისტთა ასოციაციამ.

მაღალი საზოგადოებრივი ცნობადობა იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ

ბროშურები
სხვადასხვა
იურიდიულ თემაზე

- 2015 წლის სექტემბერ–ნოემბერში, იურიდიული დახმარების სამსახურმა, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე საადვოკატო სერვისის ამოქმედების შესახებ სარეკლამო კამპანია განახორციელა. ამ მიზნით, განახლდა 2010 წელს UNDP–ის დახმარებით მომზადებული ვიდეო–რგოლი, რომელიც 1 კვირიდან – 1 თვემდე ვადით, სხვადასხვა ინტენსივობით, ცენტრალურ და რეგიონულ ტელევიზიებში უფასოდ განთავსდა. გარდა ამისა ვიდეო–რგოლი განთავსდა ფეისბუქზეც, სადაც 72 ათასი ნახვა დააგროვა.
- 2015 წლის მაისში, ევროკავშირის პროექტის „სისხლი სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მხარდაჭერის“ ფარგლებში, გამოიცა ბროშურები 6 სამართლებრივ თემაზე. ბროშურების გავრცელება მოხდა საინფორმაციო შეხვედრებისა და გასვლითი კონსულტაციების მეშვეობით.

სემინარი ხობის №2 საჯარო სკოლაში

- 2015 წელს იურიდიული დახმარების ბიუროებმა განაგრძეს გასვლითი კონსულტაციებისა და საინფორმაციო შეხვედრების განხორციელება. სულ განხორციელდა 265 სხვადასხვა აქტივობა, მათშორის: 100 სემინარი საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლაში; 46 შეხვედრა სხვადასხვა დასახლებული პუნქტის მოსახლეობასთან; 34 ვიზიტი დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში. გაიმართა შეხვედრები პრობაციონერებთან, სტუდენტებთან, სოციალური მომსახურების სააგენტოს მუშაკებთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. რეგიონულ მედიაში 30–ზე მეტი სატელევიზიო სიუჟეტი, რადიო–გადაცემა და სტატია გამოქვეყნდა.

IDFI–ის ჯილდო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის

- იურიდიული დახმარების სამსახური ინარჩუნებს გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტებს. 2015 წელს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), რომელიც ბოლო 5 წელია იკვლევს საჯარო უწყებების გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხს, იურიდიული დახმარების სამსახური დააჯილდოვა 2014–2015 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.

ფინანსური ანგარიში





პარტნიორები

იურიდიული დახმარების სამსახური (ცენტრალური ოფისი)

მის: თამარ მეფის გამზ. №14, თბილისი 0112, საქართველო
ტელ: +995(32)2920055
ფაქსი: +995(32)2988493
ელ-ფოსტა: info@legalaid.ge

თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: სულხან კომახიძე
მის: თბილისი, თამარ მეფის გამზ. №14,
ტელ: +995(32)2954474; 2954475;
მობ: +995(595)364410
ელ-ფოსტა: skomakhidze@legalaid.ge

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: ალუდა ბუჩუკური
მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51
ტელ: +995(32)2513873
მობ: +995(595)901705
ელ-ფოსტა: abuchukuri@legalaid.ge

კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: ლიანა ჭუნიაშვილი
მის: თელავი, ერეკლე II გამზ. №8
ტელ: +995(350)271538
მობ: +995(595)901707
ელ-ფოსტა: ltchuniashvili@legalaid.ge

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: იოსებ ჯამასპიშვილი
მის: რუსთავი, ბათუმის ქ. №17,
ტელ: +995(341)241425
მობ: +995(595)901706
ელ-ფოსტა: ijamaspishvili@legalaid.ge

შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: გიორგი ჯეირანაშვილი
მის: გორი, სამეფოს ქ. №54
ტელ: +995(370)279556
მობ: +995(595)901704
ელ-ფოსტა: gjeiranashvili@legalaid.ge

სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: დავით ზარიძე
მის: ახალციხე, თაბუკაშვილის ქ.№17
ტელ: +995(265)220735
მობ: +995(599)722176
ელ-ფოსტა: dzaridze@legalaid.ge

იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: გელა ბერაძე
მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11
ტელ: +995(492)253637
მობ: +995(595)364441
ელ-ფოსტა: gberadze@legalaid.ge

იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: გელა სიორდია
მის: ქუთაისი, სადგურის მოედანი №3
ტელ: +995(431)253411
მობ: +995(595)901700
ელ-ფოსტა: gsiordia@legalaid.ge

სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: რონამ კეიდია
მის: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24
ტელ: +995(415)253472
მობ: +995(595)901702
ელ-ფოსტა: rkeidia@legalaid.ge

სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: ნათია ბოჯგუა
მის: ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №37
ტელ: +995(493)243332
მობ: +995(595)901703
ელ-ფოსტა: nbodjgua@legalaid.ge

აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიუროს უფროსი: იამზე ზანდარაძე
მის: ბათუმი, ბარათაშვილის №27, ბინა 3
ტელ: +995(422) 242449
მობ: +995(595) 901701
ელ-ფოსტა: izandaradze@legalaid.ge

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი

კონსულტანტი: იამზე მემარნიშვილი
მის: ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, მე-3 სართ.
ტელ: +995(496)275992
მობ: +995(595)308850
ელ-ფოსტა: imemarnishvili@legalaid.ge

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი

კონსულტანტი: თეა ჩიკვაიძე
მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24
მობ: +995(595) 308847
ელ-ფოსტა: tchikvaidze@legalaid.ge

ახალქალაქის საკონსულტაციო ცენტრი

კონსულტანტი: ვასილ ბალახაძე
მის: ახალქალაქი, თამარ მეფის №44
მობ: +995(591)996597
ელ-ფოსტა: vbalakhadze@legalaid.ge

წალკის საკონსულტაციო ცენტრი
კონსულტანტი: დავით გოგიჩაიშვილი
მის: წალკა, არისტოტელეს №22
მობ: +995(599) 090091
ელ-ფოსტა: dgogichaishvili@legalaid.ge

მარნეულის საკონსულტაციო ცენტრი
კონსულტანტი: ნინო პაპაშვილი
მის: მარნეული, რუსთაველის №73
მობ: +995(577) 124428
ელ-ფოსტა: npapashvili@legalaid.ge

მესტიის საკონსულტაციო ცენტრი
კონსულტანტი: ავთანდილ ჯაფარიძე
მის: მესტია, სეტის მოედანი №19
მობ: +995(551)201947; +995 (599)294477
ელ-ფოსტა: ajaparidze@legalaid.ge

საჩხერის საკონსულტაციო ცენტრი
კონსულტანტი: ინგა ნოზაძე
მის: საჩხერე, თავისუფლების ქ.№4
მობ: +995(551)449633
ელ-ფოსტა: inozadze@legalaid.ge